პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამო (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76; მდივანის 10—58
ღამის მორიგის 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 29—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ.,
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

შაბათი, 13 ნოემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 260 (1715)

დ ღ ი უ რ ი

- ნაწილობრივ ამუშავდა „ვოლხოვსტროი".
- გაიხსნა ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.
- პოლონეთის სოციალისტური პარტია მთავრობას ოპოზიციაში ჩაუდგა.
- იაპონია თანახმაა გადახედოს იაპონია - ჩინეთის ხელშეკრულებას.
- საქსონიის მენშევიკებმა გადასწყვიტეს შეადგინონ თავისი პარტიის წევრებისაგან შემდგარი მთავრობა.
- საბერძნეთის პარლამენტის არჩევნებში კომუნისტებმა 8 დეპუტატი გაიყვანეს.

ამხ. ჩიჩერინისა და ტევფიკ რუშტი-ბეის შეხვედრა

კონსერვატიული მთავრობა მოითხოვს მემაღაროეთა სრულ კაპიტულიაციას

მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია დღეს განიხილავს მთავრობის წინადადებებს

გუშინ გაიხსნა საფრანგეთის პარლამენტის სესია

ჩინეთში იზრდება მოძრაობა ინგლისელების წინააღმდეგ

პროფკავშირების მუშაობის საკითხები

(მეხუთმეტე პარტკონფერენციის დადგენილებათა გამო)

საკავშირო კომპარტიის ახლად დასრულებულ მეხუთმეტე კონფერენციაზე პროფესიულ კავშირების მუშაობის საკითხს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. ამხ. ტომსკის მოხსენებამ ამ საკითხზე იშვიათად ცხოველი და საქმიანი კამათი გამოიწვია. ეს ფაქტი თავის-თავად იმის მაჩვენებელია, რომ პროფესიულ ორგანიზაციების მუშაობაში ჩვენს საერთო ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ზრდასთან ერთად საჭირო ხდება შესაფერის შესწორებების შეტანა და ამ ორგანიზაციათა შემდეგი განვითარების გზის დასახვა.

პროფკავშირების ორგანიზაციული ზრდის საუკეთესო დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში პროფესიულად დარაზმულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი მთელ საბჭოთა კავშირში ერთი მეოთხედით გაიზარდა. ეს ზრდა რომ ციფრებით გამოვხატოთ. ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს: 1925 წლის 1 აპრილს პროფკავშირთა წევრების საერთო რიცხვი უდრიდა 6.950.400 კაცს, 1926 წლის 1 აპრილისათვის ეს რიცხვი 8.768.200 კაცამდე გაიზარდა. ამნაირად მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ჩვენს პროფესიულ ორგანიზაციებს შემატა თითქმის ორი მილიონი ახალი წევრი.

აქედან თავისთავად გამომდინარეობს ერთი უაღრესი მნიშვნელობის მორიგი ამოცანა, რომელიც სდგას საბჭოთა პროფკავშირების წინაშე. ამ ამოცანაზე ჯერ კიდევ მეხუთმეტე კონფერენციამდე არა ერთხელ მიუთითებდა პარტია. ესაა პროფკავშირთა ახალ წევრთა ორმილიონიან ლაშქარის შეთვისება და შეზრდა, მათი დარაზმვა საბჭოთა საზოგადოებრივობის ნიადაგზე, მათი, პროფესიულად გაწვრთნა.

ეს არც ისე—ადვილად დასაძლევი ამოცანაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ახლად შემომატებული წევრები უმთავრესად სოფლიდან გამოსულნი არიან. ისინი ჩამორჩენილნი არიან კულტურულად. მათ თან მოაქვთ პროლეტარულ ორგანიზაციისთვის უცხო და მიუღებელი ფსიქოლოგიური მიდრეკილებები.

სამარცხვინოთ დამარცხებული ახალი ოპოზიცია სხვათა შორის პროფ. კავშ. მუშაობის დარგშიაც შეეცადა ბედთან თამაშს. მას არ მოსწონდა პროფესიულ ორგანიზაციების ასეთი გამალებული რიცხვობრივი ზრდა. ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ პროფკავშირები იზრდება უმთავრესად საბჭოთა მოსამსახურეების ხარჯზე, რაიც პროფკავშირებს სოციალურად გადაგვარებისაკენ მიაქანებსო. ფაქტები აქაც ულმობელი აღმოჩნდენ ოპოზიციის „წინასწარმეტყველებისადმი". პროფესიულ კავშირების სტატისტიკა გვეუბნება, რომ საბჭოთა მოსამსახურეთა რიცხვი ახლად შემომატებულ პროფკავშირულ მასაში მხოლოდ 19,4 პროცენტს შეადგენს, ე. ი. ერთ მეხუთედზე ნაკლებს, მაშინ, როცა დანარჩენი ოთხი მეხუთედი ინდუსტრიალურ პროლეტარიატის, სას.-სამეურნეო მუშაკების და ტრანსპორტელების ხარჯზე მოდის.

ამრიგად, რაც შეეხება პროფკავშირების „ჩინოვნიკურ" გადაჯიშებას, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. ხოლო უდაოთ, და ბუნებრივი ფაქტია, რომ პროფკავშირები იზრდება უმთავრესად სოფლის ხარჯზე. აქვს თუ არა პროფკავშირებს საშუალება აღზარდოს და გაწვრთნას ეს ახლად მოსული მასა პროფესიულად? აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფესიულ ორგანიზაციების აქტივს, მის მამოძრავებელ და ხელმძღვანელ ძალას.

ეს აქტივია ფაბკომების, სამქრო ორგანიზაციების, სხვადასხვა კომისიების, ადგილკომების და სხვათა წევრები. ესენი შეადგენენ პროფესიულ ორგანიზაციების ჩონჩხს. უკანასკნელი ცნობების თანახმად პროფაქტივის რაოდენობა საკავშირო მასშტაბით უდრის 1 მილიონ შვიდასი ათასზე მეტ კაცს. ეს უკვე საკმაო საწინდარია იმისი, რომ პროფკავშირები, შესძლებენ ახლად მოსულ მასის პროლეტარულად აღზრდას, მათ პროფესიულად დარაზმვას.

ამისათვის პირველ ყოვლისა უნდა მიექცეს ყურადღება პროფკავშირთა წევრებ შორის წერა - კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას. გარდა ამისა კავშირის დაბლა ფენები უნდა ჩაბმულ იქნან აქტიურ პროფესიულ მუშაობაში სხვადასხვა კომისიების, საწარმოო თათბირების და ფაბკომ - ადგილკომების სახით.

ამასთან ერთად უნდა გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები ძირითად პროფორგანოების მუშაობის გადასახალისებლად. კერძოთ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეგრედწოდებულ სამკუთხედით მუშაობის მეთოდს. დღემდი ხშირად ასე ხდებოდა, რომ ადგილკომის მდივანი, პარტუჯრედის მდივანი და ადმინისტრატორი შეთანხმებულად და ერთი ფრონტით გამოდიოდენ ყველა საკითხების გადაჭრის დროს. ამით პროფესიული ორგანიზაციები ირიყებოდენ მასისაგან. და ეს მით უფრო, თუ ამ სამკუთხედში თავის გავლენით ადმინისტრატორი სძლევდა სხვებს, რაც არც ისე იშვიათი მოვლენა იყო.

მომავალში მუშაობის ამგვარ პრაქტიკას ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო. პროფკავშირი უნდა შეებრძოლოს ყოველგვარ ადმინისტრატიულ თვითნებობას, რომელიც მიმართული იქნება მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუარესებისაკენ. განსაკუთრებით უნდა ებრძოლოს ის მომჭირნეობის რეჟიმის დამახინჯებებს, რომლის საფარქვეშაც ზოგჯერ დაუშვებელი გალაშქრება ხდება პროფკავშირის წევრთა ეკონომიურ და უფლებრივ ინტერესების წინააღმდეგ.

თავის თავად ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროფორგანიზაციებმა უნდა ოდნავ მაინც შეასუსტონ თავიანთი ყურადღება შრომის დისციპლინის განმტკიცების და საზოგადოთ შრომის ნაყოფიერების გაზრდის საქმეში. აქ ხელ-ახლა იშლება ჩვენს წინაშე საწარმოო თათბირების მუშაობის საკითხი. ამ ბოლო ხანს საწარმოო თათბირების მუშაობა შესამჩნევად მოდუნდა. უშინაარსო და განყენებული მოხსენებები, მუშათა წინადადებებისადმი უყურადღებობა, კრების დროის და ადგილის უხეიროდ შერჩევა და მრავალი სხვა ამგვარი ნაკლულევანებანი, აი რა აღუნებს საწარმოო თათბირების მუშაობას.

პროფკავშირებმა ამ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. საწარმოო თათბირები ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია მასის აღმშენებლობითი შემოქმედებაში ჩასაბმელად. საწარმოო თათბირებმა უკვე ცხადჰყვეს მათი უაღრესი სარგებლობა ჩვენი მრეწველობის წინსვლისა და სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღების საქმეში. ამიტომ საწარმოო თათბირების მუშაობის მოდუნების მიზეზების ყოველ ცალკე შემთხვევაში შესწავლა და ამ მიზეზების თავიდან აცილებისათვის ბრძოლა მორიგ გადაუდებელ ამოცანათ უნდა გაიხადოს პროფკავშირის თვითეულმა ორგანიზაციამ.

ამასთან ერთად პროფესიულ კავშირებს უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლიათ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში. როგორც ვიცით, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია მუშების წამოყენება საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. დღემდი პარტიის ეს დირექტივა სათანადო სიმტკიცით ვერ ტარდებოდა და არც ტარდებოდა. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოუღოთ. ჩვენი პროფკავშირები ფართო კულტურულ და პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობას აწარმოებენ. კავშირის მასა ამ რამდენიმე წლის განმავლობაში იმდენად განვითარდა, რომ მას შეუძლია მოგვცეს მუშაკები საპასუხისმგებლო თანამდებობისათვის.

ასეთია ჩვენი პროფკავშირების მორიგი ამოცანები, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახლად დასრულებულ პარტიულ კონფერენციაზე. ჩვენ წინ მივდივართ ეკონომიურად, ჩვენ ვიზრდებით კულტურულად, პროფკავშირები საბჭოთა საზოგადოებრივობის ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია, რომლის განვითარებაც ვერ ჩამორჩება ჩვენს საერთო ზრდას.

მემაღაროეთა გაფიცვის კრიზისი

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

„მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციამ ხანგრძლივი კამათის და შეხლა შემოხლის შემდეგ აღმასკომს დაავალა აწარმოოს მთავრობასთან მოლაპარაკება კონფლიქტის მოსაგვარებლად რაიონულ შეთანხმებათა საფუძველზე და იკისროს აქედან გამომდინარე ყველა შედეგები იმ პირობით, რომ შეიქმნება სრულიად ინგლისის მასშტაბით რომელიმე ინსტანცია, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს რაიონულ შეთანხმებაში სრულიად ინგლისის პრინციპების შეტანა". ასეა ნათქვამი ლონდონიდან მიღებულ ცნობაში. კონფერენციის ეს გადაწყვეტილება ნიშნავს მოწოდებას გაფიცვის შეწყვეტისაკენ და ქედის მოხრას სამივე მუხლში (სამუშაო ხელფასი, სამუშაო დღე და რაიონული შეთანხმება), რომლისთვისაც ბრძოლა სწარმოებდა. კონფერენციის დელეგაციამ მიიღო მაღაროების მეპატრონეთა წინადადება, რომელიც მას მთავრობამ გადასცა. მაღაროების მეპატრონეთა პირობები შემდეგს შეიცავენ:

1) სამუშაო ხელფასი უნდა განისაზღვროს ცალკე თვითეულ ოლქისათვის იმ შემოსავლიანობის მიხედვით, რომელიც უნდა გამოარკვიონ ცალკე თვითეულ ოლქში ორივე მხარის ექსპერტებმა.

2) სამუშაო ხელფასის საერთო ჯამის შეფარდება მაღაროების მეპატრონეთა წმინდა მოგების საერთო ჯამთან უნდა მერყეობდეს შემდეგნაირად: 87:13 პროცენტიდან 85:15 პროც-დე.

3) ის მინიმალური პროცენტული მომატება 1914 წლის ძირითად სამუშაო ხელფასზე, რომელიც ცალკე ოლქებში იცვლება შრომის ადგილობრივ პირობების და სამუშაო დღის ხანგრძლივობის მიხედვით, 20 პროცენტზე ნაკლებს არ უნდა შეადგენდეს.

4) ზოგიერთ მცირე ხელფასის მქონე მუშების საარსებო მინიმუმი, თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, უნდა დაწესდეს ცალკე ოლქებში საარბიტრაჟო გზით.

ამ წინადადების აზრი ყველასათვის ნათელია. მთავრობამ მემაღაროეებს გადასცა მაღაროების მეპატრონეთა შეუკვეცელი პლატფორმა, ხოლო მოლაპარაკების დროს ამ პლატფორმის საფუძვლად მიღება დამარცხებას ნიშნავს. ამაზე თვალის დახუჭვა ბავშობა იქნებოდა. იმ მოლაპარაკების შედეგი, რომელიც ეხლა იწყება, უკვე წინდაწინვე განსაზღვრულია მით, რომ მაღაროების მეპატრონეთა პროგრამა საფუძვლად არის მიღებული. ეს, რასაკვირველია, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროგრამა სავსებით იქნება მიღებული; ალბად შესაძლებელი გახდება მასში კიდევ ზოგიერთ შესწორების შეტანა, მაგრამ ეს სრულებითაც არ სცვლის საქმის შინაარსს.

როგორ მოხდა ეს გარდატეხა მემაღაროეთა ხელმძღვანელებს შორის, როგორ მოხდა, რომ სადელეგატო კონფერენციამ მთავრობის პირობები მიიღო.

1) კონფერენციამ აღნიშნა, რომ „იმ მემაღაროეთა რიცხვი,რომლებმაც განაახლეს მუშაობა, საგრძნობლად გაიზარდა უკანასკნელი კვირის განმავლობაში".

2) გენერალურ საბჭოს და მის საშუამავლო კომიტეტის ზეგავლენით „პორაჟენცული" სულისკვეთება მოედო სამთამადნო მუშების ფედერაციის ზედაფენებსაც.

3) უარის თქმამ იმ მუშების მოხსნაზე, რომელნიც მეთვალყურეობას უწევდენ მაღაროების უშიშროებას, წინასწარ გადასჭრა კაპიტულიაციის საკითხი.

4) გაფიცვის ხელმძღვანელებმა მიჩქმალეს ბრძოლის ღრმა პოლიტიკური ხასიათი და მთელი კონფლიქტის მნიშვნელობა წმინდა ეკონომიურ უთანხმოებამდე გადაიქცეს.

5) ხდებოდა განუწყვეტელი ზეგავლენა მემაღაროეებზე მუშათა პარტიისა და გენერალური საბჭოს მხრივ, რომელთაც ყველაზე მეტი წილი უდევთ შტრეიკბრეხერობაში და გაფიცვის ჩაშლაში.

6) საკმაო როლი ითამაშა გაფიცვის ხანგრძლივობამაც (გაფიცვა გაგრძელდა დაახლოებით 6-ნახევ. თვე).

7) დიდი გავლენა ჰქონდა აგრეთვე გამძლე. შეურიგებელ ტაქტიკას მთავრობისა და მაღაროების მეპატრონეების მხრივ, რომელნიც თავის მუშაობაში ეყრდნობოდენ ტრედიუნიონების ზედაფენებს გაფიცვის წინააღმდეგ.

8) მეორე მხრივ ადგილი ჰქონდა მერყევ ტაქტიკას მემაღაროების ფედერაციის ხელმძღვანელების მხრივ, რომელნიც გამოეკიდენ ერთიან ფრონტს, გენერალურ საბჭოს ბელადებთან მასსების ერთიანი ფრონტის საზიანოდ.

ასეთია დამარცხების მთავარი მიზეზები. სისუსტის ამ მიზეზებს კარგად ხედავდენ კომპარტია და უმცირესობის მოძრაობა და აგრეთვე კუკიც, რომელიც თვითონ ხშირად გამოხატავდა მემაღაროეთა ფედერაციის ხელმძღვანელ პერსონალის მერყეობას. გაფიცვის მთელს მანძილზე კომუნისტური პარტია და უმცირესობის მოძრაობა ყოველთვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ. თვით კომპარტიის და უმცირესობის მოძრაობის მოწინააღმდეგენიც კი იძულებულნი იყვნენ აღიარებიათ, რომ იმ რაიონებში, სადაც კომპარტია ყველაზე ძლიერი იყო, ნაკლები იყო დეზერტირობა, მეტი იყო ერთსულოვნება და ბრძოლის სიმძაფრე.

კაპიტულიაციის მოწინააღმდეგენი სადელეგატო კონფერენციაზე გადაჭრით ილაშქრებდნენ მთავრობის წინადადების წინააღმდეგ.

კუკის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ისიც გადაჭრით ეწინააღმდეგ[illegible] და მთავრობის წინადადების საფუძვლად მიღებას და მხარს უჭერდა კომუნისტების წინადადებას რეფერენდუმის შესახებ. გაფიცვის გაგრძელების მომხრენი სადელეგატო კონფერენციაზე უმცირესობაში აღმოჩნდენ.

მაგრამ მაინც ყველა რევოლიუციონურ ელემენტების მოვალეობა იყო აშკარად განეცხადებიათ მემაღაროეთა წინაშე, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან უკან დახევას, რომ საჭიროა მასსებს მოუწოდოთ შემდგომი ბრძოლისაკენ.

სადელეგატო კონფერენციის გადაწყვეტილება, დანაშაულობაა ინგლისის მუშათა კლასის და განსაკუთრებით ინგლისელ მემაღაროეთა წინაშე. კაპიტულიანტურმა სულისკვეთებამ გაიმარჯვა პროფკავშირის „ჩინოვნიკებს" შორის „ჩინოვნიკებმა" ვერ გაითვალისწინეს ის დიდი გავლენა, რომელიც იქონია გაფიცვამ ინგლისის მთელ სამეურნეო ორგანიზმზე. ჯერ კიდევ გუშინ ბოლდუინმა ლონდონის ქალაქის თვითმმართველობაში გამართულ ბანკეტზე განაცხადა: „რამდენადაც სანუგეშო არ უნდა იყოს საყოველთაო გაფიცვის სწრაფი დამარცხება, ეს გაფიცვა მუდამ დარჩება შავ ლაქად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მემაღაროეთა გაფიცვა წარმოადგენს მეორე ძეგლს ადამიანთა უგუნურებისას, რომელმაც გაატამტვერა ჩვენი იმედები კეთილდღეობის შესახებ სწორედ იმ დროს, როცა ნიშნები იყო იმისი, რომ ინგლისის მრეწველობას კვლავ დაეტყობოდა გამოცოცხლება".

გენერალურ საბჭოს მიერ სულიერად დაცემული სამთამადნო მუშათა ფედერაციის ხელმძღვანელები ვერ ხედავდენ, რომ მთავრობა და მაღაროების მეპატრონეები ძლივს-ძლივობით უმკლავდებიან მათ.

იმის მაგიერ, რომ განსაკუთრებით ამ მომენტში მაქსიმალური გამძლეობა, სიმტკიცე და სიმხნევე გამოეჩინათ, ისინი [illegible]კენ.

მემაღაროეთა დამარცხება ჩვენი ქვეყნის ფართო მასებში გამოიწვევს ღრმა თანაგრძნობას და ძმურ სოლიდარობას სამთამადნო მუშებისადმი. ჩვენი ქვეყნის ყოველი პროლეტარი მშვენივრად გრძნობს, თუ რას ნიშნავს მუშებისათვის 6½ თვის გაფიცვა. აი, ამიტომ, როგორც არ უნდა განვითარდენ ახლო მომავალში ამბები, როგორც არ უნდა ზეიმობდენ ამჟამად მუშათა კლასის მტრები, ინგლისის სამთამადნო მუშებს შეუძლია იმედი იქონიონ, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი და ყველა ქვეყნის რევოლიუციონური მუშები მათთან ერთად იყვნენ და იქნებიან მომავალ ბრძოლაში.

სადელეგატო კონფერენცია ქედს იხრის. გაუმარჯოს მედგარ ინგლისელ მემაღაროეებს და მათ მომავალ ძლევამოსილ ბრძოლას ინგლისის ბურჟუაზიისა და მისი აგენტების წინააღმდეგ.

გადმოცემულია ტელეგრაფით
მოსკოვი, 12 ნოემბერი.

ტევფიკ რუშტი-ბეი საბჭოთა კავშირში

მზადება შეხვედრისათვის

ოდესა, 12 ნოემბერი. 12 ნოემბერს დილით ადრე ყველაფერი მომზადებული იყო ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრის შესახვედრად. საბჭოთა კავშირის ნაღმოსანი „ნეზამოჟნიკი" მოელის კრეისერ „გამიდიეს" მოსვლას. სამხედრო მოედანზე ჩამწკრივებულია წითელარმიელთა საპატიო ყარაული. ნავთსადგურში მოწყობილია ფერადოვანი თაღი, რომელიც მორთულია ოსმალეთის დროშებით. თაღს ქვემოდ გაკრულ თეთრ ტილოზე წარწერილია წითელი ასოებით ოსმალური სიტყვებით „ხოშ გელდინიე" (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება). ნავთსადგური საზეიმოთ არის მორთული. საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ყველა გემები აფერადებულია დროშებით. ნავთსადგურში მოვიდა ამხ. ჩიჩერინი უკრაინის მთავრობის წარმომადგენლის შლიხტერის თანხლებით. მას თან ახლდენ ოდე'ს სოლქო აღმასკომის თავმჯდომარე მიშკოვი, გარეშე საქმეთა კომისარიატის აგენტი პეტრენკო, შავი ზღვის ფლოტის სამხედრო - რევოლიუციონურ საბჭოს წარმომადგენლები—ლაკოვი და ღრანცინი, საზღვაო და სამხედრო სარდლობის და პრესის წარმომადგენლები. პირდაპირ სამუშაოდან დროშებით მოვიდა გემთსაშენ სახელოსნოების მუშათა დელეგაცია. „გამიდიეს" ილქანზე აფრიალდა საბჭოთა კავშირის დროშა. კრეისერზე ორკესტრმა დაუკრა მარში. ყარაული ჩამწკრივდა. „გამიდიედან" წამოვიდა ნავი, რომელშიაც იჯდა ოსმალეთის ელჩი. ორკესტრი ასრულებს შეხვედრის მარშს. ამხ. ჩიჩერინი ესალმება ნავიდან გადმოსულ **ტევფიკ-რუშდი - ბეის**, რომელსაც თან ახლავს ზეკია - ბეი და ოსმალეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ორი მოხელე. ტევფიკ - რუშდი - ბეი თავმოხდილი და პირმცინარე მაგრათ ართმევს ხელს ამხ. ჩიჩერინს.

ამხ. ჩიჩერინის მოხსენება

ამხ. ჩიჩერინი ფრანგულ ენაზე მიმართავს შემდეგი მისასალმებელ სიტყვით: მოგესალმები თქვენ, ბ-ნო მინისტრო, საბჭოთა მთავრობის სახელით ჩვენ კავშირის ტერიტორიაზე, კავშირის, რომელიც არის ყველა ხალხების მეგობარი. რომელნიც იბრძვის თავისი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის და განსაკუთრებით ახალი ოსმალეთის მეგობარი. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს მოსკოვში იმ მოსაგონარ დღეებში, როცა საძირკველი ჩაეყარა ჩვენს ურთიერთობას. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს პარიზშიაც იმ არა ნაკლებ მნიშვნელოვან დროს, როცა გაღრმავებული და გაფართოვებული იქნა ურთიერთობის ბაზა. პირად კონტაქტს ჩვენს შორის აქვს უდიდესი მნიშვნელობა ამ ხელშეკრულებათა საფუძველზე საერთო მუშაობის წარმატებისათვის ჩვენი რესპუბლიკების ხალხთა საკეთილდღეოდ. ამიტომ დიდი სიხარულით მოგესალმებით თქვენ და აგრეთვე ოსმალეთის ნაციონალური ფლოტის ამ მამაც მეზღვაურებს და გულის სიღრმიდან ვამბობ „გაუმარჯოს ახალ ოსმალეთს".

ტევფიკ - რუშდი - ბეის საპასუხო სიტყვა

ტევფიკ - რუშდი - ბეი მადლობას უხდის მისალმებისათვის და აცხადებს, რომ მე ბედნიერი ვარ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლით იმ მომენტში, როცა მტკიცდება მეგობრობა ორივე ხალხს შორის. მე ვამბობ — ლაპარაკობს ის— მეგობრობის უღრმესი გრძნობით, რომელიც მაკავშირებს თქვენთან ბა-ნო სახალხო კომისარო. განსაკუთრებით მოხარული ვარ მოგესალმო თქვენ მაშინ, როცა ფეხს ვადგამ დიდი მეგობარი ქვეყნის მიწაზე. ამხ. შლიხტერი მიესალმა მინისტრს უკრაინის მთავრობის სახელით. ტევფიკ რუშტი - ბეი მადლობა გადაუხადა შლიხტერს სტუმართ - მოყვარეობისათვის და გამოსთქვა რწმენა, რომ უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა მთელს კავშირთან ერთად კიდევ უფრო განამტკიცებს ოსმალეთთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას. მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა მინისტრს ოდესის სოლქო აღმასკომის თავმჯდომარე მიშკოვმა. ტევფიკ - რუშდი-ბეი განსაკუთრებით დიდხანს და მხურვალედ ართმევს ხელს გემთსაშენი სახელოსნოების მუშების დელეგატს. უკანასკნელი ესალმება მინისტრს ოდესის პროლეტარიატის სახელით. მისალმების შემდეგ მინისტრმა ამხ. ჩიჩერინთან ერთად ჩამოიარა, საპატიო ყარაულის რიგები. აუარებელმა ხალხმა ის „ურას" ძახილით გააცილა და მინისტრი გაემართა მისთვის გამზადებულ ბინაზე „ლონდონის სასტუმროში". (ადს).

საუბარი ტევფიკ-რუშდი ბეისთან

ოდესა, 13 ნოემბ. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში ტევფიკ-რუშდი-ბეიმ განაცხადა:

„საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ ბევრის თქმა არ გვჭირდება: მათი მეგობრული დამოკიდებულება საკმაოდ ცხადია. ამას მოწმობს თუნდაც ჩემი ყოფნა თქვენს ტერიტორიაზე. ჩემი ჩამოსვლა გამოწვეულია სურვილით კვლავ ვნახო ის დიდი ქვეყანა, სადაც მე ერთ ხანს ვიყავი ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების დელეგატათ. მაშინ ჩვენ მიერ განცდილი მომენტი მაიძულებს მე განსაკუთრებული სიამოვნებით მოვიგონო ჩემი მაშინდელი ყოფნა მოსკოვში. ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა მიმართულია საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვისა და მეზობლებთან რაც შეიძლება მეგობრული ურთიერთობის დამყარებისაკენ. ამას მოწმობს ოსმალეთის მიერ ამას წინად საბჭოთა კავშირისა და სპარსეთთან დადებული ხელშეკრულებანი. **საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის მტკიცე მეგობრობა წარმოადგენს საერთაშორისო ზავისა და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი ატმოსფერის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას**". (ადს).

ამხ. ჩიჩერინი ოდესაში

ოდესა, 12 ნოემბ. **11 ნოემბერს საღამოს ჩიჩერინმა მიიღო ოსმალეთის ელჩი ზეკია ბეი და კონსული მიუპიფ - ბეი.** მეგობრული ბაასი ორ საათს გაგრძელდა. (ადს).

ზეკია - ბეის განცხადება

ოდესა, 12 ნოემბ. ოდესაში ჩამოვიდა ოსმალეთის ელჩი საბჭოთა კავშირში **ზეკია - ბეი**, რომელმაც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„კრეისერ „გამიდიე"-ს მისვლა ოდესის ნავთსადგურში, პირველ ყოვლისა, არის პასუხი შავი ზღვის ფლოტის ორი ნაღმოსნის მისვლაზე სტამბოლში 1925 წელს. ჩვენი გარეშე საქმეთა მინისტრი ტევფიკ - ბეი ისარგებლებს შემთხვევით, რომ ცოლთან და ქალიშვილთან ერთად ინახულოს საბჭოთა კავშირი. **გარეშე საქმეთა კომისართან ჩიჩერინთან შეხვედრის სურვილი მოწმობს არა მარტო იმას,** რომ ორივე სახელმწიფოს შორის არსებობს მეგობრული ურთი - ერთობა, არამედ იმასაც, რომ ასეთივე ურთი - ერთობა არსებობს ტევფიკ - ბეისა და ჩიჩერინს შორის. ეხლა ყველასთვის აშკარაა ის გულწრფელი კეთილ - მეზობლური განწყობილება, რომელსაც ჩვენ ვხედავთ საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის. მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ წარმატებით მიმდინარეობს. ტევფიკ - ბეის შეხვედრა გარეშე საქმეთა კომისართან ჩიჩერინთან კიდევ უფრო განამტკიცებს ორივე ქვეყნის მეგობრულ ურთი - ერთობას. ამიტომ ის, ეჭვს გარეშეა, საუკეთესო გავლენას მოახდენს საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაზე". (ადს).

ოსმალეთის პრესის აზრი

ანგორა, 12 ნოემბერი. სტამბოლში **ტევფიკ - რუშდი - ბეიმ** პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა,რომ ოსმალეთს უჭირავს შესაფერიად ვილი მის გარშემო მდებარე კულტურულ ქვეყნებს შორის. ოსმალეთის მშვიდობიანობის მოყვარეობა ნებას აძლევს მას აწარმოვოს დაუფარავი პოლიტიკა ყველა სახელმწიფოების მიმართ.

ოსმალეთის პრესა რუშდი - ბეის ოდესაში გამგზავრების გამო სწერს: **კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის არის მშვენიერი განწყობილება.** (ადს).

იტალიის პრესის აზრი

რომი, 12 ნოემბ. იტალიის პრესა ჩიჩერინის შეხვედრას ტევფიკ - რუშდიბეისთან სთვლის პირველ ხარისხოვან პოლიტიკურ მნიშვნელობის ფაქტად.

იხილავს რა ლონდონის ცნობას ოდესაში ოსმალეთ - საბჭოთა კავშირის-სპარსეთ - ავღანისტანის კავშირის მომზადების შესაძლებლობის შესახებ „ლავორს დ-იტალია" აცხადებს, რომ ასეთი კავშირი, განმტკიცებული საერთო სამხედრო და ეკონომიური ინტერესებით, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს დასავლეთ სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით კი ინგლისისათვის. (ადს).

გაფიცვის გადამწყვეტი დღეები

მთავრობის უკანასკნელი წინადადება

ლონდონი, 13 ნოემბერი. საბოლოო წინადადებანი, რომელნიც მთავრობამ მემაღაროეთა ფედერაციას გადასცა, შეიცავს შემდეგს:

1. მემაღაროეთა საერთო - ინგლისის ფედერაციამ დაუყოვნებლივ უნდა განაახლოს მუშაობა მაღაროებში რაიონული შეთანხმებათა საფუძველზე, ამავე დროს სამუშაო დღის გაგრძელების საკითხი შედის იმ საკითხებში, რომელთაც სწყვეტს რაიონული შეთანხმებანი. 2. მაღაროს მეპატრონეები თანახმა არიან დროებით დასტოვონ ლოკაუტამდე, ე. ი. ა.-წ. 30 აპრილამდე არსებული სამუშაო ხელფასის განაკვეთები (და ეგრედწოდებული საარსებო მინიმუმი ზოგიერთ ჩამორჩენილ მუშებისთვის, რომელიც გამოხატულია განსაზღვრულ ფულად ჯამში და არა პროცენტებში). წინანდელი განაკვეთ. დატოვება არ ვრცელდება ნორტუმბერლენდის, დერგების, კამბერლენდის და ჩრდილოეთ უელსის რაიონებზე. 3. მაღაროს მეპატრონეები თანახმა არიან დანიშნონ თვითეულ რაიონში შერეულ ქვეკომისიები „გადასაცემ ფასების" განსახილველად (გადასაცემი ფასები — ის ფასებია, რომელთა მიხედვითაც რომელიმე კომპანიის კუთვნილ მაღაროში ამოღებული ქვანახშირი გადაეცემა იმავე კომპანიის სავაჭრო ორგანოებს ან სავაჭრო სინდიკატს, რომელშიაც ეს კომპანია შედის. კომპანიები მაღაროებში აწესებენ მეტად მცირე გადასაცემ ფასებს იმ მიზნით, რომ ხელოვნურად დასწიონ მაღაროს პროდუქციიდან მიღებულ შემოსავლის ფასი). 4. მაღაროს მეპატრონეები აცხადებენ, რომ მუშები მიიღებიან უკანვე სამუშაოზე „გარემოების და მიხედვით" ისე, რომ ეს არ იქნება საზიანო იმათთვის, ვინც ამჟამად მუშაობს. 5. მუშაობის მუდმივი პირობები მყარდება რაიონული შეთანხმებებით. რაიონული შეთანხმება ითვლება მტკიცედ, თუ ის შეიცავს ზოგიერთ ზოგად დებულებებს (როგორც, მაგალითად, რაიონული საარბიტრაჟო ბიუროს დაარსება ნეიტრალურ თავმჯდომარის მეთაურობით; ქვანახშირის მრეწველობის შემოსავლიანობის პერიოდულად განსაზღვრა ბუღალტერებისა და ექსპერტების მიერ, რომელთაც ნიშნავს თვითეული მხარე:სამუშაო ხელფასზე დამატების რაოდენობის პერიოდულად მოწესრიგება ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 1924 წ. სამუშაო ხელფასის ძირითად განაკვეთზე პროცენტული დამატების მინიმუმი წესდება არა ნაკლებ 20 პროც. რაოდენობისა (გაფიცვამდე არსებულ 1924 წ. შეთანხმების მიხედვით ეს მინიმუმი დაწესებული იყო 33 პროც. რაოდენობით), მცირე ხელფასის მქონე მუშათა კატეგორიებისათვის საარსებო მინიმუმი რჩება წინად არსებული რაოდენობით 1927 წ. იანვრის ბოლომდე, ხოლო შემდეგ შეთანხმების ვადა სამუშაო ხელფასის მინიმუმის შესახებ წესდება სამი წლით). 6. მთავრობა კისრულობს, როგორც-კი ის დაადასტურებს, რომ ინგლისის ფედერაციამ შეასრულა წინადადება მაღაროებში მუშაობის განახლების შესახებ, შეიტანოს პარლამენტში კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ყოველი „არა მტკიცე" რაიონული შეთანხმება. თუ ის სამუშაო დღეს 7 საათზე უფრო მეტ ხანს აგრძელებს, შეიძლება გასაარბიტრაჟო დაწესებულებაში. „მტკიცე" შეთანხმება, და აგრეთვე ის შეთანხმება, რომელსაც სამუშაო დღეს 7 საათზე უფრო დიდხანს არ აგრძელებს, არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს. 7. საერთო-ინგლისის საარბიტრაჟო დაწესებულება შესდგება შრომის მინისტრის მიერ დანიშნულ სამრეწველო სასამართლოს წევრებისაგან და მოდავე მხარეთა ორ-ორი წარმომადგენლისაგან. 8. საერთო-ინგლისის საარბიტრაჟო დაწესებულებას უფლება აქვს „მტკიცე" პირობების ფარგლებში შეიტანოს შეთანხმებაში ის ცვლილებანი, რომელთაც ის საჭიროდ სცნობს. 9. საერთო-ინგლისის საარბიტრაჟო დაწესებულების რწმუნებულების ვადა გაგრძელდება მხოლოდ 6 თვით (ე. ი. ეს დაწესებულება იქნება იმ რაიონული შეთანხმებების შესახებ აღძრულ საჩივრების განსახილველად, რომელნიც დაიდება უშუალოდ მხოლოდ გაფიცვის გათავების შემდეგ).10. მთავრობა განახორციელებს 1926 წ. კანონის დადგენილებებს ქვანახშირის მრეწველობის შესახებ, რომლებიც შეეხებიან მუშა-ძალის დაქირავებას (ამ კანონის მე-18 მუხლის თანახმად, შრომის მინისტრს უფლება აქვს გასცეს განკარგულება, რომ ქვანახშირის მრეწველობაში მუშების დაქირავების დროს უპირატესობა მიეცეს იმ მუშებს, რომლებიც ამ დარგში მუშაობდენ ა. წ. 3 აპრილიდან 30 აპრილამდე). (ადს).

მაღაროს მეპატრონეთა თავგასულობა

ლონდონი, 11 ნოემბერი. მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომმა გამოაქვეყნა ის პირობები, რომელიც მთავრობამ წარუდგინა მას მაღაროების პატრონთა სახელით. მაღაროების პატრონების მოთხოვნილებები შემდეგში გამოიხატება: სამუშაო ხელფასი უნდა განისაზღვროს თვითეულ ოლქში შემოსავლიანობის მიხედვით; სამუშაო ხელფასის საერთო ჯამის შეფარდება მაღაროების პატრონთა წმინდა მოგების საერთო ჯამთან დაახლოვებით უნდა მერყეობდეს შემდეგნაირად: 87:13% და 85:15%-დე; პროცენტული მომატება 1914 წლის ძირითად სამუშაო ხელფასზე უნდა შეადგენდეს 20 პროცენტს. უნდა აღინიშნოს, რომ მაღაროების მეპატრონეები თავის პირობებში ერთი სიტყვითაც არ ახსენებენ რამე საერთო ნაციონალურ პრინციპებს, რომელნიც შეტანილ უნდა იქნენ საოლქო ხელშეკრულებებში. (ადს).

ლონდონი, 13 ნოემბერი. მაღაროს მეპატრონეებმა 12 ნოემბერს გამოაქვეყნეს ცნობა, რომელიც რამდენადმე შეიცავს მთავრობის მიერ წარდგენილ შეთანხმების კრიტიკას.

მთავრობამ უპასუხა შემდეგი განცხადებით: „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მთავრობას სასურველად მიაჩნია განმარტოს, რომ მემაღაროეებისადმი წარდგენილი პირობები კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ, თუმცა ერთ და იმავე დროს ეუწყა მაღაროს მეპატრონეების საერთო - ინგლისის ასოციაციის თავმჯდომარეს, მაგრამ არ წარმოადგენს მთავრობის მაღაროების მეპატრონეებთან შეთანხმების შედეგს. იმ შემთხვევაში, თუ ამ პირობებს მიიღებენ და შეასრულებენ მემაღაროეები, მაშინ მთავრობა თავისი ნებით (ე. ი. მაღაროს მეპატრონეების პოზიციისგან დამოუკიდებლად) შეუდგება პირობებით გათვალისწინებულ საკანონმდებლო გატარებას". (ადს).

შეთანხმება არაა მიღწეული

ლონდონი, 11 ნოემბ. სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომის და მინისტრთა კომიტეტის დახურული თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა მემაღაროების გაფიცვის საკითხი, დამთავრდა 12 ნოემბერს დილის 4 საათზე. **შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული.**

ფედერაციის აღმასკომმა მიიღო მთავრობის საბოლოო წინადადება, რომელსაც განსახილველად წარუდგენს სადელეგატო კონფერენციას. (ადს).

მტკიცე პოზიციებზე

ლონდონი, 11 ნოემბერი. **მემაღაროეთა მასიურმა მიტინგებმა ლიუიხში და მერტონეში (სამხრეთ უელსი) გამოიტანეს რეზოლიუციები, რომლებშიაც დაჟინებით მოითხოვენ, რომ მემაღაროეთა სრულიად ინგლისის ფედერაციამ მტკიცედ დაიცვას თავისი პოზიციები სამუშაო ხელფასის, სამუშაო დღის ხანგრძლივობის და სრულიად ინგლისის მასშტაბით შეთანხმების დადების საკითხებში.** (ადს).

კონფერენციის დადგენილება

ლონდონი, 11 ნოემბერი. მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციამ კავშირის აღმასკომს დაავალა დაუყოვნებლივ განაახლოს მოლაპარაკება მთავრობასთან რაიონულ შეთანხმებათა ნიადაგზე, აქედან გამომდინარე ყველა შედეგების გათვალისწინებით.ერთად ერთი პირობა იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნა, რომელმაც რაიონულ შეთანხმებათა დადების დროს უნდა უზრუნველჰყოს ზოგიერთი საერთო ნაციონალური პრინციპი. **ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კომუნისტების და აგრეთვე კუკის ხმების წინააღმდეგ;** უკანასკნელნი მოითხოვდენ მემაღაროეთა მთელი მასის დაკითხვას. დღეს საღამოს მემაღაროეთა კავშირის აღმასკომი შეხვდება მთავრობის წარმომადგენლებს. (ადს).

მემაღაროელებს შორის

ლონდონი, 11 ნოემბერი. მაღაროების ტეხნიკურ მეთვალყურე მუშების ფედერაციამ უარჰყო მემაღაროეთა ფედერაციის წინადადება, რომ მაღაროებში ტეხნიკურ მეთვალყურე მუშების დარჩენის საკითხი მათთან ერთად იქნეს განხილული. (ადს).

კუკის მოხსენება

ლონდონი, 12 ნოემბერი. მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციამ დღეს მოისმინა კუკის მოხსენება შეთანხმების პროექტის პირობების შესახებ. რომელიც გამოიმუშავა მთავრობამ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ მემაღაროეთა აღმასკომთან ერთად. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ პროექტის გარშემო სხდომა გადადვეს, სანამ აღმასკომის დეპუტაცია არ მიიღებს ზოგიერთი მუხლების შესახებ ახსნა - განმარტებას ლენ-ფოკსიდან. დეპუტაციამ დაბრუნების შემდეგ გააკეთა მოხსენება მიღებული ახსნა - განმარტების შესახებ და სხდომა გადაიდო ხვალამდე. როგორც იუწყებიან.

მომავალი ნაციონალური ტრიბუნალის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასახელებენ ცნობილ მონარქისტ ულიამ პლენდერის კანდიდატურას.

საფრანგეთის პარლამენტის სესია

პენლევეს კანონპროექტი

პარიზი, 13 ნოემბერი. პალატებმა განაახლეს მუშაობა. პენლევემ წარადგინა კანონპროექტი ერთი წლიანი სამხედრო სამსახურის შესახებ. (ადს).

თუ დაუჯერებთ პუანკარეს...

პარიზი, 13 ნოემბერი. „ჟურნალის" ცნობით, პუანკარემ, შეაქო რა პარლამენტის სიბრძნე, განაცხადა, რომ ხაზინა სრულიად გაჯანსაღებულია და შესაძლებლობას მისცემს საფრანგეთს შეასრულოს ყველა მისი ვალდებულებანი. ფრანკი იმაზე მეტი ღირს, რასაც მისი ეხლანდელი კურსი გვიჩვენებს. (ადს).

58 შეკითხვა

პარიზი, 13 ნოემბერი. დეპუტატთა პალატის გახსნის დროს პალატის თავმჯდომარემ პერემ განაცხადა, რომ შემოტანილია 58 შეკითხვა.

პუანკარემ განაცხადა, რომ პალატის თანხმობამ და დისციპლინამ გააუმჯობესა საფინანსო მდგომარეობა და დასძინა, რომ ბიუჯეტის დამტკიცება აუცილებელია შეკითხვების განხილვამდე. (ადს).

ჩინეთის ხალხის ბრძოლა

საბ. მთავრობის დახმარება

პეკინი, 11 ნოემბერი. რამოდენიმე ხნის წინ პეკინში საშუალებების უქონლობის გამო დახურეს მთელი რიგი უნივერსიტეტები. კარახანს გამგზავრების წინ პროფესორებმა სთხოვეს დახმარება ახალ თანხების მისაღებად იმ 300.000 დოლარის ანგარიშში, რომელიც საბჭოთა მთავრობამ მიიღო ბოქსიორთა კონტრიბუციის რუსეთის წილიდან საგანმანათლებლო მიზნებისათვის ჩინეთში. **მიღებულმა ზომებმა ნაყოფი გამოიღო.** იმ 200.000 დოლართან ერთად, რომელიც წინად გადაეცათ სკოლებს. ეს შეადგენს 500.000 დოლარს. სკოლები ემზადებიან მეცადინეობის განახლებისათვის

ინგლისელების წინააღმდეგ

პეკინი, 12 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ ჰონკონგიდან, რომ **მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ ძლიერდება.** დაარსებულია ახალი საბოიკოტო ორგანიზაციები, რომელნიც აგიტაციას ეწევიან ინგლისელ ვაჭრებთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ და დაჟინებით მოითხოვენ გამოცხადდეს ბოიკოტი ინგლისის გემებისადმი. **დაარსდა აგრეთვე საზოგადოება, რომელიც მოითხოვს უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებების გაუქმებას;** საზოგადოება მოითხოვს პირველ ყოვლისა უთანასწორო ხელშეკრულებების გაუქმებას. (ადს).

ოქტომბრის დღესასწაული

პეკინი, 11 ნოემბ. გომინდანის ორგანო „პიილს ტრიბიუნ" მოწინავე წერილს უძღვნის ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლისთავს და სწერს:

„ჩვენ იგივე გრძნობები გვასულდგმულებს, რაც სუნ-იატ-სენს, რომელმაც სიკვდილის წინ თავისი უკვდავი მიმართვა გაუგზავნა საბჭოთა მთავრობას". (ადს).

ფრონტებზე

პეკინი, 11 ნოემბ. სამხედრო მდგომარეობა ჩინეთში შემდეგში გამოიხატება:

პროვინცია ცზიან-სიში სუნ-ჩუან-ფანის არმიის ზოგიერთი დივიზიები კანტონის არმიის მხარეზე გადავიდენ. პროვინცია ან-ხოიში სუნ-ჩუან-ფანის არმიის ჯარები კანტონის ჯარების შეტევის გამო განაგრძობენ უკან — დახევას ან-ცინის მიმართულებით.

გაზეთები იუწყებიან აგრეთვე, რომ **კანტონის არმიის მხარეზე გადავიდენ იენ-კაი-შინის და მაჩის ჯარების დანარჩენი ნაწილები.**

შემოწმებული ცნობებით, პროვინცია ან-ხოის უფროსს ჩენ-ტია-სიუანს აღარ შეუძლია დარჩეს თავის პოსტზე მისი ჯარების დემორალიზაციის გამო.

პროვინცია ფუ-ცზიანში სამხედრო ოპერაციების განვითარება წარმატებით მიმდინარეობს კანტონელების სასარგებლოდ. სუნ-ჩუან-ფანმა პროვინცია ფუ-ცზიანის უფროსს აცნობა, რომ პროვინცია ცზიან-სიში არახელსაყრელი მდგომარეობის შექმნის გამო, მას არ შეუძლია დამხმარე ძალები გაგზავნოს ფუ-ცზიანში.

გაზეთები იუწყებიან, რომ სუნ-ჩუან-ფანი ეხლა თავის ამოცანად ისახავს ჯარების შეჯგუფებას იმ მიზნით, რომ შეინარჩუნოს პროვინციები ცზიან-სუ, ჩჟეცზიანი და პროვინცია ან-ხოის აღმოსავლეთი ნაწილი. (ადს).

ოქტომბრის ზეიმი პროვინციებში

კანტონი, 11 ნოემბ. **ხუნან ჩანშას პროვინციაში ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლისთავის დღესასწაული დიდის ზეიმით იქნა გადახდილი.** საღამოს მოეწყო დემონსტრაციები გრანდიოზული მსვლელობა. **საბჭოთა საელჩოს შენობის წინ გაიარა 100.000-ზე მეტმა მუშებმა,** გლეხებმა, სტუდენტებმა, ვაჭრებმა და ჯარისკაცებმა. დემონსტრანტებს მოჰქონდა დროშები წარწერებით. დემონსტრანტები ხმამაღლა ესალმებოდენ საბჭოთა კავშირს. მთავრობის დაწესებულებები საბჭოთა დროშებით იყო შემკობილი.

საბჭოთა პრესა

ჩვენი საშუალო სკოლა

უმაღლეს სკოლაში მისაღებმა წრევანდელმა გამოცდებმა ცხადჰყვეს მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობის ჩამორჩენილობა, როგორც ფორმალურ ცოდნის, ისე საერთო განვითარების მხრივ. ჩვენს უნივერსიტეტში შესვლის 2.000 მსურველიდან გამოცდა მხოლოდ 500 კაცმა ჩააბარა. უნდა ვიფიქროთ, რომ საერთოდ უფრო ნაკლებად იქნება მომზადებული და პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსადეგი ის რამოდენიმე ათასი ახალგაზრდა, რომელთაც საშუალო სკოლა გაათავეს, მაგრამ სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე პრეტენზია არ განუცხადებიათ. ეს გარემოება ერთხელ კიდევ აყენებს ჩვენს წინაშე დაბალ და საშუალო სკოლის გაუმჯობესების ამოცანას. ამხ. ა. კანჩეევი „იზვესტია"-ში ეხება რუსეთის უმაღლეს სკოლებში ჩატარებულ გამოცდებს, რომლებსაც დაახლოებით ისეთივე სურათი გადაუშლიათ, როგორც ჩვენს გამოცდებს, და ამბობს:

> „ძირითად დასკვნებად, რომელნიც გამომდინარეობენ გამოცდების მასალებიდან, უნდა მივიჩნიოთ: 1) ზომების დაუყოვნებლივი მიღება მეორე საფეხურის სკოლებში სწავლების გასაუმჯობესებლად, რომ აწეულ იქნეს მოწაფეთა ფორმალურ ცოდნის დონე სამოსწავლო პროგრამების სისტემატიურ და გეგმაშეწონილ შესრულების გზით; 2) მთელ რიგ კონკრეტულ ზომების გამომუშავება ცოდნის ნამდვილ თვისობრივ და რიცხვობრივ აღრიცხვის დასაყენებლად საშუალო სკოლაში, განსაკუთრებით მოწაფეთა უმაღლეს ჯგუფებში გადაყვანასთან დაკავშირებით, და აგრეთვე ზომების გამომუშავება პროგრამების შესრულებაზე მეთვალყურეობის გასაწევად; 3) ნამდვილი კანტროლის გაძლიერება სკოლაში პედაგოგიურ პროცესის ორგანიზაციაზე; 4) პროგრამების, სწავლების მეთოდების და სასკოლო ცხოვრების საერთო მდგომარეობის შემოწმება სასწავლო საქმის რაციონალიზაციის და მოსწავლეთა და მასწავლებელთა დროის ეკონომიის მიზნით; 5) კვალიფიციურ პედაგოგების სამუშაო ხელფასის დონის აწევა გადაჭარბებული დატვირთვის მოსპობის მიზნით, რომელიც საზიანოა მუშაობის ნაყოფიერებისათვის და სცემს პედაგოგის კვალიფიკაციას, და 6) ზომების მიღება მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცების საკითხის მოწესრიგებისათვის, დისციპლინის, რომლის უქონლობა ხშირად სასწავლო ცხოვრების ნორმალურად დაყენების საშუალებას არ იძლევა".

თუ ჩვენ მართლა გვინდა უმაღლესმა სკოლამ მოგვცეს ნამდვილი კვალიფიციური მუშაკები, საჭიროა პირველ ყოვლისა საშუალო სკოლამ მიაწოდოს მას სათანადოთ მომზადებული ახალგაზრდობა. დამოუკიდებლად ამისა, ყოველი ზომა უნდა მივიღოთ, რომ საშუალო სკოლა უშვებდეს ისეთ პირებს, რომელთაც შეეძლებათ საზოგადოებრივ და სამეურნეო მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღება. ამ მხრივ, სხვათა შორის, ყურადღების ღირსია ზევით ჩამოთვლილი ღონისძიებანიც.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პილსუდსკის მათრახის პოლიტიკა

პილსუდსკიმ განაცხადა, მე თანდათან ვრწმუნდები, რომ პოლონეთის მართვა უმათრახოთ არ შეიძლება.

(დეპეშებიდან)



გერმანიის მრეწველობა

ბერლინი, 11 ნოემბერი. გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ანგარიშით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა ოქტომბერში: სანახშირო მრეწველობაში გრძელდებოდა ქვანახშირის ამოღების ზრდა, რკინისა და ფოლადის დამუშავება და მათგან ნახევარ ფაბრიკატების დამზადება იანვართან შედარებით გაიზარდა 25 პროცენტით, ტრანსპორტზე ყოველდღიური დატვირთვა იანვართან შედარებით გაიზარდა 40 პროცენტით. პირველი შემთხვევაა, როცა სავაჭრო ბალანსი აქტიური გახდა. **ეკონომიური კონიუნქტურის ასეთი გაუმჯობესება აიხსნება უმთავრესად ინგლისის გაფიცვით.** (ადს).

საქსონიის შეთანხმებლები

ბერლინი, 11 ნოემბერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქსონიის ორგანიზაციის უმაღლესმა პარტიულმა დაწესებულებებმა გადასწყვიტეს იძულონ საქსონიის მთავრობის შედგენა, წარადგინონ მთავრობის პროგრამა და წამოაყენონ პრემიერ - მინისტრის კანდიდატი. გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამის გამო გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც ის წინასწარ არ სწყვეტს საქსონიის მთავრობისადმი მხარის დაჭერის საკითხს და აღნიშნავს, რომ მისი ტაქტიკა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეასრულებს ეს მთავრობა პროლეტარულ მოთხოვნილებებს. (ადს).

ფაშიზმის წინააღმდეგ

პარიზი, 12 ნოემბ. საფრანგეთისა და იტალიის კომპარტიებმა ორთავე ქვეყნის მუშებს მიმართეს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთისა და იტალიის შორის არსებობს კონფლიქტი, რაც არის შედეგი ვერსალის ხელშეკრულებით მთელ მსოფლიოში გამოწვეულ ეკონომიურ წინააღმდეგობათა. იტალიის ფაშიზმი, რომელიც სერიოზულ კრიზისს განიცდის, გაძლიერებით აღვივებს ნაციონალიზმს. სარგებლობს რა ამით, საფრანგეთის იმპერიალიზმი, საკუთარი ინტერესების მიზნით, ცდილობს დაშალოს იტალია - ესპანეთის კავშირი, აღადგინოს საფრანგეთ - ინგლისის თანამშრომლობა და საფრანგეთ - ესპანეთის კავშირი.

საფრანგეთისა და იტალიის პროლეტარიატი არ დაუშვებს, რომ გასულელონ ის საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკით, რომელიც ებრძვის კატალონიისა და იტალიის რევოლიუციონერებს.

საფრანგეთის და იტალიის მუშები საფრანგეთის ბურჟუაზიისა და ფაშიზმისაგან განთავისუფლდებიან მხოლოდ ორთავეს წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლით.

ბრძოლა კატალონიის დამოკიდებლობისათვის

პარიზი, 11 ნოემბერი. საფრანგეთის და ესპანეთის კომუნისტურმა პარტიებმა პერპინიაში ესპანელების დაპატიმრების გამო გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც აცხადებენ:

„კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც დაჩაგრულ ერთა ნამდვილი დამცველია, თუმცა სთვლის, რომ კატალონიის განთავისუფლება შესაძლოა მხოლოდ მასიური მოძრაობის საშუალებით, მაგრამ მიუხედავათ ამისა მხარს დაუჭერს კატალონიელთა ბრძოლას, დამოუკიდებლობისათვის, მით უმეტეს, რომ ეს ბრძოლა მიმართულია დე-რივერას დიქტატურის წინააღმდეგ".

შენიშვნა: საფრანგეთის და ესპანეთის კომპარტიების მოწოდებაში ლაპარაკია იმ რევოლიუციონურ ორგანიზაციის ასეულ წევრების დაპატიმრების შესახებ, რომელიც იბრძვის კატალონიის დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაარსებისათვის.

ეს დაპატიმრებები უმთავრესად მოხდა პერპინიანის რაიონში საფრანგეთ - ესპანეთის საზღვრების მახლობლათ და აგრეთვე პარიზში. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ბევრი იტალიელი ემიგრანტები, რომელნიც, როგორც გამოირკვა, შეუერთდნენ კატალონიის ორგანიზაციას და მონაწილეობა მიიღეს მის გეგმებში რიჩიოტი გარიბალდის დავალებით. რიჩიოტი, გარიბალდი ბელადის როლს თამაშობდა იტალიის ემიგრანტების ზოგიერთ ჯგუფებში და იმავე დროს, როგორც გამოირკვა, პროვოკატორ - აგენტათ მსახურებდა იტალიის პოლიციაში. ის მოქმედებდა იტალიის ფაშისტურ მთავრობის ინსტრუქციების თანახმად. ფაშისტური მთავრობა კი ცდილობს გაამწვავოს საფრანგეთ - ესპანეთის ურთიერთობა. (ადს).

იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულება

ტოკიო, 11 ნოემბერი. იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ნოტის ტექსტი, რომელიც პეკინის მთავრობას გაეგზავნა. ესაა იმ ნოტის პასუხი, რომელიც ჩინეთმა გაუგზავნა იაპონიას და რომელშიაც იგი მოითხოვდა იაპონია-ჩინეთის სავაჭრო ხელშეკრულობის გადასინჯვას.

იაპონიის მთავრობა აცხადებს, რომ იგი მზადაა დაიწყოს მოლაპარაკება ხელშეკრულობის მუხლების გადასინჯვისათვის პეკინის მთავრობის სურვილების მიხედვით; მაგრამ იაპონიის მთავრობა აქისთანავე აცხადებს, რომ მის თანხმობას პეკინის მთავრობის წინადადებაზე ისე არ უნდა შეხედონ, როგორც ჩინეთის უფლების ცნობას, რომ მას შეუძლია ეს გადასინჯვა მოითხოვოს. (ადს).

იტალიის მისია რუმინეთში

ვენა, 11 ნოემბერი. იტალიის მისია, რომელიც ეწვია რუმინეთს, უკვე გამოემგზავრა ბუქარესტიდან. მარშალი ბადოლიო მისიის რამოდენიმე სამხედრო წევრით რუმინიაში დარჩა და „მეცნიერულ მოგზაურობას" ახდენს ბესარაბიაში.

ბანკეტზე კიშინევში ბადოლიომ განაცხადა: „მეგობრო, როცა თქვენ ქვეყანას დაუდგება განსაცდელის ჟამი, მე თქვენ მხარეზე ვიქნები".

ამ განცხადების გამო რუმინეთის პრესის ნაწილი ფიქრობს, რომ სამხედრო ხელშეკრულობა დაიდება იტალიასა და რუმინიას შორის.

„ლუპტა" იუწყება, რომ ბადოლიო მოლაპარაკებას აწარმოებს იმ მიზნით, რომ იტალიიდან რუმინეთში შეტანილ იქნას დიდძალი იარაღი და ამუნიცია. (ადს).

რკინისგზელთა კონფერენცია

მოსკოვი, 12 ნოემბ. გზათა სახალხო კომისარიატმა მიიღო ცნობები რკინისგზელთა საერთაშორისო კონფერენციის შედეგების შესახებ, რომელიც შესდგა ბადენ-ბადენში სექტემბერში, 28 ქვეყნის. მათ შორის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით. კონფერენციამ გააუმჯობესა კავშირი საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ ევროპას შორის, საჭიროთ ალიარა კავშირის მოწყობა კავკასიისა და დასავლეთ ევროპას შორის. ციმბირის მატარებლების სამიმოსვლო სია შეთანხმებულ იქნა დასავლეთ-ევროპის მატარებლებთან. (ადს).

მოღალატე ტომასი

ლონდონი, 12 ნოემბ. რკინისგზელთა კავშირის აღმასკომმა, რომლის თავმჯდომარეა ტომასი, დაადგინა შეუწყვეტოს მატერიალური დახმარება მუშათა უნივერსიტეტს, რომელიც რამოდენიმე წლის წინად დაარსდა. რკინისგზელთა კავშირის აღმასკომმა თავისი გადაწყვეტილების შესახებ აცნობა უნივერსიტეტის შეფს — სამხრეთ უელსის სამთამადნო მუშათა ფედერაციას.

„მორნინგ პოსტ", უქებს რა კომუნისტებს რკინისგზელთა კავშირის აღმასკომის გადაწყვეტილებას, აცხადებს, რომ ოფიციალურ მოტივებს იქით იმალება ის გარემოება, რომ აღმასკომს არ სურს დახმარება გაუწიოს „წითელ უნივერსიტეტს". (ადს).

კომპარტია მუშების სადარაჯოზე

ბერლინი, 11 ნოემბ. ნაციონალისტები კვლავ უარყოფენ მთავრობის წინადადებებს, უმუშევართა დახმარების საკითხში. ამის გამო რეიხსტაგის სოციალურ - პოლიტიკურ კომისიაში გავიდა კომუნისტების წინადადება დახმარების ვადის შეზღუდვის გაუქმების შესახებ.

ნაციონალისტების ტაქტიკამ დიდი არევ - დარევა გამოიწვია სოციალ-დემოკრატების რიგებში. უკანასკნელებმა თავისი წინადადება უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ შეიტანეს მხოლოდ და მხოლოდ სააგიტაციო მიზნით. **სოციალ - დემოკრატები დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს წინადადება უარყოფილ იქნებოდა ბურჟუაზიულ პარტიების მთლიანი ფრონტით ნაციონალისტებთან ერთად.** კომუნისტების წინადადების მიღება აიძულებს სოც. დემოკრატებს მოითხოვონ ამ წინადადების განხორციელება და გამოვიდნენ ამ შემთხვევაში მთავრობის პარტიების წინააღმდეგ. (ადს).

პოლონეთის სოციალისტები ოპოზიციაში

ვარშავა, 11 ნოემბ. პრესის შესახებ კანონის მიღების გამო, **პოლონეთის სოციალისტური პარტია ოპოზიციაში ჩაუდგა მთავრობას.** გაზეთი „რაბოტნიკ" ეხება პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის რეზოლიუციას, პარტიის ოპოზიციაში გადასვლის შესახებ და სწერს: „პოლონეთის სოციალისტური პარტია განახორციელებს პრინციპიალურ ოპოზიციას მთავრობისადმი, რასაც არავითარი საერთო არ ექნება ნაციონალ - დემოკრატების საერთო ოპოზიციასთან, რომელიც არაფერს არ ზოგავს იმისათვის, რომ არსებობა მოუწამლოს მინისტრებს და, პირველ ყოვლისა, პილსუდსკის". (ადს).

კომუნისტების გამარჯვება

ათინა, 11 ნოემბერი. **საბერძნეთის პარლამენტის უკანასკნელ არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს 8 ადგილი.**

წინანდელ პარლამენტში კომპარტიას არც ერთი დეპუტატი არ ჰყავდა. (ადს).

გერმანია-პოლონეთის ურთიერთობა

ბერლინი, 12 ნოემბ. გერმანიის მთავრობამ გაუგზავნა პოლონეთს მკაცრი საპროტესტო ნოტა იმის გამო, რომ პოლონეთის კონტრ - დაზვერის ოფიცრები, გერმანიის სახალხო კავშირის წევრთა საჯარო გასამართლების დროს კატოვიცაში, გერმანიის გენერალურ საკონსულოს არქივის მოსყიდულ თანამშრომლების საშუალებით რამოდენიმე თვის განმავლობაში ითვისებდნენ აუარებელ საბუთებს, რაც წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებების დარღვევას.

კომუნისტების დევნა

ბერლინი, 11 ნოემბერი. გერმანიის რეიხსტაგის სარეგლამენტო კომისიამ უარჰყო კომუნისტების წინადადება, რომელიც მოითხოვდა გერმანიის კომპარტიის ცეკას ყოფილ წევრების წინააღმდეგ აღძრულ პროცესის სავსებით მოსპობას; კომპარტიის აღნიშნულ წევრებს აბრალებენ სახელმწიფო ღალატს.

კომისიამ დაადგინა ამ საქმის სასამართლო გამოძიება შეჩერებულ იქნეს 1927 წლის საზაფხულო არდადეგებამდე. (ადს).

მუშათა ბრძოლა

პრაღა, 11 ნოემბ. პარიზის საფეიქრო ფაბრიკების პატრონებმა ერთი ფაბრიკის მუშათა გაფიცვის საპასუხოთ ლოკაუტი გამოუცხადეს 2.000 მუშას. მუშების გაფიცვა გამოწვეული იყო იმით, რომ ადმინისტრაციამ უარყო მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის 10 პროცენტით გადიდების შესახებ. (ადს).

ტერორი პოლონეთში

კიევი, 13 ნოემბერი. რემედასის კიევის განყოფილებაში გამოცხადდა რევოლიუციონერი კარაიმი, რომელიც დაბრმავდა წამების გამო, რაც მან გადაიტანა პოლონეთის ციხეში. კარაიმი დაატუსაღეს პოლონელებმა იმ ბრალდების გამო რომ ის თითქოს ეკუთვნოდა უკრაინის მოაჯანყეთა ორგანიზაციას. ციხეში მან დაჰყო წელიწად ნახევარი საშინელ პირობებში. მას ქონდა დადებული ბორკილები ხელებსა და ფეხებზე. (ადს).

მეცნიერთა კონფერენცია

ტოკიო, 12 ნოემბერი. დაიხურა წყნარ - ოკეანის ქვეყნების მეცნიერთა მესამე კონფერენცია. კონფერენციამ დაადგინა საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წარმომადგენლები. საკავშირო მეცნიერებათა აკადემია ლენინგრადში ცნობილ იქნა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელ მეცნიერულ დაწესებულებად.

კონფერენციამ დაადგინა, მეოთხე ყრილობა მოწვეულ იქნას 1929 წელში, კუნძულ იავაზე. (ადს).

ხიკსის წინააღმდეგ

ლონდონი, 11 ნოემბ. „მანჩესტერ გარდიენ"-ის ცნობით, ნიუპორტში ქალაქის საბჭოს მუშათა პარტიის ფრაქციის წარმომადგენელმა საბჭოში შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიც მოითხოვს შინაგან საქმეთა მინისტრის ჯონსონ ხიკსის გამოსვლის აკრძალვას. ხიკსის გამოსვლა დანიშნულია 15 ნოემბრისათვის.

რეზოლიუცია ამბობს: „ვინაიდგან შინაგან საქმეთა მინისტრის ჯონსონ ხიკსის გამოსვლას შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებრივ წესრიგის დარღვევა, საბჭო ავალებს პოლიციის უფროსს აკრძალოს მიტინგი ჯონსონ ხიკსის მონაწილეობით და გამოიყენოს ამისთვის ის უფლება, რომელიც მას ეძლევა განსაკუთრებულ წესების ძალით". (ადს).

ღამის ცნობები

ერთა ლიგის კონტროლი

პარიზი, 12 ნოემბერი. პრესა ამტკიცებს, რომ წამოჭრილია საკითხი, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალების კონტროლი გადავიდეს საკავშიროთა შორისო საკონტროლო კომისიის განკარგულებიდან ერთა ლიგის განკარგულებაში. (ადს)

მუშებმა გაიმარჯვეს

პარიზი, 12 ნოემბერი. 8 თვის ლოკაუტის შემდეგ შატო რენოს მელითონეებმა განაახლეს მუშაობა, მიაღწიეს რა სამუშაო ხელფასის 3 ფრ. 20 სანტ. გადიდებას დღეში. (ადს).

სამხედრო აკადემია

ხარბინი, 12 ნოემბერი. პრესა იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინმა გადასწყვიტა დაარსოს სამხედრო აკადემია.

„გაუმარჯოს წითელ დროშას"

ლონდონი, 11 ნოემბერი. კისლაიტში პოლიციამ დააპატიმრა კომუნისტი მაღაროს მუშა, რომელმაც ცარცით დასწერა დაფაზე: „გაუმარჯოს ლენინს, გაუმარჯოს მაკლინს, ძირს წითელ-თეთრი-მწვანე დროშა, გაუმარჯოს წითელ დროშას". (ადს)

ნობელის პრემია

სტოკჰოლმი, 12 ნოემბერი. შვეციის სამეცნიერო აკადემიამ ნობელის ლიტერატურის პრემია 1925 წლისათვის მიუსაჯა **ბერნარდ შოუს** 1925 წლის პრემია უდრის 108.000 შვეციურ კრონას. (ადს)

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 13 ნოემბერი. 13 ნოემბერს საღამოს კომინტერნის წითელ დარბაზში გაიხსნა ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი. დაესწრო აღმასკომის 27 წევრი და სხვადასხვა კავშირების 15 წარმომადგენელი. ამათ გარდა პლენუმზე მონაწილეობას იღებენ კომინტერნისა და ს. ა. ლ. კ. კ. დელეგატები.

სოც.-დემოკრატების დახმარებით

ბერლინი, 13 ნოემბერი. პარლამენტის კრიზისი, რომელიც წარმოიშვა რეიხსტაგში იმ წინადადებაზე კენჭის ყრასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა უმუშევართა დახმარების საკითხს,—მოწესრიგებულია მთავრობის პარტიებსა და სოც.-დემოკრატებს შორის შეთანხმების გზით; შეთანხმება ითვალისწინებს, რომ მომავალში რომელიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდი აღნიშნული პარტიები წინასწარ შეთანხმდებიან ურთიერთ შორის.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის წინ

მოსკოვი, 13 ნოემბერი. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმას. კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე 10 ნოემბერს წამოყენებული იყო კომინტერნის აღმასკომის სამდივნოს წინადადება აღმასკომის გაფართოებული პლენუმის გახსნის წესრიგის შესახებ. პლენუმის გახსნის დღე საბოლოოდ არ არის დაწესებული. მიღებულია წინადადება, რომ პლენუმს გახსნის ამხ. ბუხარინი, რის შემდეგ მიეცემა სიტყვა მისალმებისათვის ცალკე სექციების წარმომადგენლებს. (ადს).

ურბანსის და სხ. საქმე

მოსკოვი, 13 ნოემბერი. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ გერმანიის კომპარტიაში და დაადგინა: დაამტკიცოს ურბანსის, ივანოვისა და შოლემას გერმანიის კომპარტიიდან გამორიცხვა და გააგრძელოს ყოველგვარი დახმარების გაწევა გერმანიის კომპარტიის ცეკას მიმართ უკიდურეს-მემარცხენე ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში. (ადს)

საიმპერიო კონფერენცია

ლონდონი, 13 ნოემბერი. კონფერენციის მიერ განსახილველი მთავარი თემა ორშაბათის სხდომაზე იქნება საიმპერიო თავდაცვის საკითხი. ამ საკითხის განხილვა დაიწყო ერთი კვირის წინად, მაგრამ გადაიდო ზოგიერთი საკითხის უფრო დეტალურად განსახილველად. ამ ხნის განმავლობაში დელეგატებმა ინახულეს საამირალო, სამხედრო სამინისტრო და ავიაციის სამინისტრო. (ადს)

პირველი სინათლე

ლენინგრადი, 13 ნოემბერი. 12 ნოემბერს საღამოს 7 საათზე „ვოლხოვსტროიზე" რუსულმა მცირე გენერატორებმა პირველად გაუშვეს ელექტ.-ის ნაკადი. სადგურის შენობა და „ვოლხოვსტროის" მუშათა ქალაქი განათებულია ეხლა სწარმოებდა შვეციის ტურბოგენერატორის № 4 გამოცდა, რომელმაც იმუშავა 4 საათის განმავლობაში 10—11 ათასი ვოლტის ძალით. გამოცდამ სრულიად დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სავალდებულო აქიმობა

მოსკოვი, 12 ნოემბ. საბჭოთა რუსეთის სახ. კომისართა საბჭომ ნება დართო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს შემოიღონ იმ ვენერიულ ავადმყოფთა იძულებითი შემოწმება და აქიმობა, რომელნიც ავადმყოფობის გადამდებ პერიოდში იმყოფებიან და უარს ამბობენ აქიმობაზე. (ადს).

შაქრის ტრესტი

მოსკოვი, 11 ნოემბ. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო საგეგმო კომისიამ საბოლოოდ დაამტკიცა შაქრის ტრესტის საწარმოო - საფინანსო პროგრამა 1926—27 წლისათვის. ამ გეგმის თანახმად შაქრის ქარხნების რაოდენობა გადიდებულია 128-დან 155-მდე. პროდუქცია 1927 წელში შეადგენს 10.717.300 ცენტნერს, 1926 წელში კი 9.122.500 ცენტნერი იყო.

კომისია ითვალისწინებს რა შაქრის მრეწველობაში მომუშავე მუშების მეტად მძიმე ყოფა - ცხოვრების პირობებს, ადგენს, რომ შაქრის ტრესტს მიეცეს 400.000 მან. მუშების სხვადასხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. (ადს).

ინდუსტრიალიზაციისათვის

მოსკოვი, 12 ნოემბ. საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებასთან შემდგარ, თათბირზე მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. რუხიმოვიჩის მოხსენება, 1926—27 წელში მრეწველობის უმთავრეს სამუშაოთა გეგმის შესახებ.

საკავშირო პროფკავშირთა საბჭომ და პროფკავშირთა ცეკამ საჭიროთ ცნეს, რომ აღმშენებლობის გეგმის განხორციელების დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, წარმოების რაციონალიზაციას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, საბინაო აღმშენებლობას და მრეწველობის უზრუნველყოფას კვალიფიციურ ტექნიკურ ძალებით. (ადს).

აშენბრენერის კუბოსთან

მოსკოვი, 13 ნოემბერი. 12 ნოემბერს გარდაცვლილი რევოლიუციის ვეტერანის აშენბრენერის ცხედარი გადმოასვენეს პოლიტკატორღელთა საზოგადოების კლუბში. კუბოსთან დგას ორი სურათი: ერთი მათგანი გამოხატავს ჯანლონით სავსე, ახალგაზრდა ოფიცერ რევოლიუციონერ აშენბრენერს დატყვევების წინ. მეორე — კი—დაქანცულ მოხუც აშენბრენერს მისი განთავისუფლების შემდეგ. რევოლიუციონერის კუბოს ამშვენებს ბორკილები ნიშნად თორმეტი წლის საკატორღო ცხოვრებისა და წითელარმიელის ქუდი, რომელსაც განსვენებული ატარებდა თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. (ადს).

ამიერ - კავკასიის შესწავლა

ლენინგრადი, 12 ნოემბერი. სამეცნიერო აკადემიაში ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების შესასწავლად დაარსდა სპეციალური კომისია, რომელმაც უკვე შეიმუშავა ამიერ - კავკასიის შესწავლის გეგმა. კომისიაში შედიან სხვადასხვა დარგის ცნობილი მეცნიერები. (ადს).

პურის დამზადება

მოსკოვი, 12 ნოემბ. ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარემ ლიუბიმოვმა წერილობით მიმართა ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომელშიაც ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პურის დამამზადებელ რაიონებში სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარების აუცილებლობას. ცენტროსოიუზმა წარსულ წელთან შედარებით 60 პროც-ით მეტი ხორბალი დაამზადა. აუცილებელია შემდეგში პურის დამზადების ტექნიკის გაუმჯობესება. (ადს).

ამხ. სერებროვსკის გამგზავრება

მოსკოვი, 12 ნოემბ. ნავთის სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარე ამხ სერებროვსკი ნავთის ექსპორტის საქმეების მოსაგვარებლათ საზღვარ გარეთ გაემგზავრება. (ადს).

ბამბის ნათესები

მოსკოვი, 12 ნოემბ. მთავარ საფეიქრო სამმართველოში შესდგა შუა აზიის რესპუბლიკების მებამბეობის მთავარ კომიტეტის, საფეიქრო სინდიკატის და დანარჩენ დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი შუა აზიაში ბამბის ნათესების გაფართოების შესახებ. თათბირმა აღნიშნა, **რომ ბამბის ნათესების გაფართოებასთან ერთად საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ბამბის მოსავლიანობის გასადიდებლათ** ეს საკითხი დღემდე არ არის სათანადოთ დამუშავებული. თათბირმა დაადგინა მიმართოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს თხოვნით, რომ მან დაავალოს სამეცნიერო გამომკვლევ ინსტიტუტს შეუდგეს ხელოვნურ განოყიერების საკითხის დამუშავებას, ბამბის სათესი მიწების მოსავლიანობის გასადიდებლათ. (ადს).

მელითონეთა ხელფასი.

მოსკოვი, 12 ნოემბ. მელითონეთა კავშირის ცეკამ გენერალური ხელშეკრულება დასდო ლითონის მთავარ სამმართველოსთან. 1926—27 წლის ხელფასის გასადიდებელი ფონდის განაწილების შესახებ. ამ ფონდიდან ამიერკავკასიის სპილენძის წარმოებას ხვდა 660.000 მანეთი. (ადს).

ბეჭდვითი სიტყვის ცეხიუროში

მოსკოვი, 12 ნოემბ. გაიხსნა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს მორიგი პლენუმი. (ადს).

რუსეთის ცაკის სესია

ადგილობრივი ფინანსები

მოსკოვი, 13 ნოემბერი. ამხ. ბელობოროდოვის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის შემდეგ საკავშირო ცაკის სესიამ 12 ნოემბრის სხდომაზე მიიღო სახკომსაბჭოს პროექტი ადგილობრივ სამეურნეო განყოფილებათა აღდგენის შესახებ. შემდეგ სესიამ მოისმინა ამხ. **კოროლიოვის** მოხსენება ადგილობრივი ფინანსების მდგომარეობის შესახებ. აქამდე—ლაპარაკობს ამხ. კოროლიოვი—იმ ორგანოების სტრუქტურა, რომელნიც განაგებენ ადგილობრივ ფინანსებს, სხვადასხვანაირი იყო. აუცილებელი გახდა, რომ უფრო დაწვრილებით ჩამოყალიბებული ყოფილიყო მათი უფლება. დებულების პროექტი უფრო გარკვევით აწესებს ამ ორგანოების უფლებას. განსაკუთრებით ზედმიწევნით არის დამუშავებული თემებისა და სხვა დაბალი ორგანოების ფუნქციები. პროექტი აღნიშნავს, რომ ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივ საბჭოების მოქმედების საფუძვლების დამყარებასთან ადგილობრივი ფინანსების დარგში და აგრეთვე ადგილობრივ გადასახადის განაკვეთის, აკრეფისა და ზედნადები ნორმების დამტკიცება საბჭოების ყრილობების კომპეტენციას უნდა მიეკუთვნოს, დანარჩენი მოსამზადებელი ხასიათის საკითხები კი—აღმასრულებელი ორგანიზაციების კომპეტენციას. დებულება ზედმიწევნით განსაზღვრავს ამ ორგანოების ფუნქციებს. დებულებაში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ადგილობრივი ბიუჯეტის ნივთიერი ნაწილის განსაზღვრას. ადგილობრივ საბჭოებს ეძლევათ უფლება დაადონ გადასახადი შენობებს, ტვირთებს, საბირჟო გარიგებას, ოქროს მრეწველობას, მერქანს, სატრანსპორტო საშუალებებს და სხ. ადგილობრივი ფინანსების ნივთიერი ნაწილის გადასინჯვა შეეხო არა მარტო საშემოსავლო ნაწილს, არამედ გასავლის ნაწილსაც. საკავშირო მთავრობამ გაატარა მთელი რიგი ზომებისა, რომლებიც ანთავისუფლებს ადგილობრივ ბიუჯეტს ზოგიერთი გადასახადებისგან. დებულება ითვალისწინებს აგრეთვე სათადარიგო თანხების შექმნას ადგილობრივი ბიუჯეტის მიხედვით. ადგილობრივ ბიუჯეტში პირველად შედის ისეთი ხარჯები, როგორც ფინანსების მიწოდება ადგილობრივი მრეწველობისათვის, რაც დღემდი არ ყოფილა გათვალისწინებული. ამას გარდა მომავალი წლის ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებულია ხარჯების გადიდება საბინაო, სასკოლო და საავადმყოფოების აღმშენებლობის საქმეზე. სასკოლო აღმშენებლობის განვითარებისათვის გათვალისწინებულია ფონდი 5 მილიონი მანეთის რაოდენობით. საგზაო აღმშენებლობაში კი სუბსიდიების მიცემა გადაწყვეტილია მხოლოდ სუსტ და ჩამორჩენილ ადგილობრივ ბიუჯეტებისათვის. ამხ. კოროლიოვის მოხსენების ირგვლივ გამართული კამათი არ დასრულებულა და გადატანილია 18 ნოემბრის დილის სხდომაზე. (ადს)

ა.-კ. ფედერაციაში

სომხეთი

ბამბის მოსავალი

ერევანი, 12 ნოემბერი. სომხეთის საბამბო კომიტეტის ცნობით, მთელ სომხეთში ბამბის მოსავალი, ცუდი ამინდების მიზეზით დაზარალდა 20 პროც.

მიმდინარე წელს სომხეთში დამზადებული ბამბა განაწილებულ იქნება ლენინაკანის, თბილისის, ბაქოს და დაღესტანის საფეიქრო ფაბრიკებს შორის, ხოლო ნარჩენი გაიგზავნება მოსკოვში.

ოქტომბერში სომხეთის საბამბო კომიტეტმა შეაგროვა და მებამბეთ მიჰყიდა 100 რონოდა ხორბალი. (ად).

ერევნის კონსერვები

ერევანი, 12 ნოემბერი. სომხეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა გერმანიაში გადაგზავნა ჭერამის კონსერვების დიდძალი პარტია.

მოთხოვნილება ერევნის კონსერვებზე სჭარბობს მიწოდებას.

სომხეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ფინანსიური გეგმა 1926—27 წლისათვის გულისხმობს 9.272.914 მანეთის ხარჯებს.

ურთიერთობა ინგლისთან

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 11 ნოემბ. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჩემბერლენმა თემთა პალატაში უარყოფითი პასუხი გასცა შეკითხვაზე, — მიღწეულია თუ არა რამე გაუმჯობესება იმ საკითხში, რომელიც შეეხება ინგლისის ფინანსიურ პრეტენზიებს რუსეთისადმი. შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მან [illegible] საბჭოთა წარმომ[illegible] [illegible] მეთა კომისარიატი სიხარულით შეხვდებოდა მოლაპარაკების დაწყებას, რომლის მიზანი იქნება უკეთესი ნიადაგის შექმნა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობისათვის. ჩემბერლენმა დასძინა, რომ მან საბჭოთა წარმომადგენლებს მიუთითა იმ პირობებზე, რომელიც წინ უნდა უძღოდეს [illegible] წარმატებით დამთავრე[illegible] (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

მოსკოვის პარტაქტივის ხმა

მოსკოვი, 13 ნოემბერი. 12 ნოემბერს კავშირების სახლში შედგა საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტიურ მუშაკთა საქალაქო კრება. მეხუთმეტე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებების შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. მოლოტოვმა. გაცხოველებული კამათისა და საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო (ერთმა თავი შეიკავა) რეზოლიუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება მთლიანად და სავსებით უერთდება მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს, როგორც სოციალისტური აღმშენებლობის საკითხებში, ისე კომინტერნის პოლიტიკის საკითხებში. აქტივის კრება მოუწოდებს მოსკოვის ყველა ორგანიზაციას გაატარონ ცხოვრებაში მე-15 საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებები და აწარმოონ შეურიგებელი ბრძოლა ოპოზიციის სოც.-დემოკრატიული გადახრის წინააღმდეგ მის საბოლოო მოსპობამდე. მოსკოვის ორგანიზაცია მე-15 საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე კიდევ უფრო მჭიდროთ შეკავშირდება ცენტრ. კომიტეტის ირგვლივ ბოლშევიკური რკინისებური მთლიანობის დასაცავად, შემდგომი შემოქმედებითი მუშაობის საწარმოებლად. ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის და საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად". (ადს).

ა. ლ. კ. კ. ქუთაისის სამაზრკომის პლენუმი ოპოზიციის შესახებ

1-ლ ნოემბერს გაიხსნა ა. ლ. კომკავშირის ქუთ. მაზრკომის პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. **სალუქვაძის** მოხსენება ა. ლ. კომკავშირის ცეკას მესამე პლენუმის შედეგზე და იმ ღონისძიებებზე, რომელიც ოპოზიციის წინააღმდეგ იქნა მიღებული.

პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

საქ. ა. ლ. კომკავშირის ქუთ. სამაზრო კომიტეტის პლენუმი, თემკომების მდივნებთან ერთად, მოისმინა, რა მან ამხ. სალუქვაძის მოხსენება ცეკას მესამე პლენუმის შედეგებზე, ერთხმად უერთდება პლენუმის ყველა დადგენილებებს და ცეკას პოლიტიკურ — ორგანიზაციულ ხაზს სთვლის სწორად.

პლენუმი აღნიშნავს დიდ მიღწევებს ჩვენი ორგანიზაციის რიცხვობრივი და თვისობრივი ზრდის საქმეში. განსაკუთრებით ხაზს უსვამს ჩვენი ორგანიზაციის პოლიტიკურათ გაზრდის ფაქტს ლენინიზმის საფუძვლებზე.

პარტიული ოპოზიციის ცდები, კომკავშირში გადაეტანა შინა-პარტიული ბრძოლის საკითხები და გამოეყენებია კომკავშირი პარტიის წინააღმდეგ, დაიმსხვრა კომკავშირის მასის და აქტივის ლენინური შეგნების მტკიცე კედელზე.

პლენუმი სავსებით უერთდება და იწონებს ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებებს ოპოზიციონერ ამხ. ძიგრაშვილის, ფრანგიშვილის, ტაბიძისა და სხვათა მიმართ, რომელნიც ცდილობდნენ კომკავშირში ოპოზიციის შეხედულებათა გავრცელებას.

პლენუმი სთვლის, რომ მომავალშიც ლენინური სიმტკიცით უნდა იქნეს გაგრძელებული იდეური და ორგანიზაციული ბრძოლა იმ ელემენტების, წინააღმდეგ რომლებიც თავისი დეზორგანიზატორული პოლიტიკით, ხელს უშლიან ცეკას კავშირის ახალ მიღწევებისაკენ წაყვანის საქმეში. ეხლანდელ ოპოზიციას საქართველოს კომკავშირში ახასიათებს, ის რომ ოპოზიციაში თავმოყრილია უკმაყოფილო ხალხი, რომელიც უკლონისტურ ბანაკს ეკუთვნოდა წინეთ და ეხლა ქრონიკულათ განაგრძობს ოპოზიციონერობას, აერთებს რა თავის შეხედულებებში ტროცკისტულ და სხვა ანტი-ლენინურ გადახრებს.

ჩვენს ორგანიზაციას არაფერი საერთო არ აქვს იმ ხალხთან, რომელნიც ლიკვიდატორულმა შეხედულებებმა ტროცკიზმთან მიიყვანა.

მომავალში საჭიროა გაძლიერებულ იქნას აღმზრდელობითი მუშაობა ოპოზიციის შეცდომების შესწავლის და გამოაშკარავების გზით და განსაკუთრებით ოპოზიციის პრინც. შეხედულებათა ირგვლივ, რომელნიც ტროცკისტულ ანტი-ლენინურ არსენალიდან გამომდინარეობენ.

ჩვენს მაზრაში ადგილი ჰქონდა შინა-პარტიულ მდგომარეობის გამწვავებას. ოპოზიცია, რომელიც პარტიის ზედა ფენებში იყო, გარიყული აღმოჩნდა მასებში და მას კომკავშირში არ ჰქონდა არავითარი გასავალი.

პლენუმი უერთდება და იწონებს იმ დადგენილებებს და ღონისძიებებს, რომელიც მიღებული იქნა ჩვენს მაზრაში ოპოზიციონერთა წინააღმდეგ.

ჩვენი მაზრის ორგანიზაცია მუდამ იქნება მტკიცე დასაყრდენი ლენინურ ცეკასათვის, იმ ბრძოლის საქმეში, რომელიც საჭიროა ანტილენინურ გადახრების წინააღმდეგ.

წინააღმდეგ ტროცკისტულ გადახრებისა, ჩვენი ორგანიზაცია მუდამ დარჩება ლენინიზმის იდეების განხორციელებისათვის მებრძოლ ორგანიზაციათ.

გაუმარჯოს აბსოლიუტურათ მთლიან და ერთად-ერთ ლენინურ პარტიას!

გაუმარჯოს მის საიმედო რეზერვს ლენინურ კომკავშირს"!

დელეგატ ქალთა არჩევნები

არჩევნების შედეგები მე-4 რაიონში

(თბილისი)

დელეგატების გადარჩევანი დაიწყო 15 ოქტომბრიდან და 30 ოქტომბრამდე გაგრძელდა, ამ კამპანიასთან ერთად მეოთხე რაიონში მიმდინარეობდა უჯრედების ბიუროების გადარჩევები, რაც ზოგიერთ ადგილებში ხელს უშლიდა წინასწარ მუშაობის წარმოებას, დელეგატ ქალების გადარჩევების ჩასატარებლათ.

გადარჩევები უნდა ჩატარებულიყო სულ 28 პუნქტში. 24 პუნქტში ის უკვე ჩატარდა. გადარჩევებში მონაწილეობა მიიღო სულ 1.962 კაცმა. წარსულ წელთან შედარებით დამსწრეთა რიცხვი გაიზარდა 567-ით. დამსწრე მამაკაცების რიცხვმაც იმატა. გადარჩევები დიდის სიცხოველით ტარდებოდა, და კრებები მიმდინარეობდა მშრომელ ქალთა რიგების შემჭიდროების ნიშნის ქვეშ.

მოხსენების გარშემო კამათი საქმიანი ხასიათის იყო. კამათში ეხებოდენ უმთავრესათ სუსტ ხელმძღვანელობას უჯრედების მხრივ და იმ უყურადღებობას, რომელსაც სხვადასხვა ორგანიზაციები იჩენდენ პროფესიონალურ, კოოპერატიულ და ნებაყოფლობის ორგანიზაციებზე მიმაგრებულ დელეგატ ქალების მიმართ. აღნიშნავდენ აგრეთვე სუსტ ხელმძღვანელობას ადგილკომების მხრივ, რაც იმაში გამოიხატა, რომ საერთო კრებებზე მხოლოდ ქალები ესწრებოდენ და მამაკაცების დაუსწრებლობა შესამჩნევი იყო.

დელეგატ ქალების ანგარიშებიდან გამოირკვა, რომ ქალთა ორგანიზაციებიც თავის მხრივ არა საკმარისათ მუშაობდენ.

დაწესებულებებსა და წარმოებებში დელეგატ ქალებთან ერთად წინასწარ არ მუშავდებოდა ის საპროგრამო საკითხები, რომელიც შემდეგ სადელეგატო კრებებზე უნდა გარჩეულიყო. დელეგატი ქალები უკმაყოფილონი იყვნენ აგრეთვე იმიტომაც, რომ კომუნისტები კოლები თათბირებზე სრულებით არ ესწრებოდენ.

იძლეოდენ მრავალ შეკითხვებს, რომელთა შორის დამახასიათებელია შემდეგი: მაგ., 1) სადელეგატო კრებები მუშაობდენ თუ არა, საუკეთესო გამოცდილი დედის და დიასახლისის აღზრდის საქმეში; 2) რა არის ოპოზიცია და რას მოითხოვს ის? 3) რა დახმარება შეგვიძლია ჩვენ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში და სხვ.

დელეგატ ქალების გადარჩევების შედეგები შემდეგ სურათს შეიცავს:

მე-4-ე რაიონში წარსულ წელში ითვლებოდა სულ 425 დელეგატი ქალი. წელს კი არჩეულ იქნა სულ 205 დელეგატი ქალი. დელეგატი ქალების რიცხვი შემცირდა 50 პროც. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ წარსულ წელს 20 მოსამსახურე ქალზე 1 დელეგატ ქალს ირჩევდენ და წელს კი 45-ზე ირჩევენ ერთს. მეოთხე რაიონში მოსამსახურეთა რიცხვი სჭარბობს და ამიტომ ქალთა ნაკლები რიცხვი იქნა არჩეული დელეგატად.

სოციალურ მდგომარეობის მიხედვით —93 (47 პროც.) მუშა ქალია, 63 (23 პროც.) მოსამსახურე და 49 (24 პროც.) დიასახლისი. წარსულ წელში მოსამსახურე ქალთა რიცხვი სჭარბობდა.

ნაციონალური შემადგენლობის მიხედვით—101 (50 პროც.) ქართველი, 70 რუსი, 25 სომეხი, 3 ლატიში, 2 გერმანელი და 4 ებრაელი.

მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთ დაწესებულებებში დელეგატ ქალთა გადარჩევები პასიურათ ჩატარდა, მაინც უნდა აღინიშნოს ის რაც მიმდინარე არჩევნებს, შესამჩნევლათ ანსხვავებდა წარსულ წლების არჩევნებისაგან:

1) ფართო მასის მონაწილეობის მიღება სადელეგატო კრებების კამპანიის ჩატარებაში;

2) სერიოზული ყურადღების მიპყრობა პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების მხრივ;

3) აქტივობის ზრდა, როგორც თვით დელეგატ ქალთა, ისე ორგანიზატორ ქალთა და მამაკაცთა შორის.

4) მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება სადელეგატო კრებების შემადგენლობაში და სხვ.

ა. მ.

სწორი პარტმუშაობა ზრდის პარტიის ავტორიტეტს

(დუშეთის მაზრკომის საქმიანობა)

დუშეთის სამაზრო კომიტეტის მუშაობა საგრძნობლათ გაცხოველდა უკანასკ. თვეებში პარტიულ მუშაობას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ზაფხულობით ამ მაზრის გლეხობა მთელი ოჯახის შემადგენლობით თითო და ოროლი კვირაობით მიდიან მინდვრებში სამუშაოთ. გარდა ამისა, მაზრის პასუხის მგებელ ამხანაგები სარგებლობდენ თავიანთი შვებულებით და ჩამოშორებული იყვნენ პარტმუშაობას. მიუხედავათ ამისა სამაზრკომის საქმიანობაში ამ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ადგილი აქვს დიდ მიღწევებს. სამკომის საორგანიზაციო განყოფილებასთან ჩამოყალიბებულია ორგკოლეგია. უკანასკნელი ორ კვირაში ერთხელ აწყობს საორგანიზაციო თათბირებს, რომელზედაც აკეთებენ მოხსენებებს თემკომების და უჯრედების მდივნები უკანასკნელების მუშაობის სამაზრკომის მიერ წინასწარ გამოკვლევის შემდეგ. ასეთი წესით საკითხების ორგკოლეგიაზე განხილვა ნაყოფიერი აღმოჩნდა. უჯრედებს და თემკომებს ეძლეოდათ სწორი საქმიანი მითითებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამან ხელი შეუწყო უჯრედების მუშაობის გამოცოცხლებას. ასეთივე წესით იხილავს ორგთათბირი საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების კომფრაქციების მუშაობის საკითხებს და აძლევს მათ სათანადო დირექტივებს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

სამკომი მთავარ ყურადღებას აქცევს უჯრედებთან და თემკომებთან ცოცხალი კავშირის და ხელმძღვანელობის გაძლიერებას. ყველა თემზე მიმაგრებულნი არიან სამკომის პრეზიდიუმის წევრები, რომლებიც სისტემატიურად თვეში ერთხელ ეცნობიან და იკვლევენ თემის მდგომარეობას და პარტორგანიზაციების საქმიანობას და აძლევენ სათანადო მითითებებს. მჭიდრო ცოცხალი კავშირი აქვთ აგრეთვე ადგილობრივ სათემო და სასოფლო ორგანიზაციებთან სამკომის განყოფილებების გამგეებს. უკანასკნელები თვეში ერთხელ ეცნობიან პირადი დათვალიერებით მათ მუშაობას და ღებულობენ საჭირო ზომებს მუშაობის ყოველგვარი უარყოფითი მხარეების გამოსასწორებლად.

მაზრაში არის სულ 6 თემკომი. თემკომების მდივნები პოლიტგანვითარების მხრივ სუსტნი არიან. საერთოთ თემებში ნაკლებათ მოიპოვებიან სათანადოთ მომზადებული და პოლიტცოდნის მქონე ამხანაგები. ამის გამო სათემო და სოფლის ორგანიზაციების შორის კავშირი, ნაწილობრივ სწორი ხელმძღვანელობა და მუშაობაც დღევანდლამდე მოისუსტებს.

ისინი საჭიროებენ სამკომიდან მუდმივ უშუალო ცოცხალ ხელმძღვანელობას. უკანასკნელის მხრივ, რომ აღნიშნული სათემო და სასოფლო ორგანიზაციები უზრუნველყოფილიყო პ.-მგ. ამხანაგების მათზე მიმაგრებითი წესის შემოღების გარდა, საჭირო იყო ინსტრუქტორების რიცხვის გადიდება. ამ მიზნით სამკომმა თემკომის მდივნებს მოუსპო ჯამაგირები ა. წ. 1 სექტემბრიდან, ხოლო სამაგიეროთ გადიდდა ინსტრუქტორების რიცხვი. ამჟამად სამკომს ჰყავს 4 ინსტრუქტორი, რითაც საშუალება მიეცა მას დაიჭიროს მეტი ცოცხალი კავშირი და გაუწიოს უკეთესი ხელმძღვანელობა, როგორც თემკომებს ისე უჯრედებსაც უკანასკნელ ხანებში თემკომების მდივნებისათვის ჯამაგირების მოსპობის შემოღების შემდეგ ჩატარებული იქნა სათემო პარტკონფერენციები, სადაც მოხდა თემკომების შემადგენლობის გადახალისება.

ძველი თემკომების შემადგენლობა გადახალისდა 60 პროცენტით. ჩატარდა აგრეთვე უჯრედების მდივნების და ბიუროების გადახალისება. უკანასკნელი გამოირკვა, რომ უჯრედების მუშაობა წარსულთან შედარებით გაცილებით უფრო გაუმჯობესებული და გამოცოცხლებული არის. რასაკვირველია ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ამჟამად შესაძლებელია ზოგიერთი მიღწევების აღნიშვნა. წინათ, მაგალითად უჯრედების მუშაობა არ იყო შეფარდებული ადგილობრივ პირობებთან, არ ირჩეოდა ადგილობრივი ხასიათის საკითხები, დისციპლინა გლეხურ უჯრედებში არ იდგა თავის სიმაღლეზე (არ ესწრებოდენ კრებებზე პარტწევრები, ხშირათ ჰქონდა ადგილი მათ შორის ლოთობას და ადმინისტრატიულ გადახრას, უჯრედის წევრები საკითხების განხილვის დროს არ იჩენდენ სათანადო აქტივობას, სასტიკად გაურბოდენ პოლიტწრეებში მეცადინეობას და სხვა). ყოველივე ეს დღეს გამოსწორებულია. აღნიშნულ უარყოფითი მხარეებს ორგანიზაციებში ადგილი აღარ აქვს. უჯრედის წევრები პოლიტმეცადინეობას აღარ გაურბიან, პირიქით ისეთი ძლიერია მათი ლტოლვა ამ მიმართულებით, რომ საძნელო ხდება მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. საერთოთ ყოველგვარი, ავადმყოფური მოვლენები, რომელნიც წინეთ დუშეთის ორგანიზაციას ახასიათებდა დღეს აღმოფხვრილია.

ამის გამო გაიზარდა გავლენა და ავტორიტეტი კომუნისტური ორგანიზაციების უპარტიო ღარიბ და საშუალო გლეხობაში. უკანასკნელებს მიაჩნიათ კომუნისტური პარტია მათ ინტერესების დამცველ პარტიად. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ პარტიისაკენ უმთავრესათ უღარიბესი გლეხობის ლტოლვა საგრძნობლად გაძლიერდა, მათი აქტივობა გაიზარდა. ა. წ. 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე შემოსულია პარტიაში მიღების შესახებ 147 განცხადება.

ამჟამათ დუშეთის ორგანიზაციაში 165 წევრი და 266 კანდიდატი ირიცხება. შინა პარტიული დემოკრატია ორგანიზაციაში მთლიანად ტარდება. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ თემკომის მდივანი ან სხვა პარტიული მასის სურვილების გარეშე ზევიდან ყოფილიყოს დანიშნული.

ჭედი.

პარტქრონიკა

— **ქალთა სადელეგატო კრებები მუშაობის გასაძლიერებლად.** სამაზრო კომიტეტმა გამოჰყო მომზადებული ამხანაგები და გაგზავნა ისინი ქალთა სადელეგატო კრებების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის. გარდა ამისა, სამაზრო კომიტეტმა დაავალა ყველა თემკომებს და ცენტრალურ უჯრედებს გამოჰყონ ორგანიზატორები ქალთა შორის სამუშაოდ.

— **შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ.** სენაკის სამაზრკომთან შემდგარ ინსტრუქტორთა თათბირმა დაადგინა ყველა ორგანიზაციებში განხილულ იქნას ოპოზიციის ბელადების განცხადება.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

საპაიო დავალიანება კოოპერაციაში

ფასების დაკლებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გატარებასთან დაკავშირებით კოოპერატივებში განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრა საპაიო გადასახადის შეკრების ისედაც მწვავე საკითხი. საპაიო გადასახადს აქვს არა მარტო ის მნიშვნელობა, რომ ის აძლიერებს კოოპერაციის ძირითად თანხას,—საპაიო გადასახადზე დამოკიდებულია აგრეთვე კოოპერაციის ორგანიზაციული მშენებლობის საკითხებიც. გლეხი, როცა მას შეაქვს საპაიო გადასახადი, უფრო უახლოვდება კოოპერატივის მუშაობას, დაინტერესებულია მისი ავ-კარგიანობით, საზოგადოთ ის მეტ აქტივობას იჩენს.

ამიტომ სავსებით გასაგებია ის ლტოლვა, რომელსაც იჩენენ კოოპერატივები ადგილებზე, რათა წევრებმა დაფარონ საპაიო დავალიანება. ცხადია, დავალიანების დაფარვა არ შეიძლება მარტო ზეპირი ქადაგებით და ხვეწნა-მუდარით. აქ ამას გარდა სხვა იარაღია საჭირო. ეს იარაღი კი თვით კოოპერატივია.

იმაზე, რამდენად დამაკმაყოფილებლად მუშაობს კოოპერატივი, რამდენად მოხერხებულ კონკურენციას უწევს ის კერძო ვაჭარს და თვალსაჩინოთ ხდის მშრომელი მოსახლეობისათვის კოოპერაციის სარგებლიანობას, ბევრადაა დამოკიდებული კოოპერატივის თვითეულ უჯრედის ორგანიზაციულად გაძლიერება და ამასთან ერთად საპაიო გადასახადის სრული განაღდება.

ჩვენი კოოპერატივები ეხლა უმთავრესად სესხით მუშაობენ. სესხში სარგებელი გადის, რაც ზედმეტ ხარჯათ აწევება კოოპერატივს და, მაშასადამე, თვით მომხმარებლებს. სესხისათვის ბევრ შემთხვევაში შეიძლო არ მიემართა კოოპერატივებს, რომ მათ საკუთარი საბრუნავი თანხა ქონოდათ. ამიტომ, ცხადია, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს პაის სრულად შეკრებას თვითეულ კოოპერატივისათვის.

მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით კოოპერატივებში ეს საკითხი განსაკუთრებულ ყურადღების საგნად უნდა გახდეს. საპაიო გადასახადის დავალიანებას ბოლო უნდა მოეღოს.

დაზგელი.

თავმჯდომარის კალთის ქვეშ

(სურამი, გორ. მ.)

უკვე მეორე წელიწადია სურამის ემოს-ის საწყობის გამგეთ არის ხორენ არუწოვი, კაცი იშვიათი მარიფათის მქონე. რომ ეს მარიფათი სურამის ემოსს ხმარებოდეს, მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. მაგრამ ხორენი ჭკვიანი კაცია. „ჩემმა თავმა ქვა მისროლა, რომ საკუთარი ჯიბე დ ვივიწყოო", განცვიფრებით ეკითხება ის თავის თავს და ამ კითხვაზე სათანადო პრაქტიკულ პასუხსაც აძლევს.

სურამის ემოსის საწყობი რკინის გზის სანატორიუმიდან ღებულობდა თეთრ ფქვილს. ხორენ არუწოვმა ერთ დღეს ორ წყებათ მიიღო ფქვილი. პირველ წყებაში იყო 72 ფუთი, მეორეში 24 ფუთი და 30 გირვანქა. მან ეს დოვლათი ძმურათ გაანაწილა. არც კოოპერატივს აზარალა და არც თავის თავი დასტოვა გულნატკენად.

72 ფუთი ფქვილი საწყობში გაგზავნა, 24 ფუთი და 30 გ. კი სხვა გზას გაუყენა. თან წიგნებშიაც არ გაატარა ეს უკანასკნელი პარტია. ან და როგორ უნდა გაეტარებია, კოოპერატივის დავთრები მისი პირადი დავთრები ხომ არაა? მან ეს „პარტია" საკუთარ უბის წიგნში ჩაიწერა.

მაგრამ მოანგარიშეები სურამის ემოსში ფხიზელი ხალხი აღმოჩნდა. მათ ხორენის უბის წიგნაკიც არ დაივიწყეს და აღმოჩნდა, რომ ფქვილი ემოსისათვის დაკარგულია. ხორენმა ურცხვათ იმართლა თავი! „დამვიწყნია, სულ ერთია, მე მომაწერეთ, ეგ ფქვილი არ დაიკარგებაო".

მალე სარევიზიო კომისია მოვიდა და არც ფქვილი, არც ფქვილის [illegible] მას არ აღმოუჩენია ემოსის საწყობებში. მაგრამ „თუ ღმერთი გწყალობს, ეშმაკი რას დაგაკლებს"? ასე უთქვამს ჩვენებს ძველათ, თუ ხორენს გამგეობის თავმჯდომარე აფარებს კალთას, რევიზია ვის დააკარგვია, რომ მან რაღაც 24 ფუთი ფქვილისათვის ხორენს პირში ლუკმა გამოაცალოს, უსაქმოდ დასტოვოს და პასუხისგებაში მისცეს? იქნებ გამოჩნდეს გორის მაზრაში ისეთი ვინმე, რომელიც ხორენს გადასწევს თავმჯდომარის მეგობრულ კალთას და სხვა „კალთას" გადააფარებს.

საქმის მცოდნე.

რბილი რონოდა ტყვილად სდება

(ფოთი-შორაპანი)

მატ. № 31-32-ს, რომელიც დადის ფოთი-შორაპან შუა უბია ერთი რბილი რონოდა. ეს რონოდა ყოველთვის ცარიელი დადის. ეს ხდება იმ დროს, როდესაც რბილი რონოდები სხვა მატარებლებში არ გვყოფნის. მაგ. მატარ. №№ 4,3, 9 და 10 რბილ რონოდებში იშვიათად იშოვნის მგზავრი ადგილს.

საჭიროა მატ. № 31-32 მოეხსნას რბილი რონოდა და მიეცეს სხვა მატარებელს, სადაც მეტი მოთხოვნილებაა ამ რონოდაზე.

რკინისგზელი.

რა ჰქვია ამას

ბორჯომის სახერხი ქარხნის საკასრე ქარხნად გადაკეთება სატყეო ტრესტის მთავარ სამმართველოს მიერ დაიწყო 1926 წლის მარტის პირველ რიცხვებში. სამუშაოს დამთავრება უნდა მომხდარიყო 15 ივლისისათვის, მაგრამ აღნიშნული რიცხვისათვის სამუშაო არც 25%-ით იქნა დამთავრებული. ამიტომ „იძულებული" გახდენ სამუშაო ვადაედოთ 15 ნოემბრისათვის. საუბედუროთ მუშაობა არც ეხლაა შესრულებული 40 პროცენტით. ამრიგათ ქარხნის დამთავრება გადადებულ იქნა 1927 წლის 1 მარტისათვის.

ალბათ მკითხველს გაუკვირდება თუ რატომ ხდება საქმის ასეთი გაჭიანურება? პასუხი ერთია: ქარხანაში მომუშავე სპეცები საკმაოდ დიდ ჯამაგირს იღებენ და რომ მუშაობის დამთავრება მალე მოხდეს, ზოგიერთი უსაქმოდ დარჩება. საინტერესო იცოდეთ, რამდენათ საჭიროა ასე დიდი შტატი ქარხანაში. როგორ უყურებს ამას ტრესტის მთავარი სამმართველო?

აქ მუშაობს პროფ. როდიერი, რომელიც ღებულობს თვეში 450 მანეთს. ის ამით არ კმაყოფილდება. მთელი დროის განმავლობაში ღებულობს დღიურებს 18 მან. 70 კაპ. გარდა ამისა მას ნომერიც უჭირავს, რომელშიაც იხდის ტრესტი თვეში 210 მანეთს. რა თქმა უნდა, ფეხით სიარული როდიერს „სრულებით" არ შეეძლება, აქაც 120 მანეთი მას სამოგზაუროთ ესაჭიროება. ამგვარათ ერთ კაცზე იხარჯება თვეში 1341 მანეთი.

ეს კიდევ ცოტაა. ქარხანას ადგილობრივი ინჟინერი გიორგობიანი განაგებს (საკითხია ინჟინერია თუ არა?). მას ოთხი თანაშემწე ჰყავს. ნეტავი გამაგებინა, ინჟინერი ცინცაძე რაღა მოხელეა, რომელიც თბილისში ცხოვრობს, ხოლო ბორჯომის საკასრე ქარხნიდან ჯამაგირს იღებს და თვეში მხოლოდ 4-ჯერ ჩამოდის. ყველა ამათი ჯამაგირი საკმაოდ დიდი თანხაა, რომლის შემცირება დიდ დაზოგვას მოგვცემდა.

ზოგიერთმა დაინტერესებულმა პირებმა ისიც მოახერხეს, რომ ქარხანა ადგილობრივ ტრესტს ჩამოაცილეს და მთავარ სამმართველოს დაუქვემდებარეს. იმიტომ ხომ არა, რომ ადგილობრივი ტრესტის ყოველ-დღიური ზედამხედველობა აწუხებდათ? საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ყური ათხოვოს ამ საქმეს.

შ. მაისურაძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ყურძნის დამზადება

ქუთაისი, 12 ნოემბერი. საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის ქუთაისის განყოფილებამ დაამზადა 20000 ფუთი ყურძენი. შემდეგი დამზადება შეჩერებულ იქნა ყურძენზე ფასების აწევის გამო, ფუთი ყურძნის ფასი ავიდა 4 მან. 50 კაპ.-დე. (ადს)

ბამბის საპენტ ქარხანაში

ქუთაისი, 12 ნოემბერი, ქუთაისის ბამბის საპენტ ქარხანაში ბამბის სასწრაფო მოგროვება სწარმოებს. 9 ნოემბრამდე მიტანილია 1500-დე ფუთი ბამბა. ყოველდღიურათ ქარხანაში 50-დან 100 ფუთამდე შემოაქვთ. (ადს).

მომპირნეობა

ქუთაისი, 12 ნოემბერი. საქართველოს ბამბის კომიტეტმა სამტრედიაში გააუქმა ბამბის საყიდელი პუნქტი და მის მაგიერათ დასტოვა ერთი მიმღები, რომელიც ნაყიდ ბამბას ქუთაისის ქარხანაში გადაგზავნის. ეს ღონისძიება წლიურად 12000 მანეთის მომპირნეობას იძლევა. (ადს).

ტყის ხანძარი

ოზურგეთი, 12 ნოემბერი. გომი ტყიან აგარაკში გაჩდა ხანძარი. რომელმაც მცირე მოედანი მოიარა. ცეცხლის ჩასაქრობათ გამოვიდა ახლო-მახლო სოფლების გლეხობა და ოზურგეთის მოხალისე მეხანძრეთა რაზმი. (ადს)

ტელეფონის ხაზების შეკეთება

ოზურგეთი, 12 ნოემბერი. ტელეფონის ხაზების კაპიტალურათ შესაკეთებლათ ინტენსიური მუშაობა სწარმოებს ოზურგეთის აღმასკომის მხრივ. შედგენილია ხარჯთ-აღრიცხვა ტელეფონის ხაზის შესაკეთებლათ ბათომის მიმართულებით, რომელიც ეხლა არ მუშაობს.

ახალი წყაროები

ახალციხე, 12 ნოემბერი. სამაზრო აღმასკომმა დანიშნა კომისია, რომელიც შეიმუშავებს სად. ახალციხესთან მდებარე მლაშე-მწარე წყაროს გამოყენების პროექტს. თბილისის და მოსკოვის ლაბორატორიების დასკვნით, ამ წყაროს წყლის ღირსება გაცილებით უკეთესია, ვიდრე ბატალინის წყალის. (ადს).

ლენინაკანის დასახმარებლად

ახალციხე, 12 ნოემბერი. მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ქალაქში შეკრებილ იქნა 1.901 მანეთი. სამაზრო აღმასკომმა ამავე მიზნით გადასდო 1000 მანეთი. (ადს).

აჭარისტანი

ხე-ტყის მასალა

ბათომი, 12 ნოემბერი. ნორვეგიის გემით „გერმესი", ჩამოტანილ იქნა 4.300 ტონა წიწვიან ხე-ტყის საამშენებლო მასალა, რომელიც სომხეთში გაიგზავნა დანგრეულ ლენინაკანის აღსადგენათ. (ადს).

წყალსადენი სოფლად

ბათომი, 12 ნოემბერი. აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამართველო 1926-27 წელში დახარჯავს 105.000 მანეთს, მაზრებში წყალსადენის გასაყვანათ. განზრახულია 21 ვერსის მანძილზე წყლის მაგისტრალის გაყვანა. (ადს).

სარწყავი არხები

ბათომი, 12 ნოემბერი. მიმდინარე წელში აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამართველომ გაყვანილ არხების საშუალებით მორწყა 3.750 დესეტინა მიწა.

1926-27 წელში განზრახულია 5.250 დესეტინა მიწის მორწყვა ზემო აჭარაში.

აფხაზეთი

სკოლების გაფართოება

სოხუმი, 12 ნოემბერი. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ტექნიკური ხარჯთ-აღრიცხვა ნაციონალურ სკოლების შენობათა გასაფართოებლათ. აფხაზურ საჩვენებელ სკოლისთვის გადასდო 70.000 მანეთი, ბერძნული ცხრაწლედისთვის—15.000 მან. და სომხურ ცხრაწლედისთვის—10.000 მანეთი. (ადს).

რკინის გზის სადგური

სოხუმი, 12 ნოემბერი. სახალხო კომისართა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე, ქალაქ გალის ფარგალში რკინის გზის სადგურის აგების შესახებ. (ადს).

მილიციელთა შორის

სოხუმი, 12 ნოემბერი. ამ დღეებში დამთავრდა სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსთა თათბირი. თათბირი გაეცნო მილიციის დებულებას, რომელიც აფხაზეთის ცაკმა დაამტკიცა. ამას გარდა განხილული იქნა დისციპლინის, კოოპერატიულ და კულტურულ მუშაობის საკითხები. თათბირმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის მილიცია სავსებით უზრუნველყოფილია ტანისამოსით.

გადაწყვეტილია, სოხუმში გაიხსნას ოთხთვიანი კურსები მილიციის უფროსთა შემადგენლობისთვის. (ადს).

გლეხკომმა გვიმტყუნა
(ლეჩხუმი)

ლეჩხუმის გლეხკომის მუშაობა, რომ სუსტია, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირია.

სოფელ ლასურია'ში არის ყოფ. მემამულე ტახელდიანის ბაღი, ვენახით, ხეხილით და ბოსტნეულით. ეს ბაღი მაზრის აღმასკომმა მოსავლელად გადასცა სამაზრო გლეხკომს. მანაც თავის მხრივ დაუნიშნა ბაღს დარაჯი, რომელსაც ძილის მეტი არაფერი გაუკეთებია.

მოვლის ნაცვლად ბაღი განადგურდა ვენახი, გახმა, მხოლოდ სამოცი ძირი ვაზი დარჩა რაიც სასწაულით უენებლათ. არც გათოხნა და არც წამლობა მშვენირ ვენახს წელს თავის დროზე არ ღირსებია.

ლასურიაშის ბაღის ვაშლი, ცნობილია მთელ ლეჩხუმში, მაგრამ წელს „კარვი" მოვლის წყალობით მგონი ღორების საჭმელადაც არ ივარგებს. ყოველივე ამას ხედავდა ადგილობრივი თემაღმასკომი, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავდა. ბოლოს, სამაღმასკომმა გაგზავნა იქ სპეციალური კომისია. კომისიამ აღმოაჩინა სამაზრო გლეხკომის ბაღისადმი დაუშვებელი უყურადღებობა და გულგრილობა. კომისიის საჭიროდ მიაჩნია მომავლისათვის ბაღი მცოდნე და ენერგიულ მეურნეს გადაეცეს იჯარით და ისიც აგრონომების მეთვალყურეობის ქვეშ.

ბაღში მოდის ბოსტნეული, განსაკუთრებით კიტრი. ეს კიტრი გლეხკომის განკარგულებით, ჩაუმჟავებიათ ქვევრში, მაგრამ „ახალი სისტემით"—„უმარილოთ". ამის გამო მთელი კიტრი დამპალა. აი ყაირათობა. ალბად მომპირნეობის რეჟიმის თვალსაზრისით მოუვიდა ეს გლეხკომს.

იმედი გვაქვს მაზრის ხელისუფლება მიაქცევს ყურადღებას ამ საქმეს და გამოასწორებს ნაკლს.

ვ—ი.

წერილებიდან

ს. კოხნარი (გურია) *

ნოქარი ქეიფობს, კოოპერატივი იქურდება. ამას წინათ გაქურდეს ადგილობრივი კოოპერატივი. გაიტანეს 800 მან. საქონელი. საერთო წესით ღამე კოოპერატივში უნდა იცდიდეს ნოქარი. ამ ღამეს კი ნოქარი თემ-აღმასკომის თავმჯდომარისას ქეიფობდა. მეორე დღეს გაქურდულ კოოპერატივში გამოცხადდენ მთვრალი ნოქარი და თავმჯდომარე. ვინ მიაქცევს ამას ყურადღებას?

კინო.

ორბელის თ. (ლეჩხუმი)

არშიყი გამგე. ჩვენს თემში არის ემისის საწყობი, რომლის გამგეც არის პლატონ ჰაბუკიანი. პლატონი დიდ მიდრეკილებას იჩენს ქალებისადმი. განსაკუთრებით მოსწონს მასწავლებელი. თ. ა—ნი. პლატონი და ეს მასწავლებელი ქალი დილიდან საღამომდე მაღაზიაში არიან. საქმე ამით ფერხდება. გარდა ამისა, ოღონდ კი თ. ა—ნს მოეწონოს რაიმე კოოპერატივში, პლატონი მას წამსვე აუსრულებს სურვილს. სარევიზიო კომისიავ, ჩაიარე ერთი ქალების მოყვარულ გამგისაკენ.

ახალგზელი.

სოფლის ფოსტა

დ. თურმანიშვილს. (ს. ხიბოა, გორ. მ.) წერილი გადაუგზავნეთ იუსტიციის სახალხო კომისარს.

ძირულა (შორ. მ.)

სკოლა გვექნება. აქაური შვიდწლედი ბინის უქონლობის გამო დიდ სიძნელეებს განიცდიდა. ამ უკანასკნელ ხანებში თემი ენერგიულად შეუდგა ახალი სკოლის აშენებას. შეძენილია ადგილი, სადაც უნდა აიგოს შენობა, მომზადებულია ხე-ტყე, ქვა, კირი და ცემენტი. საქმეს 40 მუშა ადგია. შენობაში იქნება 18 ოთახი, თვით შენობა კი სამ სართულიანი უნდა იყოს.

ამბრ. სალაძე.

დ. მესტია (სვანეთი)

მეჭვირე კოოპერატივი. 1 გირვანქა ნავთი აქაურ კოოპერატივში ფასობს 25 კაპ., 1 გირვანქა მარილი კი 20 კაპ. მართალია სვანეთში ცუდი გზებია და საქონლის გადაზიდვა სჭირს, მაგრამ ცხადია, რომ ასეთი გასაოცებელი ფასების გამართლება უგზოობით არ შეიძლება. საჭიროა ცეკავშირმა მიაქციოს ამ დაუშვებელ გარემოებას ყურადღება.

სვანი.

სოფლის ქრონიკა

— **ბორჩალოს** აღმასკომი შეუდგა მაზრაში არსებულ კოპ-სამკითხველოების გამოკვლევას.

— **ტელეფონი.** სოფ. ალასტანში გაჰყავთ ტელეფონის ქსელი.

— **სესხი.** საომბო მასალის შესაძენად ახალციხის აღმასკომი მუშა-მოსამსახურეებს აძლევს სესხს.

— **გლეხთა სახლი.** ახალქალაქის აღმასკომი აწყობს გლეხთა სახლს.

— **თათბირი.** 26 ნოემბერს ახალქალაქში შესდგება თათბირი მაზრაში აგრო-დახმარების გასაუმჯობესებლად.

— **რაჭის** აღმასკომი შეუდგა შემოწირულებების შეგროვებას მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

— **სამკურნალო მცენარეები.** ახალქალაქის აღმასკომი შეუდგა სამკურნალო მცენარეების ნიმუშების დაგროვებას.

წერილები

აბლაკატები საბჭოთა კანონიერების მტრებია

კატი ძველი ნაცნობი სიტყვაა გლეხისთვის. აბლაკატები იგივე აქიმბაშები არიან სასამართლოების საქმეში. ჩვენდა სამწუხაროდ აბლაკატობას ეხლაც საკმაო გასავალი აქვს. ვინ არიან აბლაკატები და საიდან გამოდიან ისინი?

ესენია უმთავრესად გაფუქებელი თავად-აზნაურები, სასულიერო წოდების ხალხი, გაკოტრებული ვაჭრების შვილები, სოფლის კანცელარიების ძველი მწერლები და ყველა ამგვარი ნაძირალები, რომელთაც ორიოდ ანა-ბანა უსწავლიათ და აღარც ფიზიკურ შრომისათვის გამოსდგარან, არც გონებრივ მუშაობისათვის. მათი მიზანია, სადაც და როგორც კი მოხერხდება, რაც შეიძლება მეტი დასტყუონ ვისმე ხელიდან.

საზოგადოთ დამცველის მოვალეობაა დახმარება გაუწიოს მოსამართლეს საქმის გარჩევაში, მიეშველოს მას, რომ მართებული განაჩენი არ იქნას გამოტანილი. დამცველი სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის უნდა ეცადოს ბრალდებულის განთავისუფლებას იმის და მიუხედავათ უდანაშაულოა ბრალდებული თუ არა.

აბლაკატები კი ამას არ დაგიდევენ. ოღონდ „ხელის ჰუჭყი" იშოვნონ და „საცემბირე" კაცსაც კი სრულ გამართლებას შეჰპირდებიან.

ჩვენ ვიცით რა პირობებში უხდება მუშაობა სახ. სასამართლოებს. ისინი უზომოთ დატვირთული არიან საქმეებით, არა აქვთ სათანადო ბინა. არა აქვს საშუალება გამსვლელი სესიები მოაწყონ და ადგილობრივ გაეცნონ საქმეს, ზოგჯერ სასამართლოს მუშაკები მოისუსტებენ კანონების ცოდნაშიაც და მრავალი სხვა. რა გასაკვირია, რომ ასეთ პირობებში აბლაკატებმა შესძლონ ხანდახან საქმეების თავიანთ სასარგებლოდ მოქახრაკება.

ცხადია, რომ ამით არა მარტო იტყავება გლეხკაცობა, არამედ სახელი უტყდება საბჭოთა სასამართლოსაც. ამიტომ აბლაკატობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. პირველყოვლისა აქ ხმა უნდა ამოიღონ დამცველთა კოლეგიებმა. საჭიროა აგრეთვე იუსტიციის სახალხო კომისარიატის საქმეში ჩარევა და სათანადო ნაბიჯების გადადგმა. ამასთანავე აბლაკატების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა აწარმოონ ჩვენმა სოფლის ორგანიზაციებმა. აბლაკატები საბჭოთა კანონების დამმახინჯებელია, აბლაკატი იგივე აქიმბაშია სასამართლოების დარგში, აბლაკატი სოფლის ხორცმეტია, რომელიც ძირშივე უნდა მოიკვეთოს.

ლ. დანელი.

ვანიას თოფი უყვარს
(კიწია სენ. მ.)

კიწიელ გლეხს თავი მოაქვს. მისი კუთხე კულტურულად დაწინაურებულია. კიწია თუ გაესწრება, თორემ უკან არ ჩამორჩება სენაკის მაზრის სხვა თემებს.

ამის შემდეგ, როგორ გაუბედავს კაცი კიწიელ გლეხს იმის თქმას, რომ თქვენი სოფელი იმდენად ველური და საშიშოა, რომ კაცი უიარაღოთ ფეხს ვერ გაადგამსო. ის თქვენ შემოგიტევს და სამართლიანადაც შემოგიტევს. მაგრამ თუ გინდათ, რომ გააჩუმოთ ეს ჩვენი მოკამათე გაახსენეთ კიწიის 1 სკოლის გამგე ვანია ჩიჩიბაია. მხოლოდ ვანია ჩიჩიბაია უთხარით მას. დანარჩენს ის თვითონ მოგიყვებათ.

დაიწყებს ასე: ვანია ჩიჩიბაია დღე და ღამე თოფით დაიარება. ფრთხილ მონადირესავით ყურები მუდამ აცქვეტილი აქვს და იარაღი მომარჯვებული. კაი ბიჭია და ვინმე „ღვთის წყალობას" შეჰკადრებს. სჯობს წინ და წინ ანდერძი დაამზადოს.

ეს, რაც შეეხება სოფელს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ვანიასაგან არც შინაურებს აქვთ მოსვენება. ამას წინათ დედა გაიგდო ფეხ-ქვეშ და წიხლები რომ არ აკმარა, თოფის კონდახიც მიიშველია. საბრალო ქალის კივილი ჰაერში ადიოდა. შეზარებული მეზობლები მიცვივდენ გაჭიოვებულ ქალის ვანიას კლანჭებისაგან დასახსნელად. გლეხი მელ—ტონ შანიძე იმდენად გამბედავი აღმოჩნდა, რომ გამშველებლის მოვალეობაც იკისრა. მაგრამ ძვირად დაუჯდა ამ მელიტონს ეს გამბედაობა. ვანიამ მელიტონს ცხვირიდან ძმარი ადინა...

დადის ვანია ეხლაც თავის თოფით და ეძებს მორიგ მსხვერპლს. კიდევ მორიდებული და თავაზიანი ხალხია კიწიელი გლეხები, თორემ ვანიას იარაღი უქმად არ გაცდებოდა. — ამას სჩადის მასწავლებელი, ამას სჩადის სკოლის გამგე.

სიმართლე.

მუშათა ცხოვრება

კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიათა კონფერენცია თბილისელ ყველა მუშკორების, სამკორების და ასკორების მონაწილეობითგრძელდება შაბათს, 13 ნოემბერს, სად. 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში დღის წესრიგი: 1. კამათი ამხ. ასრიბეკოვის მოხსენების ირგვლივ—მუშგლეხკორთა მოძრაობის შესახებ. 2. მოხსენება კედლის გაზეთების მუშაობის შესახებ (სუტირინი).

კონფერენციას უნდა დაესწრონ კომპარტიის და კომკავშირის რაიკომების აგიტპროპების გამგეები, პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობის კულტგანყოფილებათა გამგეები და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კომუჯრედთა აგიტპროპორგანიზატორები.

თბ. კომიტეტის მდივანი **ასრიბეკოვი.**

ქუთაისის მაუდის საქსოვ ქარხანაში
(წერილი ქუთაისიდან)

აღნიშნულ ქარხნის არსებობას მოკლე ისტორია აქვს; მაგრამ მას მაინც დიდი მიღწევები აქვს, როგორც ქარხნის ტექნიკურ ორგანიზაციის (ნაწარმოების ხარისხობრივი გაუმჯობესება), ისე მუშების მატერიალურად უზრუნველყოფის დარგში. ამჟამად აღნიშნულ ქარხანაში 200 კაცი მუშაობს. მუშები არიან ადგილობრივი მცხოვრებლები და აგრეთვე პროვინციებიდანაც ჩამოსულნი. მუშების ხელფასი უდრის საშუალოდ 45 მან. სისუფთავე წარმოებაში დაცულია. განსაკუთრებით მუშებისათვის მოწყობილია აბანო. მუშებს აქვთ აგრეთვე საკუთარი საექიმო ამბულატორია, სადაც ღებულობენ საჭირო დახმარებას. მიმდინარეობს მუშაობა მუშათა საერთო საცხოვრებელი ბინების ასაგებად კოოპერატიულ ამხანაგობის სახით.

მუშები არ არიან მოკლებული აგრეთვე კულტურულ აღმზრდელობით მუშაობასაც. უმრავლესობას გამოწერილი აქვს ჟურნალ-გაზეთები და ჩაბმულნი არიან პროფწრეებში, მუშები სწავლობენ პოლიტსკოლაში. მუშა-მოსამსახურეების 35 პროც. პარტიის და კომკავშირის წევრებია.

უკანასკნელად დაიდგა და ამოძრავდა 4 ახალი საქსოვი დაზგა. გადაკეთებულ იქნა რუსული დაზგები და სხ.

თ. ცინცაძე.

თავაზიანად მიმართა. მაგრამ მხეცურად დახვდენ

10 ნოემბერს აღმასბიუროს თანამშრომელმა თ. ა. თავაზიანად მიმართა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასბიუროს პრეზიდიუმის წევრს, მოქ. სავლე ბრეგვაძეს, რათა მისთვის კალმის ტარი დაებრუნებია. პასუხად ქალმა მიიღო ის რომ ბრეგვაძემ აიღო კალმისტარი და სამელნე და ერთად ესროლა პირდაპირ თ. ა., (რაც შემთხვევით ასცდა), სამელნე კედელზე დაიფშვნა. დაღვრილ მელნისაგან დაისვარა კედელი, საწერ მანქანის სახურავი და აღმასბიუროს სარეგისტრაციო წიგნი. ატირებული თანამშრომელი უხმოდ კარში გამოვიდა. სტუდენტებში (10—15 კაცი), რომლებიც იქ იყვნენ, ამ მხეცურმა საქციელმა აღშფოთება გამოიწვია.

ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პრეზიდიუმის წევრმა თავის ტექნიკურ თანამშრომელს, ქალს, სამსახურის ასრულების დროს.

ეს ყოვლად შეუწყნარებელი უდიერობაა და დამნაშავემ უნდა მიიღოს ღირსეული სასჯელი.

სტუდენტი.

ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად

9 ნოემბერს, დღის 1 საათზე შესდგა კინოპალასის დარბაზში ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავის აღსანიშნავად ამავე თეატრის თანამშრომელთა საზეიმო კრება.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ და 2) კომუნისტურად მონათვლა.

ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის და საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ 9 წლის განმავლობაში მოხსენება გააკეთა ამხ. გაჩეჩილაძემ. მომხსენებელმა ვრცლად შეეხო დღესასწაულის მნიშვნელობას და აღნიშნა მთელი რიგი მიღწევებისა.

შემდეგ მოხდა ბავშვების კომუნისტურად მონათვლა. მონათლულ იქნენ: კერესელიძე—კლარას სახელწოდებით, მირბიონი ვლადიმერის სახელწოდებით, პრულეგი—კარლოს სახელწოდებით და მიხაილოვი ოქტომბერის-ს სახელწოდებით,

მუშკორი ჯავახიშვილი.

ახალი ბედნიერების მოლოდინში
(ერთი სურათი სინამდვილიდან)

ნაშუადღევს მუშაობის შემდეგ მეთუთუნე მუშები გამოვიდნენ ფაბრიკიდან. მათში იყვნენ აგრეთვე მოხუცებულნიც. მათ მიუახლოვდა ერთი ახალგაზრდა მუშა და ერთ მოხუცს შეეკითხა.

— იაგორ რამდენი წლისა ხარო?

— მე?!—სამოცდა სამი წლისა ვარ. იყო პასუხი.

— რამდენი წელიწადია, რაც მაგ ხელობაში მუშაობ?

— ორმოცდაათამდე იქნება.

— შენი ოჯახი აშენდა! კაცო, როგორ გაძელი ამდენხანს იმ შხამით სავსე ქარხანაში?!

— შენ რამდენი წელიწადია, რაც მუშაობ? ეხლა მიუბრუნდა იგი მეორე მუშას.

— ორმოცდა ერთი წელიწადია. არც შენა ხარ, ძმაო, ნაკლები ხნისა!

— სხვა საქმეში არ გიმუშავნია?

— მე სხვა ხელობა არ ვიცი.

— არ გამცდარხარ როდისმე?

— არასოდეს, გარდა იმისა, როდესაც გადასახლებული ვიყავი, ან დაპატიმრებული.

რა საქმეზე?

— რასაკვირველია, არა ქურდობაზე, არამედ პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის.

— კარგი და რატომ არ განთავისუფლებენ ეხლა სამუშაოდან?

— რად უნდა გამანთავისუფლონ?

— ჩემი ახალგაზრდობა ამ შხამიან ქარხანაში გამიტარებია და ახლა სიბერის დროს რომ ქუჩაში გამისროლონ, როგორ უნდა ვიცხოვრო ცოლ-შვილით.

მე გეკითხები იმის შესახებ, რომ ამ ზაფხულს გაზეთებში ცნობები იყო, რომ 35 წლის ნამუშევარნი უნდა გაანთავისუფლონ სამსახურიდან სრული ჯამაგირის შენახვით.

— იყო მართალია, მაგრამ ჯერ-ჯერობით არა ისმის რა ამის შესახებ და როდის გატარდება ეს ცხოვრებაში არც ეს ვიცით, მაგრამ რომ ეს გატარდება ცხოვრებაში, ამაში დარწმუნებული ვარ.

ორიოდე წელიწადი დამრჩენია სიცოცხლე და მეც მინდა სიცოცხლეში მოსვენება და ათეული წლების მუშაობაც ღირსეულად დამიფასდეს.

— მე ისეც გავიგე, რომ ერთ-ერთ ქარხანაში რამოდენიმე მოხუცი მუშა გაანთავისუფლეს სამუშაოდან და უნდა მიეცეთ ყოველთვიურად პენსია თვიური ხელფასის რაოდენობით.

— ახ, ბედნიერებავ! როდის მოაღწევს იგი ჩვენთანაც. ბედნიერი ვართ ჩემი კოწია, რომ ასეთ ხანაში ვცხოვრობთ, როდესაც შრომის შვილს შრომა ღირსად უფასდება. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ბევრ უკეთეს რამეებს მოესწრები. ჩვენთვის კი ეს ბედნიერება საკმარისია, მხოლოდ საჭიროა ახლო მომავალში მოაგვარონ ეს საკითხი საკავშირო რესპუბლიკების მთელ ტერიტორიაზე.

მოხუცი მუშა ამბალი.

მუშათა წერილებიდან

— **ვეხმარებით სომხეთის მუშებს.** 26 ოქტომბერს შესდგა შინა-მრეწველ ხელოსანთა კავშირის გამგეობის სხდომა. გამგეობამ მოისმინა საბჭოთა სომხეთის მიწისძვრის გამო დაზარალებულთათვის დახმარების შესახებ ინფორმაცია და დაადგინა, რათა გაღებულ იქნეს ჩვენი მოძმე ერის, საბჭოთა სომხეთის მუშების, სასარგებლოდ 500 მანეთი.

გამგეობის ერთი წევრი.

— **აუტანელ მდგომარეობაშია.** ქ. ქუთაისში მესამე ინტერნაციონალის ქუჩა № 56-ში სცხოვრობს ვინმე მ. რუსიშვილი. უკანასკნელს აუტანელ მდგომარეობაში ჰყავს მოსამსახურე ქალი ამხ. ქათამაძე. მისი ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება და სხ. ჩვეულებად გადექცა მოქ. რუსიშვილს.

მილიციამ უნდა ალაგმოს ეს თავხედი ვინმე

თებრონიკე ლი.

— **დრამწრე ენერგიულად მუშაობს.** სად. ნავთლუღის მამია ორახელაშვილის სახელობის კლუბის ქართული დრამწრე, დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოყალიბდა. იგი ამჟამად სისტემატიურ მუშაობას აწარმოებს. სდგამს წარმოდგენებს, მართავს საღამოებს, ლექციებს და სხვა და ნავთლუღის მუშებს დიდ დახმარებას უწევს კულტურულ დარგში. დიდ ენერგიას იჩენს აგრეთვე ახალგაზრდა რეჟისორი ამხ. ი. გიორგაძე.

მუშკორი ჯავახიშვილი.

— **მოგვეცით დასვენების საშუალება.** ავლაბრის კლუბში მუშებს დასვენების საშუალებაც არ აქვს. აქაურ ავარა-ბიჭებს აკლებული აქვთ იქაურობა. ისე დღე არ გავა, რომ უსაქმო ხალხმა ჩხუბი და აყალ-მაყალი არ ასტეხოს თვით კლუბში, რითაც გვესპობა კლუბში დასვენების საშუალება.

კლუბის გამგეობავ, განდევნე ავარები აქიდან!

მუშკორი ალ-ბ-ლი.

— **გვადირსებთ თუ არა ოდესმე აბანოს.** აგერ ორ თვეზე მეტია, რაც რკინის გზის აბანოს ქვაბი დაიწვა. მისი დაწვის გამო მუშების 80 პროც. მოკლებულია აბანოთი უფასოთ სარგებლობას. რკ. გზ. ადმინისტრაციამ ვითომდა დროებით რკინის გზის მთავარ სახელოსნოში გახსნა აბანო, მაგრამ ამით ვერ სარგებლობენ მუშები, რადგანაც პატარა და მიუდგომელ ადგილასაც არის მოთავსებული. ეს გარემოება მუშებში იწვევს უკმაყოფილებას. საქმისადმი ასეთი გულგრილობა და უყურადღებობა ყოვლად დაუშვებელია.

ჩვენ რკინისგზელები, მოვითხოვთ, რომ აღდგენილ იქნეს გორის ქუჩაზე მოთავსებული რკ. გზ. აბანო.

მუშკორი რადიუმი.

— **მტვერი გვაწუხებს.** ორთაჭალის მთავარ ქუჩაზე აუტანელი მტვერია. მოძრაობის დროს აქ კაცს არ გაევლება.

ტრამვაის დირექციავ, ამ ქუჩის მორწყვა უნდა.

მუშკორი ალ-ბ-ლი.

— **კედლის გაზეთი „მჯღერავი".** მართალია საავადმყოფოს კულტ-კომისიამ გვიან გამოუშვა კედლის გაზეთი „მჯღერავი"-ს მე-24-ხე ნომერი, მაგრამ მაინც მან გაამართლა იმედები. აღნიშნულ გაზეთში შინაარსიანი წერილებია, მისი ფორმატი და „სახე" დამაკმაყოფილებელია.

მუშკორი პირამიდონი.

— **სანგანათლების აუდიტორიაში.** 2 ნოემბერს თბილისის სანგანათლების აუდიტორიაში შესდგა სანიტარულ-ჰიგიენურ განათლების საღამო-წარმოდგენა. დაიდგა ინსცენირება „პოლიკლინიკა".

დამსწრე საზოგადოებამ აქ ნათლად დაინახეს მეძაობის, ლოთობის და სხვა მავნე სენის შედეგები. მუშებისაგან დიდი კმაყოფილება გამოიწვია ასეთი საღამოს გამართვის გამო,

საჭიროა უფრო ხშირად გაიმართოს ასეთი შინაარსიანი საღამოები მუშებისათვის.

მუშკორი გ. მეჩანგური.

— **„სკაპენის ცუღლუტობა".** 31 ოქტომბერს პლეხანოვის სახელობის კლუბში ადგილობრივ ქართულ დრამწრის მიერ ხოხო მეზურნიშვილის ხელმძღვანელობით წარმოდგენილ იქნა ა. წერეთლის ნათარგმნი 3 მოქმ. პიესა „სკაპენის ცუღლუტობა". კარგი იყო გ. პავლიაშვილი.

როგორც დადგმა, ისე დეკორაციები მხატვრული იყო. სცენის მოყვარეთ მომზადება და საქმისადმი სიყვარული ეტყობოდათ, რაც უთუოდ რეჟისორის უნარს უნდა მიეწეროს. საერთოდ კი პიესა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. წარმოდგენას მრავალი მუშა-მოსამსახურე დაესწრო.

მუშკორი [illegible]

კატასტროფა რკინის გზაზე

მატარებელი № 192

12 ნოემბერს, ღამის 3 საათზე, სად. წიფაში დაიმსხვრა კაზანცევის მუხრუჭით მოწყობილი გამომცდელი მატარებელი № 192. გამაფრთხილებელ ჩიხთან გადაბრუნდა ორი წინა ორთქლმავალი და დაიმსხვრა. შემადგენლობის შუა ნაწილი—ათი საკლასო ვაგონი მოსწყდა მატარებლის შემადგენლობიდან და გადაბრუნდა მთავარ ლიანდაგზე, რის გამო აღნიშნული ვაგონები სავსებით დაიმსხვრა. ლიანდაგზე დარჩა 3 უკანა ცისტერნი, ორთქლმავალის ტენდერი და 4 ცისტერნი. დანარჩენი ცისტერნები და საკლასო ვაგონები სრულიად დამსხვრეულია.

მოკლულია წინა ორთქლმავალის მემანქანის თანაშემწე. დანარჩენმა მემანქანეებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ჭრილობები.

გუშინ დილით ნამსხვრევებიდან ამოიღეს 4 კაცის გვამი. საკლასო ვაგონებში ჩაკეტილ კუპეებში დარჩენ მატარებლის დაჭრილი გამყოლები. გუშინ მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა კუპეებიდან ხალხის გამოყვანა. გადარჩენილებმა მნიშვნელოვანი ჭრილობა მიიღეს. დამხმარე მატარებელი ჩამოვიდა ხაშურიდან და დახმარებას უწევს მათ.

გუშინვე შესდგა კომისია, რომელიც შეუდგა მარცხის გამოკვლევას. მარცხის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის. მთავარ ლიანდაგზე მიმოსვლა შეჩერებულია. რის გამო წიფაში სწარმოებდა გუშინ მატარებელ № 4 მგზავრების გადასმა მატ. № 9-ში.

მარცხის დროს წიფაში შემოდიოდა მატარებელი № 9, რომელიც სასწრაფო ღონისძიებით იქნა გაბრუნებული სად. მოლითში.

გამაფრთხილებელ ჩიხთან

გუშინ სად. წიფიდან ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს აცნობეს შემდეგი: კაზანცევის მუხრუჭით მოწყობილი გამომცდელი მატარებელი № 192 დაიმსხვრა სად. წიფაში ღამის 3 საათზე. წიფის გვირაბში შესვლის დროს დაახლოებით 2 კილომეტრის გავლის შემდეგ, მატარებლის სიჩქარე გადიდდა, ორთქლმავალმა ვერ შესძლო სიჩქარის შენელება. მემანქანის და ასაჩქარებელი ონკანის საშუალებით ამათ ეცადენ მატარებლის სიჩქარის შენელებას. გამოყენებულ იქნა კონტრ-ორთქლიც. მაგრამ უშედეგოთ. ამის შემდეგ მატარებელი დაქანდა შეუჩერებელი სისწრაფით და დაიმსხვრა სად. წიფაში გამაფრთხილებელ ჩიხთან.

დამსხვრეულ მატარებლის უკანა ნაწილების დათვალიერების დროს, აღმოჩნდა, რომ მუხრუჭის კლაპოტი უკვე გაცვეთილი იყო.

მატარებლის მხლებლები

კაზანცევის მუხრუჭის გამომცდელ მატარებელს არ ახლდა თვით მუხრუჭის გამომგონებელი ამხ. კაზანცევი. მატარებლის შემადგენლობას ახლდნენ—ამხ. კაზანცევი (გამომგონებლის ძმა), ინჟ. ლობანსკი, წევის დარგის რევიზორები —ამხ. არუთინოვი და აბზიანიძე, გამცილებლები, მემანქანეები და კონდუქტორთა ბრიგადა.

მარცხის მსხვერპლი

მატარებლის დამსხვრევის დროს დაიღუპენ:—1) თბილისის დეპოს გამყოლი **ბორის ტრიფონოვი**, 2) ხაშურის ბრიგადის მთავარი კონდუქტორი **ივანე ქურდაძე**, 3) საბარგო კონდუქტორი **არქიპო გელესიანი**, და 4) მემანქანის თანაშემწე —**დიმიტრი მიქაძე**.

მძიმეთ დაიჭრნენ: 1) მემანქანე — **არჩილ დეკანოსიძე**, 2) წევის ინჟენერი— **მიხეილ ლობანსკი**, 3) მოძრაობის დარგის ინჟენერი — **გიორგი მესხელიშვილი**. 4) კონდუქტორი — **ლეონტი კაპლეი**, 5) წევის რევიზორი — **გაბრიელ ტერ-არუთიუნოვი**, 6) წევის რევიზორი—**აბზიანიძე**, 7) სახელოსნოს უფროსი — **კოზმინსკი**, 8) მემანქანე — **სიმონ პალატნიკოვი**.

ამათგარდა მსუბუქად დაიჭრა 11 კაცი.

მატარებლის შემადგენლობა

კაზანცევის მუხრუჭით მოწყობილი გამომცდელი მატარებელი № 192 შესდგებოდა 39 ვაგონისაგან და სამი ორთქლმავალისაგან. მათ შორის დაიმსხვრა ორი ორთქლმავალი და 30 ვაგონები. მთავარი ხაზი ნამსხვრევებით არის სავსე 50 საჟენის სიგრძეზე.

საექიმო დახმარება

გუშინ, დილის 6 საათზე სად. წიფაში მივიდა დამხმარე სანიტარული მატარებელი, რომელმაც აღმოუჩინა სასწრაფო საექიმო დახმარება დაზარალებულ რკინისგზელებს.

დაჭრილები თბილისში

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოიყვანეს და მოათავსეს რკინისგზის საავადმყოფოში მარცხის დროს დაზარალებული მატარებლის შემადგენლობის გამყოლნი ამხ. **გაბრიელ ტერ-არუთიუნოვი, ლეონტი კაპლეი, ალექსანდრე გრივა, არჩილ დეკანოსიძე, სოკრატ გოგიტაშვილი, თეოდორე კოზმინკო, სერგო ნოზაძე, მიხეილ ლობანსკი და სიმონ კიკნაძე.** დანარჩენი დაჭრილები შედარებით მსუბუქათ გრძნობენ თავს; მათ მიიღეს მხოლოდ სასწრაფო საექიმო დახმარება.

ამხ. კაზანცევის გამგზავრება

ავტომატიური მუხრუჭის გამომგონებელი ამხ. ფ. კაზანცევი გუშინ 1-ლ საათზე გაემგზავრა ხაშურში, ის გუშინვე ჩავიდა სად. წიფაში მარცხის მიზეზთა გამოსარკვევად.

მოძრაობა აღდგენილია

ა.-კ. რკინისგზის სამმართველოს სად. წიფიდან ატყობინებენ, რომ დღეს დილის 6 საათზე გაიწმინდა მთავარი ხაზი. რის შემდეგ მოძრაობა ხაზზე სავსებით აღდგენილია.

სად. წიფაში

გუშინ, თბილისიდან სად. წიფაში გაემგზავრენ ა.-კ. რკინისგზის მოძრაობის დარგის უფროსი — ამხ. **ნებესოვი**, წევის დარგის უფროსი — ამხ. **ლეონტიევი** და სალიანდაგო დარგის უფროსი — ამხ. **გეჯეძე**. გამგზავრების მიზანია გამოარკვიონ მატარებლის მარცხის მიზეზები.

დაჭრილთა მდგომარეობა

თბილისის რკინისგზის საავადმყოფოში მოთავსებულ დაჭრილთა მდგომარეობა საშიში არ არის. დღეს საავადმყოფოდან გამოეწერება რამოდენიმე მათგანი მძიმე მდგომარეობაში არიან მხოლოდ ორი — **სიმონ კიკნაძე**, რომელსაც მიღებული აქვს ტვინის მსუბუქი დაზიანება და ამხ. **არჩილ დეკანოსიძე**, რომელსაც დაზიანებული აქვს მუხლის ძვალი და გატეხილი აქვს გვერდის ნეკნები. ექიმების გადმოცემით, ამ უკანასკნელთა მდგომარეობა საშიში არ არის.

მდგომარეობა წიფაში

გუშინ ღამის 10 საათზე ჩვენი თანამშრომელი პირდაპირი მავთულით ესაუბრა სად. წიფაში მყოფ ა.-კ. რკინისგზის მოძრაობის დარგის უფროსს ამხ. **ნებესოვს**, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

„ხაშურიდან ჩამოვიდა ვაგონი—ელექტრო სადგური, რომელიც მიაწოდებს გზას განათებას გასაწმენდ მუშაობის საწარმოებლად. ამჟამად ხაზის გასაწმენდათ მუშაობს 100 კაცი. მუშაობა ენერგიულად სწარმოებს. გზა სავსებით გაიწმინდება 13 ნოემბ. დილის 12 საათამდე. მთელი შემადგენლობიდან დაუზიანებლად გადარჩენილა მხოლოდ 3 ვაგონი".

მარცხის ადგილზე

გუშინ, ღამის 12 საათზე თბილისიდან სად. წიფაში მატარებლის მარცხის მიზეზის გამოსარკვევად გაემგზავრენ ინჟენერები — **ბ. ჭიჭინაძე, გვერდწითელი და ხაჩიევი.**

საზინაო სასამართლო
(საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა საინტერესო მოხსენება თბილისის საზინაო სასამართლოს გამოკვლევის შესახებ.

საზინაო საკითხის სიმწვავემ, საზინაო ქირის ხშირმა შეცვლამ, საზინაო კანონმდებლობის ყლასურმა ხასიათმა და საზინაო კონფლიქტებმა მეტად მნიშვნელოვანი დაწესებულება გახადა საზინაო სასამართლო.

უწყვეტელ საქმეთ რიცხვი ამ სასამართლოში მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ყოველთვიურად იზრდება საშუალოდ 155-ით; 1-ლ იანვრისათვის სასამართლოში წარმოდგენილი იყო გაურჩეველი 1160 საქმე, 20 სექტემბრისათვის კი ეს რიცხვი გაიზარდა უკვე 2400-მდე.

სასამართლოს საქმეებით დატვირთვის გამო, საქმეები ხშირად ირჩევა 6 თვის შემდეგ. ეს ვადა თანდათან იზრდება და შემდეგში შეიქნება ისეთი მდგომარეობა, რომ სასამართლო ვერ შესძლებს მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

საზინაო სასამართლოს შენობა არ აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას. სასამართლოში არ არის სათათბირო ოთახი მოსამართლეებისათვის და განაჩენის გამოტანა ხდება კაბინეტში, სადაც მეცადინეობენ მოსამართლეები და იღებენ მთხოვნელებს; არ არის ოთახი მოწმეებისათვის, რომლებიც განცალკევებული უნდა იქნენ დაკითხვის დროს.

სასამართლოში ყოველთვიურად შემოდის საშუალოდ 300—400 საქმე; საქმეების ასეთი დიდი რაოდენობის განხილვას ვერ ასწრებს მოსამართლეების ახლანდელი შემადგენლობა. თვითეულ სხდომაზე განსარჩევად ინიშნება საშუალოდ 14 საქმე, აქედან ირჩევიან მხოლოდ სამი (საშუალოდ), 2—3 თავდება მხარეების შერიგებით, დანარჩენი კი გადაიდება შემდეგი სხდომებისათვის.

ხშირად აგვიანდება განაჩენის გამოქვეყნებას. გამორკვეულია, რომ 20 სექტემბრისათვის გამოცხადებული არ იყო 83 რეზოლიუცია მოსმენილ საქმეებზე.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შეიმუშავა მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიება, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს შემჩნეული დეფექტების აღმოფხვრას.

ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაცია

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. სახელმწიფო ელექტრო-ტექნიკური ტრესტი ამჟამად დიდ მუშაობას აწარმოებს მთელს ამიერ-კავკასიაში, ელექტრო სადგურების მოსაწყობად და გასახსნელად.

ასე, მაგალითად, დამთავრდა მუშაობა ერევნის ჰიდროელექტრო სადგურზე, რომლის სიძლიერე უდრის 3.000 ცხენის ძალას, მუშაობა სწარმოებს ლენინაკანის (3.000 ცხ. ძალა), აბაშის (2.000 ცხ. ძალა) და აჭარის-წყალის (2.000 ცხ. ძალა) ჰიდრო-ელექტრო სადგურებზე. ამ უკანასკნელ სადგურზე დიდი მუშაობაა შესრულებული. წყალი, რომელსაც უნდა გაევლო ორი ტურბინა, გაივლის გრანიტის გვირაბს, რომლის სიგრძე უდრის 250 საჟენს და სიგანე—4,5 საჟენს.

ამას გარდა ამიერ-კავკასიაში სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა 3 ჰიდრო-ელექტრო სადგურის მოსაწყობად. სამივე სადგურის სიძლიერე იქნება 109.000 ცხ. ძალა, აქედან განჯის სადგურის — 4.500 ცხ. ძალა, დაღესტანის სადგურის — 5.000 და ბაქოს ჰიდროცენტრალის —100.000 ცხ. ძალა.

ამასთან ერთად სწარმოებს უფრო წვრილი სადგურების მოწყობა და გახსნა. ასე, მაგალითად, დამთავრებულია სადგურები 100-დან 200 ცხ. ძალამდე შოვში, გორში, ხონში და ცხინვალში. ამჟამად შენდება ეჩმიაძინის, კარაკლისის და ბრუნდი ხიდის ჰიდრო-ელექტრო სადგურები.

ამას გარდა სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა წვრილი სადგურების გასახსნელად წითელ სოფელში, ქამარლიუში, ლიბანში, ახალქალაქში, საჩხერეში, „კრასნაია პოლიანკა"-ში და ყაზახში 50-დან 300 ცხენის ძალამდე.

ზაჰესი

დღეს თბილისიდან მოსკოვში მიემგზავრება საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. სახელმწიფო ელექტრო-ტექნიკურ ტრესტის მმართველი ამხ. მაქსიმოვი, რომელმაც გუშინ დაათვალიერა ზაჰესი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. მაქსიმოვმა განაცხადა შემდეგი:

— თავისი ნაშენების სიდიდით და იმ ენერგიის ღირებულებით, რომელსაც მოგვცემს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგური, ის საუკეთესო სადგურია მთელს საბჭოთა კავშირში.

ზაჰესის მანქანების უმრავლესობა დამზადებულია რუსეთში. ის მით უფრო ღირსშესანიშნავი მოვლენაა, რომ რევოლიუციამდი რუსეთში ასეთი მანქანები არ მზადდებოდა.

ზაჰესის მოწყობას სხვადასხვა მანქანებით და ხელსაწყოებით აწარმოებს სახელმწიფო ელექტრო-ტექნიკური ტრესტი, რომელმაც თითქმის უკვე მთლიანად დაასრულა მუშაობა. პირველ დეკემბრიდან შესაძლებელი იქნება წყალის გაშვება ტურბინებში.

როდესაც მე თბილისში მოვემგზავრებოდი ზაჰესის დასათვალიერებლად, მე მრავალი წერილები და მითითებები მივიღე იმაზე, რომ საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებული იქნეს ზაჰესის მოწყობა ყველა საჭირო მანქანებით. ასეთი დავალება მომცა მე საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა და საკავშირო მთავრობის სხვა წევრებმა.

სადგურის ამუშავების დროს შეიძლება ადგილი ექნეს რამე უმნიშვნელო დეფექტებს, მაგრამ ეხლავე მიღებულია ყველა ზომები ამ დეფექტების თავიდან ასაცილებლად.

ფართალი

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა საჭიროდ სცნო მოამარაგოს ბამბის დამამზადებელი რაიონები ფართალით, რისთვისაც მიმართა რესპუბლიკების რწმუნებულებს დაუყოვნებლივ მოამარაგონ ფართლით ბამბის დამამზადებელ რაიონებში არსებული კოოპერატიული ორგანიზაციები.

მებამბეთა საერთო მოთხოვნილების გათვალისწინებით, წელს საჭიროა ბამბის დამამზადებელ რაიონებს მიეწოდოს აზერბეიჯანში 4.500.000 მეტრი ფართალი, საქართველოში — 650.000 მეტრი ხოლო სომხეთში — 700.000 მეტრი.

კოოპერატივებს მიმდინარე ნოემბრის თვეში გაეცემათ აზერბეიჯანში— 650.000 მეტრი ფართალი, საქართველოში — 90.000 მეტრი და სომხეთში— 106.000 მეტრი.

დეკემბერში კოოპერატივებს მიეცემათ დამატებით — აზერბეიჯანში— 400.000 მეტრი ფართალი, საქართველოში — 35.000 მეტრი, ხოლო სომხეთში— 70.000 მეტრი.

შავი ზღვის რკინისგზები

შავი ზღვის რკინისგზის გასაყვანად სად. ახალ-სენაკიდან სოხუმამდე და სოხუმიდან გაგრამდე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო 45.300.000 მანეთი. აქედან ახალსენაკიდან სოხუმამდე გზის გაყვანას დასჭირდება 21.400.000 მანეთი, ხოლო სოხუმიდან გაგრამდე— 23.900.000 მანეთი.

აღნიშნულ თანხიდან გზათა სახალხო კომისარიატის მიერ ჯერ-ჯერობით გაღებულია 1.700.000 მანეთი. ამ თანხით შესაძლებელი გახდა გზის გაყვანა ახალსენაკიდან ზუგდიდამდე. ამჟამად სწარმოებს მუშაობა ხაზის გასაყვანათ სად. გალამდე.

მიწის სამუშაოებიდან წელს შესრულებულია 220.000 კუბ. მეტრი სამუშაოები.

გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა შუამდგომლობა აღძრა გზათა სახალ. კომისარიატის წინაშე, რათა წელს შავი ზღვის რკინისგზის გასაყვანად გაღებულ იქნეს 4 მილიონი მანეთი.

აღნიშნული თანხით განზრახულია ხიდების მოწყობა მდ. ენგურზე, კოდორზე, ცივზე და ჯუმზე. ამას გარდა შესრულებული იქნება წინასწარი მუშაობა გზის გასაყვანად სოხუმამდე.

წითელ ჯარში

ფსიქო-ფიზიკური გამოკვლევა

ამ დღეებში ქართული წითელი ჯარის ნაწილებში დაიწყება ახალგაწვეულ წითელარმიელთა ფსიქო-ფიზიკური გამოკვლევა. გამოკვლევის მიზანია ახალგაწვეულ წითელარმიელთა ყოველმხრივი შესწავლა, გაცნობა მათი საერთო განვითარების დონის, პოლიტიკური მომზადების და აგრეთვე მათი ფიზიკური სახის.

გამოკვლევის ჩატარება დავალებული აქვს კომისიას, რომელშიაც შედიან სამხედრო-სანიტარო სამმართველოს, პოლიტიკური განყოფილების და ნაწილების წარმომადგენლები. გამოკვლევა იწარმოებს წითელარმიელთა მოსვლისთანავე ყაზარმაში.

ფსიქო-ფიზიკურ გამოკვლევას აქვს უდიდესი მნიშვნელობა წითელარმიელთა სწავლების საქმისათვის. სამსახურის ვადა წითელ ჯარის რიგებში ძალიან შემცირებულია, იგი გრძელდება მხოლოდ ორ წელიწადს. ეს ვადა ძალიან ცოტაა სამხედრო და პოლიტიკურ პროგრამის შესასრულებლად. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ წითელი ჯარის რიგებში მოდის მრავალი წერა-კითხვის უცოდინარი მოქალაქე, რაც აძნელებს სწავლების საქმეს. მიუხედავათ ამისა, ორი წლის განმავლობაში წითელმა ყაზარმამ უნდა შესძლოს კარგი მებრძოლის და პოლიტიკურად განვითარებული მოქალაქის მომზადება. ყველა ეს ავალებს მეთაურთა და პოლიტშემადგენლობას ყურადღებით მოეპყრან წითელარმიელთა მასის შესწავლას და მეცადინეობის მეთოდიურ მხარეს.

წითელარმიელთა შესწავლა სწარმოებს ყოველდღიურათ, წითელარმიელის ყაზარმაში მოსვლის პირველ დღიდანვე. მეთაურნი და პოლიტხელმძღვანელნი სამყოფრო და პოლიტმეცადინეობის დროს, დასვენების საათებში, კერძო საუბრებში აკვირდებიან არმიელებს და ამ დაკვირვების მასალას იყენებენ მეცადინეობისათვის. ამითი მათ აქვთ შეძლება სწორად მიუდგნენ ყოველ წითელარმიელს და მისცენ მას ისეთი დავალება, რომლის ასრულებას არმიელი შესძლებს უმტკივნეულოდ.

ფსიქო-ფიზიკური გამოკვლევა მისცემს მეთაურებს და პოლიტმუშაკებს მდიდარ მასალას წითელარმიელთა მასის შესწავლისათვის. მეთაურნი და პოლიტმუშაკნი გაეცნობიან გამოკვლევის შედეგებს და მათ წინდაწინვე ექნებათ ხელთ წითელარმიელთა შემადგენლობის ნათელი დახასიათება და ამის მიხედვით სწავლების პირველ დღიდანვე შესაძლებელი იქნება მეცადინეობის სწორ კალაპოტში ჩაყენება.

მ. ხუციშვილი.

სამხედრო კოოპერატივებში

კოოპერატიული ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ წითელი ჯარის ნაწილებში, აწარმოებენ წევრების აღრიცხვას. აღრიცხვის დამთავრების შემდეგ სამხედრო მოსამსახურებს— წითელარმიელებს და მეთაურებს, რომლებიც არიან კოოპერატივის წევრები, დაურიგდებათ „სამხედრო მოსამსახურის მთლიანი კოოპერატიული საწევრო წიგნაკი".

სვანეთის გზა

მუშაობა სვანეთის გზის გასაწმენდათ უკვე დასრულდა. ამ მუშაობას აწარმოებდა საქართველოს გზატკეცილების სამმართველო. მუშაობა შესრულდა ნაწილობრივი ნატურალური ბეგრის საშუალებით. გარდა ამისა გზის გაყვანაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა მესანგრეთა ბატალიონი, რომლის დახმარებით მუშაობა გზის გასაწმენდათ სათანადო წარმატებით სწარმოებდა.

მთელი მუშაობის განმავლობაში შესრულდა დიდძალი მიწისა და ქვის სამუშაოები, სახელდობრ, მიწის — 23.058 კუბ. მეტრი და ქვის — 5.962 კ. მეტრი.

ამას გარდა, გაკეთებულია კედლების ნაშენები, რომლის სიდიდე 345 კუბ. მეტრს უდრის, შეკეთებული ხიდების სიგრძე 70 მეტრს აღწევს, აშენებულია 426 მეტრის სიგრძის ხიდები მთელ სვანეთის გზაზე.

ამასთანავე ერთად დაგებულია ქვაფენილი 309 კვად. მეტრის სიგრძეზე და მოწყობილია ნაპირების შემკავებელი ძალები 65 მეტრის მანძილზე.

სვანეთის გზაზე მიმოსვლა უკვე სწარმოებს და, მიუხედავათ ცუდი ამინდებისა, მოძრაობა მასზე არ შეწყვეტილა

ცემენტი

ს. მ. უ. ს. ტექნიკურმა განყოფილებამ მიიღო ცნობა მოსკოვიდან, რომ საკავშირო მთავრობამ დაამტკიცა კავთისხევში ცემენტის ქარხნის აგების პროექტი.

ს. მ. უ. საბჭოს მიერ წარდგენილი გეგმით წელს დაიწყება ცემენტის წარმოების ადგილზე შენობების აგება, გზების გაყვანა და მუშაობის დასაწყებათ წინასწარი მზადება. ამ სამუშაოთა საწარმოებლათ მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში განზრახულია დაიხარჯოს 400 ათასი მანეთი.

სულ ცემენტის ქარხნის აგება დაჯდება 2.500.000 მანეთი.

პასუხად ფშაველ გლეხს*)
(მიბაძვა თომა ბაიაშვილისა)

> „ვისაც არა სურთ რა ვუყვავთ, ყურით ვერ ვათრევთ ძალადა"...
>
> თომა ბაიაშვილი.

მიყვარს ხმა, ბარაქიანი,
ჯან ღონით სავსე ფშავლისა,
დრო იყო—თავი არ ჰქონდა
ენის დაძვრის და სწავლისა.
მუხრუჭს უჭერდა ნიკალა,
ჰქონდა მოხვეჭა დავლისა,
მისგან გულ-მკვდარი დედები,
იყო უმრავლეს მრავლისა...
მაგრამ ჩამწარდა მოლხენა,
დრო წაუვიდა ყავლისა,
მოვიდენ კომუნისტები,
პირიმე მათი გავლისა,
რომ ჩვენი გლეხიც ფშაველი
იდან სად წაახალისა,
დღევანდელი დღით დამტკბარი,
იმედსა შესტრფის ხვალისა,
ისეთი ლექსი შეუთხზავ,
გულს ცეცხლი მომდო ალისა,
ბარაქიანი ხელი ჰგავ
პირიმე მისი ძალისა.
ამბობს: „ქვეყანა განათდა,
როგორც რომ ცაში მთვარია,
ზოგმა კალამი აიღო,
ზოგმა გარეკა ცხვარია.
სულ ყველამ გამოიღვიძა,
ვინც იყო ნამძინარია,
ვენოს ენა მიეცა
როგორც ხე-ქვანი არია...
მოდით, ვერწმუნოთ ყველანი,
როგორც მის კანონ არია,
მთანიც ბარს მიუახლოვოთ
მტერს თავზე დავსცეთ ზარია"...

გეკურთხოს ენა ფშაველო,
რო გითქომ გასახარია,
სიტყვებიც ლალი, ისე ვით
მთაში ირემი, ხარია.
გეტყობა, ძალად არა სწერ
ლექსი გულითა მთბარია,
თავისიანათ გიჩანს, ვინც
ნამდვილი კომუნარია.
მუშის და გლეხის ერთობა
ეს ჩვენი მცნება არია,
თქვენ ჩვენსკენ, ჩვენც ხომ სათქვენოთ
მოცემული გვაქვს მხარია.
ვისაც არა სურთ, რა ვუყვავთ
ყურით ვერ ვათრევთ ძალადა,
ვინც ჩვენი მხარე არ არის,
არც ჩვენ მივეჩანს ჩალადა.
ცხოვრების მეტი ბარგია,
ქცეული მაჩანჩალადა,
მისი კალამი არად ღირს,
არც თითონ ვარგა ძალადა,
სჯობს სადმე ეგდოს ვერანად,
ჩირგვებში განამალადა.
ვინც ქვეყნის კარგი შეიგნო
იყო ყურად და თვალადა,
მას—მთელი ჩვენი გრძნობაც
ძალაც და ცოდნაც კვალადა,
უნდ იყოს სამაგალითო,
არა ტანად და თვალადა,
შეგნებით გულის ჯავარით,
ვით კაცი თავის თავადა.
სიკეთის ხელის გამწვდენი,
როგორც მთად, ისე ბარადა,
ვით ეს ფშაველი თომაი
ბაიაშვილი გვარადა.

ნ. ზომლეთელი.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 256, „ლექსი ნათქომი ფშავლისა".

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

სოც. უზრუნვ. ინსპექციები

ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, მაზრის აღმასკომებს ეკრძალებათ სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან შეუთანხმებლად მაზრაში გახსნან სოც. უზრუნველყოფის ინსპექცია, ან გააუქმონ ასეთი. ამასთან ერთად პრეზიდიუმმა დაადგინა ოზურგეთს და შორაპანში აღდგენილ იქნეს ადგილობრივ აღმასკომების მიერ გაუქმებული სოცუზრუნველყოფის ინსპექციები.

სასჯელისაგან განთავისუფლება

ცაკმა დააკმაყოფილა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს შუამდგომლობა შავი ქვის სამმართველოს („ჩემო") ყოფილ მოლარის ზ. ჩიხლაძის სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ.

დაბები და ქალაქები

ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი დაბების სია: ველისციხე, ლაგოდეხი, სურამი, ტყიბული, ცაგერი, ლანჩხუთი, ყულევი, აბასთუმანი, მცხეთა, ბაკურიანი, მანგლისი, წალვერი, საჩხერე, ჩხარი, ქობულეთი და გაგრა; ხოლო ქალაქებად — გუდაუთი და ოჩემჩირე.

დაევალა სახკომსაბჭოს, საგეგმო კომისიის მეშვეობით შეიმუშაოს დებულება, რომელიც უნდა დაედვას საფუძვლად ამა თუ იმ დასახელებულ პუნქტის ქალაქად, ან დაბად გამოცხადებას. დებულებაში დაწვრილებით უნდა იქნეს აღნუსხული დასახელებული პუნქტის მოსახლეობის რიცხვი (მინიმუმი და მაქსიმუმი) მოსახლეობის ბუნებრივი მიდრეკილება სოფლის მეურნეობისა, ვაჭრობა-მრეწველობისა და ქარხანა-ფაბრიკის წარმოებისადმი, და აგრეთვე ბუნებრივი მდებარეობა და სხვა.

ამ დებულების საფუძველზე კომისიამ შეისწავლის საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს 1924 წლ. ივნისის 30 დადგენილებით გამოცხადებულ ქალაქების ფაქტიურიმდგომარეობა და წარუდგენს ცაკს დასკვნას, თუ საქართველოს ქალაქები რამდენად აკმაყოფილებენ ქალაქის ყველა მოთხოვნილებებს და ან რომელ ქალაქის მიმართ შეიძლება შეცვლილ იქნეს ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ გამოტანილი ზემოხსენებული დადგენილება.

მშრომელნი ეხმარებიან მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

„კომუნისტი"-ს კანტორაში

(რუსთაველის პროსპ. № 84) მიიღება შემოწირულებები მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლათ

50.000 მან. გადადება

ლენინაკანი, 12 ნოემბერი. უკრაინის სოც. საბ. რესპ. ფინსახკომისაგან მიღებულია დეპეშა ლენინაკანის აღსადგენად 50.000 მანეთის გადაგზავნის შესახებ. (ადს.)

ცენტროსოიუზის დახმარება

მოსკოვი, 12 ნოემბ. ცენტროსოიუზის პრეზიდიუმის სხდომაზე გამოტანილ იქნა დადგენილება მიწისძვრისაგან დაზარალებულ ლენინაკანის რაიონის კოოპერატ. ორგანიზაციების დასახმარებლათ. ცენტროსოიუზის საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა დროზე წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები ამ საკითხის შესახებ, დახმარების ხასიათის აღნიშვნით. კოოპერატიულ განყოფილებებს წინადადება მიეცათ დროზე წარმოადგინონ ცნობები იმის შესახებ თუ გეგმის გარეშე, როგორი რაოდენობით შეუძლიათ მათ საქონელი მიაწოდონ ლენინაკანის რაიონის დაზარალებულ კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

დამხმარე კომიტეტი

ლენინაკანი, 12 ნოემბერი. დაშლილია ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე საგანგებო კომისია, ხოლო მის მაგიერ აღმასკომის პრეზიდიუმმა დანიშნა ლენინაკანისა და მისი მაზრის აღმდგენი კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: ანესოგლიანი, კაზარიანი, შესტაკოვა, მატინიანი, მინასიანი, ავალიანი და ჯაგინიანი. კომიტეტი თავის მუშაობაში უშუალოდ ემორჩილება იმავე სახელწოდების რესპუბლიკანურ კომისიას. (ადს).

მშრომელნი ეხმარებიან მიწისძვრისაგან დაზარალებულთ.

ბინებით უზრუნველყოფა

ლენინაკანი, 12 ნოემბერი. რესპუბლიკანურმა საგანგებო კომისიამ გამოუშვა ბრძანება, რომლითაც წინადადებას აძლევს დაწესებულება-წარმოებათა გამგეთ, მათი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, უზრუნველჰყონ მუშა-მოსამსახურენი და მათი ოჯახები საცხოვრებელი ბინებით. ამ ბრძანების თანახმად, სახელმწიფო და კომუნალური ბანკები, სომხეთის სავაჭრო სამმართველო, საცდელ მინდვრებისა და სხვა ორგანიზაციების ადმინისტრაცია აშენებენ საერთო საცხოვრებელ ბინებს. (ადს).

მოსახლეობის დამშვიდება

ლენინაკანი, 12 ნოემბერი. 6-დან 11 ნოემბრის საღამომდე ქალაქში არ ჰქონია ადგილი მიწის რყევას. სიწყნარემ დაამშვიდა ქალაქის მოსახლეობა. უმეტესობა ბედავს ღამის გათევას იმ ბინებში, რომელნიც არა სახიფათოთ სცნო ტექნიკურმა კომისიამ.

სესხი მშენებლობისათვის

ლენინაკანი, 12 ნოემბერი. კომუნალურ ბანკს ახალ შენობების ასაგებად და ძველების შესაკეთებლად 10 ნოემბრიდან გაუცია სესხად 45.077 მან., რომელიც განაწილებულ იქნა 354 პირს შორის. უახლოეს ხანში 279 კაცმა ახალი სესხის სახით უნდა მიიღოს 53.330 მანეთი. (ადს).

ვიწვევ დასახმარებლად

საქ. სტატისტიკის სამმართველოსთან არსებულ კომუჯრედს შეაქვს ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ათი მანეთი და იწვევს მეოთხე რაიონში შემავალ სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა უჯრედებს.

ფანერის ქარხანა

მიმდინარე თვის პირველ ნახევარში დამთავრდება ბათომის ცენტრალური ხე-ტყის დასამუშავებელი ქარხნის მოწყობა. ქარხანას აქვს რამოდენიმე განყოფილება, რომელის მოწყობაც ამჟამად დასრულებულია.

ეხლა ეწყობა ფანერის განყოფილება, სადაც უკვე დადგმულია უცხოეთიდან მიღებული დაზგები. ახალი ხე-ტყის დასამუშავებელი ქარხნის აგება და მოწყობა დაჯდა დაახლოებით ერთი მილიონი მანეთი. ქარხნის საწარმოო პროგრამა მიმდინარე წლისათვის უკვე გამომუშავებულია. ნაყოფიერებით ახალი ქარხანა სჭარბობს აჭარისტანში არსებულ ხე-ტყის ყველა ქარხნებს.

წყალტუბო

წყალტუბოს აგარაკზე სეზონი ოფიციალურად 1 ნოემბერს დამთავრდა.

მთელი სეზონის განმავლობაში 1 ივნისიდან 1 ნოემბრამდე კურორტი წყალტუბო გაიარა 11.000 ავადმყოფმა. აქედან მუშა-მოსამსახურეები და ღარიბი გლეხები შეადგენდენ 95 პროც., მხოლოდ 5 პროც. წარმოადგენდენ კერძო მოქალაქენი. 400 ღარიბს გლეხს უფასოდ დაეთმოთ სამკურნალო ვანები და გაეწია უფასო საექიმო დახმარება.

მომავალ სამკურნალო წლისათვის აგარაკ წყალტუბოზე აგებული იქნება კურზალი, ელექტრო-სადგური, წყალსადენი აგრეთვე გლეხთა სასახლე და სასტუმრო.

გლეხთა სასახლეში შეღავათიან ფასებში გლეხებისათვის მოეწყობა ბინები და პანსიონი. გლეხთა სასახლის ასაგებად საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ გადადებულია 50 ათასი მანეთი.

ღვინო

სახალხო მამულების ტრესტის კახეთის მამულებში დამთავრდა რთველი.

რთველი დამთავრდა აგრეთვე თელავის აღმასკომის მამულებში. წელს ყურძნის მოსავალი შარშანდელზე ნაკლებია. მიზეზი — ერთის მხრივ ვენახების სივრცის შემცირებაა (ფილოქსერის გავრცელების გამო) და მეორე მხრივ — ამინდი რომელიც წელს ვენახებისათვის ხელსაყრელი ვერ იყო. ტრესტის სახალხო მამულებში სულ მოკრეფილ იქნა — 30 ათასი ფუთი ყურძენი. აქედან დამზადებული იქნება დაახლოებით — 30 ათასი ვედრო ღვინო. თელავის სამაზრო აღმასკომის ვენახების მოსავალი კი წელს 15 ათას ვედრო ღვინოს არ აღემატება.

სანიტარული რუკები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს განზრახვა აქვს შეადგინოს და დაამუშაოს რესპუბლიკის მედიკო-სანიტარული უბნების რუკები.

რუკები შემუშავდება მაზრებისათვის, ხოლო ერთი მთლიანი — სარესპუბლიკო. რუკების შედგენა მიენდობა სამხედრო უწყების ტოპოგრაფიულ სამმართველოს, რომელმაც მუშაობა უნდა დაასრულოს ხუთი თვის განმავლობაში.

რუკების შედგენა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ჯანსახკომს დღემდე უხდებოდა ყოველგვარი ახალი ზომების გატარება და სამკურნალო საქმეზე პროექტების შედგენა ზეპირი ცნობებით. რუკების შედგენით გაადვილდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პროვინციების თავისებურებათა შესწავლა და უფრო ადვილად შემუშავდება გარემოებასთან შეფარდებული სამკურნალო ხასიათის ზომები.

ახალი ქარხნები

მარელისის ფაბრიკა

დეკემბრის პირველი რიცხვებისათვის საქ. სატყეო ტრესტი ამუშავებს მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკას. ამჟამად სწარმოებს ფაბრიკის მომარაგება საჭირო ნედლი მასალით და ეწყობა ახალი ცეხები—საშრობი, საღებავი და სხ.

ჯერ-ჯერობით ფაბრიკაში მუშაობს 140 კაცი. მუშების რიცხვი 1-ლი დეკემბრიდან გადიდებული იქნება სამასამდე. ვინაიდან ფაბრიკას ესაჭიროება კვალიფიციური მუშები, პირველ ხანებში ქარხანაში იწარმოებს მათი მომზადება. სწავლება გაგრძელდება დაახლოვებით ერთი თვე. ქარხნის სავსებით ამუშავების შემდეგ პროდუქცია გაიზრდება ერთიორათ, ანუ დღეში დაამზადებენ 600 სკამს, საქანელა სავარძლებს, საწოლებს და სხ.

სატკეჩე ქარხანა

მთავრდება მუშაობა ბორჯომის სატკეჩე ქარხნის მოსაწყობათ. ქარხანა სავსებით მზათ იქნება იანვრისათვის, ხოლო მუშაობას დაიწყებს თებერვლიდან. ერთი თვე საჭირო იქნება ქარხნის შიგნიდან მოსაწყობათ.

ქარხანაში იმუშავებს 100 კვალიფიციური მუშა. წლიურათ ქარხანა გამოუშვებს 600.000 კომპლექტ დანიურ ტიპის ტკეჩს.

კვალიფიციურ მუშების სიმცირის გამო, გადაწყვეტილია ერთი თვის განმავლობაში მოამზადონ ქარხანაში მუშების საჭირო რაოდენობა.

სახერხი ქარხნები

დეკემბერში ამუშავებულ იქნება მცხეთის სახერხი ქარხანა, ხოლო იანვარში ამუშავდება შამგონის ქარხანა.

მცხეთის ქარხანა ყოველდღიურათ გადაამუშავებს ერთ მილიონ კუბ. ფუტ. ნედლ ტყის მასალას და შამგონის—1.500.000 კუბ. ფუტ, ხეტყეს.

მცხეთის ქარხნის ამუშავება დააბრკოლა ელექტრო-ენერგიის უქონლობამ, ხოლო შამგონში ამჟამად სწარმოებს მანქანების დადგმა, რაც დასრულდება დეკემბრის ბოლო რიცხვებისათვის.
მეაბრეშუმეობა

მეაბრეშუმეობა

თუთის ხის პლანტაციები

საზ. „აბრეშუმს" გადაწყვეტილი აქვს თუთის ხის პლანტაციების გაშენებით მკვიდრი საფუძველი ჩაუყაროს მეაბრეშუმეობის განვითარებას დასავლეთ საქართველოში. ამ მიზნით მიმდინარე წლის შემოდგომიდან საზ. „აბრეშუმმა" დაიწყო თუთის ხის პლანტაციების გაშენება ოზურგეთის, ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის, შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრებში, სადაც უკვე შერჩეულია ადგილები სანერგეების გასაშენებლად. წელს გაშენებული თუთის ხის პლანტაციები საექსპლოატაციოდ გამოდგებიან 2-3 წლის განმავლობაში.

პარკის სახმობი

საზ. „აბრეშუმმა" უცხოეთიდან მიიღო პარკის მექანიკური სახმობი დაზგები. ჩვეულებრივი სახმობის ფარდულებთან შედარებით ამ მექანიკურ დაზგებს ის უპირატესობა აქვთ, რომ სწრაფად ახმობენ აბრეშუმის ნედლ პარკს და ამავე დროს აფუჭებენ პარკის ძალიან მცირე რაოდენობას, და მუშაობის დროს საჭიროებენ გაცილებით ნაკლებ მუშა ხელს.

საზ. „აბრეშუმს" სულ შეძენილი აქვს 7 მექანიკური სახმობი მანქანა.

ამჟამად მანქანები იდგმება ქუთაისში, ჩოხატაურში, სენაკში, აბაშაში და ხონში.

ამიერიდან პარკის ხმობა იწარმოებს ამ მანქანების საშუალებით.

ახალი სახლები

ამჟამად თბილისში შენდება შემდეგი ახალი სახლები:

ამხ. მიხა ცხაკაიას კოოპერატიულ საამშენებლო ამხანაგობა ამთავრებს 17 ბინის აგებას. ნაწილი ბინებისა უკვე დამთავრებულია და ამჟამად იქ დაბინავებული არიან მუშათა ოჯახები. ყოველ სახლის წინ გაშენებულია პატარა ბაღი და ეზო.

დიდუბესა და ნაძალადევში საამშენებლო მუშაობას აწარმოებს ამხ. ტროცკის კოოპერატ. ამხანაგობა, რომელიც ამ მოკლე ხანში დაამთავრებს 20 ბინის აგებას. ტროცკის ამხანაგობის მიერ აგებული თვითეული სახლი შეიცავს ორ ოთახან 2—3 ბინას, რომელიც მოწყობილნი არიან სამზარეულოთი, წყალსადენით და ელექტრონის განათებით. ამავე უბნებში მარქსის სახელობის ამხანაგობა აშენებს თავის წევრებისათვის 6 ბინას.

ლენინის ქუჩის ბოლოში ლენინის სახელობის საბინაო ამხანაგობის მიერ აგებულია რამოდენიმე სახლი. ამჟამად ამხანაგობა აგებს 4 ბინას.

ყველაზე დიდი საბინაო შენობაა, რომელიც ამ ჟამად შენდება.—არის ტრამვაის მუშათა სახლი, რომელსაც აშენებს ქალაქის აღმასკომი. სახლი იქნება 700 ბინით. ამჟამად უკვე აშენებულია ორი დიდი კორპუსი, ერთი სამსართულიანი და მეორე ორსართულიანი. შენობის აგება დამთავრდება ერთი წლის განმავლობაში. ჯდება იგი 2½ მილიონი.

მეორე დიდი შენობა შენდება რკინისგზელი მუშებისათვის ნაძალადევში თავისუფლების ქუჩაზე რკინის გზის ლიანდაგზე გადასასვლელი ხიდის მახლობლად. ამჟამად სახლი უკვე დამთავრებულია, კეთდება მხოლოდ ოთახების შიგნით მოწყობილობა.

კლარა ცეტკინის (ყოფილი ელისაბედის ქ.) ქუჩის ბოლოში საზ. „ხლებოპროდუქტი" აგებს დიდ შენობას თავის საწყობების მოსათავსებლად.

ქრონიკა

ოზურგეთ - ქობულეთის გზატკეცილი

საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ დაასრულა წინასწარი გამოსაკვლევი მუშაობა ოზურგეთ-ქობულეთის ახალი გზატკეცილის მოსაწყობათ. ამჟამად მუშავდება პროექტი გზატკეცილის გასაყვანად.

გზატკეცილის სიგრძე დაახლოვებით 28 კილომეტრი უნდა იქნეს. გზატკეცილს ექნება უდიდესი საექსპლოატაციო მნიშვნელობა.

მუშაობა გზატკეცილის გასაყვანად დაიწყება მიმდინარე საოპერაციო წელში.

გზატკეცილის გასაყვანად საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ გადასდო 50.000 მანეთი.

შოფერების კურსები

გასულ წლებში თბილისში, ბაქოსა და ერევანში არსებობდა შოფერების მოსამზადებელი კურსები, რომელნიც ყოველ წლიურად დაახლოვებით 200 შოფერს ამზადებდა.

კერძოთ თბილისში ასეთი კურსები მოწყობილი იყო ავტო-კლუბთან, რომელიც ყოველწლიურად 80 შოფერს უშვებდა.

ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის საოლქო სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს წელს მოაწყოს შოფერების მოსამზადებელი კურსები თბილისში, ბათომში, ერევანსა და აზერბეიჯანის ერთ-ერთ ქალაქში.

თბილისის აღმასკომში

◆ **შეკეთება.** წელს მთელ მაზრაში შეკეთებული იქნება სასოფლო გზები და ხიდები.

◆ **ჭაობის ამოშრობა.** საბურთალოს ჭაობის ამოსაშრობათ საბურთალოდან მტკვარამდე 250 საჟენის სიგრძეზე გაყვანილი იქნება გვირაბი.

◆ **ტრამვაის სამმართველო** ამ დღეებში მოსკოვიდან მიიღებს ახალ მოტორიან ვაგონებს.

◆ **სამაზრო მნიშვნელობის** გზების შესაკეთებლად გადადებულია 200 ათასზე მეტი მანეთი.

◆ **საავადმყოფოები.** წელს მაზრის ორ უმთავრეს თემში აღმასკომი აგებს საავადმყოფ. ს.

◆ **თავისუფლების მოედნიდან** აბანოებამდე ტრამვაის ახალი ხაზის გასაყვანად წინასწარი მუშაობა უკვე დამთავრდა. ლიანდაგის გაყვანას შეუდგებიან ამ დღეებში.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **ფიზიკურ მეთოდებით** სამკურნალო ინსტიტუტმა უკვე დაიწყო მუშაობა.

◆ **მალარიასთან ბრძოლის** მიზნით ჯანსახკომი ადგენს სამალარიო რაზმებს, რომლებიც გაიგზავნებიან მაზრებში.

◆ **სვანეთში მომუშავე** საექიმო პერსონალს ჯანსახკომმა გაუდიდა ხელფასი.

◆ **ჯანმრთელობის ადგილობრივი** ორგანოების ხელმძღვანელობით თემ-სოფლებში არსდება მუდმივი სანიტარული კომისიები.

◆ **საექიმო დახმარება.** ჯანმრთელობის კომისარიატმა დაადგინა გააფართოოს მაზრებში სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი.

◆ **ვენერიულ სენებთან** ბრძოლის გასაძლიერებლად ჯანსახკომი იმუშავებს ახალ გეგმას. ამ სნეულებებთან ბრძოლის დროს ფართოთ იქნება გამოყენებული პროფილაქტიური ზომები.

კრებები და მოხსენებები

◆ **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების** მორიგ საჯარო სხდომაზე, კვირას, 14 ნოემბერს, დღის თერთმეტ საათზე, საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში (ფურცელაძის, ყ. კალოუბნის ქ., № 1), მოსე ჯანაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ქართველები და ქართული ენა: 1. არსობითი ზმნა და ნაცვალსახელები". დასწრება ყველას შეუძლია.

◆ **დღეს, შაბათს, 13 ნოემბერს** საღამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა გამგეობის კრება.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეისათვის დანიშნული კ. კაპანელის მოხსენება გადადებულია.

◆ მთლიან მუშათა კოოპერატივების წარმომადგენელთა თათბირი შესდგება კვირას 14 ნოემბერს.

შემთხვევები

◆ **ხანძარი.** გუშინ, კალინინის ქუჩაზე, სახლი № 56-ს გაუჩნდა ხანძარი. გამოწვეულ იქნა მეორე ცეცხლის მქრობელთა რაზმი, რომელმაც ხანძარი მალე ჩააქრო. დაიწვა ორი ოთახი. ხანძარი გაჩნდა ცეცხლთან გაუფრთხილებელ მოპყრობის გამო. ზარალი გამორკვეული არ არის.

◆ **ბავშვის გვამი.** გუშინ, საღამოს მეათე სამილიციო რაიონში, ტატიანოვის ქუჩაზე, იპოვეს ახლად დაბადებულ ბავშვის გვამი. გამოირკვა, რომ ბავშვი ძალდატანებით არის დამხრჩვალი.

◆ **თავის მოკვლა.** გუშინ საღამოს, ალბულაღში თავი მოიკლა სოფ. დანიელოვკას მცხოვრებმა ასატურ არუთინოვმა.

თვითმკვლელმა დასტოვა წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მას მობეზრდა ცხოვრება.

◆ **დაჭრა.** აბანოს ქუჩაზე აბას თალი ოღლიმ და შაქრო ჩხეიძემ დანით დასჭრეს ასან მამედ-ოღლი.

◆ **ქურდი სტუმარი.** რკინისგზის გაღაღმა ცალიკ არუთინოვის ბინა გაქურდა მასთან სტუმრათ მოსულმა სონა არუთინოვმა.

◆ **ქურდობა.** გუშინ, საღამოს, ქალაქში მოხდა 6 მსხვილი ქურდობა.

◆ **ქურდობა.** მორგებული გასაღების საშუალებით კალინინის ქუჩა № 98 გაქურდეს ნოე ცქიტიშვილის და სერგო შარაშენიძის ბინები.

◆ **ჯიბგირობა.** თავისუფლების მოედანზე ალექსანდრე გერსამიას ჯიბიდან ამოაცალის 30 მანეთი.

სასამართლო

კ. კილაძის საქმე

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ჯაჯანიძის თავმჯდომარეობით და პროკურორ კიკაბიძის მონაწილეობით გაირჩევა კირილე კილაძის საქმე.

კილაძეს ბრალდება 2.118 მანეთის მითვისება და გაფლანგვა მიწად-მოქმედების კომისარიატში უფროსი მოლარის თანაშემწედ ყოფნის დროს.

კილაძის მოვალეობაში შედიოდა ხაზინიდან ასიგნობებით ფულის მიღება, ბანკის მიმდინარე ანგარიშში ფულის შეტანა, მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირების დარიგება და სხვა.

1926 წელს მოხდა მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის რევიზია; რევიზიამ აღმოაჩინა სახაზინო ფულების დანაკლისი. საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს პროკურატურას და დაიწყო წინასწარი გამოძიება.

გამოძიებით გამოირკვა, რომ კილაძეს 1925 წლის ოქტომბრიდან 1926 წ. ივნისამდე გაუფლანგავს 2.118 მანეთი.

წინასწარ გამოძიებაზე ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ აღნიშნული თანხა დაეკარგა.

ხულიგნობისათვის

— „თქვენ იცით, მე ვინა ვარ?—ილანძღებოდა და „ნერვიულობდა" რამოდენიმე დღის წინად პლეხანოვის გამზირზე ღვინით გალეშილი პეტრე პესკოვი. ბოლოს, როდესაც მას მილიციელმა წესრიგისაკენ მოუწოდა, მან მილიციელს ჯერ შეურაცხყოფა და მერე კი სილაც გააწნა. პესკოვის „საქმიანობით" გაბრაზებულმა მილიციელმა მოინდომა „რაინდის" კომისარიატში წაყვანა, მაგრამ პესკოვმა აქაც დიდი „სიმამაცე" გამოიჩინა. შემდეგ მილიციელთან მივარდა და ცოფიანი ძაღლივით თითი მოკვნიტა. ბოლოს, როგორც იყო კომისარიატში მიაბრძანეს. მეორე დღეს პეტრეს საპატიმრო საკანში გამოეღვიძა. მაშინ პესკოვი გონს მოვიდა, მაგრამ გვიანღა იყო.

სასამართლომ ბრალდებულ პესკოვს მიუსაჯა 6 თვით გამსახლში დაპატიმრება.

კოოპერატიული ფულის მოყვარული

(პროცესის მესამე დღე)

გუშინ დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა.

ბრალდებული გრიგოლ შალამბერიძე (გამგეობის თავმჯდომარე) თავს ნაწილობრივათ სცნობს დამნაშავედ. მან ილაპარაკა 3 საათზე მეტი და გარკვეული პასუხი ვერ გასცა სასამართლოს მიერ მიცემულ კითხვებზე.

შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული გულიანცი.

ბრალდებულთა დაკითხვა გრძელდება.

გამფლანგველ ხობაზოვის საქმე

გუშინდელ სხდომაზე დასრულდა საბრალმდებლო ოქმის წაკითხვა რუბენ ხობაზოვის საქმეზე. შემდეგ დაიწყო მოწმეების დაკითხვა.

ავანტიურისტის გასამართლება

(პოლტაშევსკის საქმე)

გუშინ სამხედრო ტრიბუნალში ამხ. სადოვნიკოვის თავმჯდომარეობით და პროკურორ ესუფიანის მონაწილეობით დაიწყო ავანტიურისტ ვლადიმერ პოლტაშევსკის საქმის გარჩევა.—როგორც ვსწერდით, პოლტაშევსკის ბრალდება აფერისტობა, ყალბი საბუთების შედგენა და ამ მიზნით პარტიაში შესვლა: ის მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და ატარებდა სამ გვარს.

გუშინდელ სხდომაზე დაიწყო ბრალდებულის დაკითხვა.

ბრალდებულ პოლტაშევსკის ჩვენება

— მე,—ამბობს ბრალდებული, ვიყავი ღარიბი მღვდლის შვილი და დიდი ხანია, რაც საკუთარი შრომით ვცხოვრობ. დაბალი სკოლის დასრულების შემდეგ შევედი საშუალო სასწავლებელში, მაგრამ სწავლა არ დამისრულებია, რადგან რევოლიუციონურ მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის სკოლიდან გამომრიცხეს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რომელ რევოლიუციონურ მოძრაობაში იღებდა ის მონაწილეობას, ბრალდებულს არ ახსოვს და ვერც დაასახელა კონკრეტიული ფაქტები. თითქოს ის აჯანყებაშიც კი ღებულობდა მონაწილეობას ცარიზმის დასამხობათ, მაგრამ ახლა „დაავიწყდა", რადგან მეხსიერება, მისივე განმარტებით, სუსტი აქვს.

ბრალდებული განაგრძობს:—მე ვმსახურებდი წითელ ჯარში და ამ მხრივ დიდი დამსახურება მიმიძღვის. 1922 წელს, სამხედრო სამსახურში ვირიცხებოდი თბილისში. ამ დროს, აქ, თბილისში არ „მოვეწონე თვალში" მაშინდელ სამხედრო პირს ბოგდანოვს, რის გამო თავი დავანებე სამსახურს და წავედი მოსკოვში. იქ შევხვდა თბილისელი მოქალაქე მურავიოვი კურსანტი, რომელსაც სურდა წამოსულიყო თბილისში. მე კი მქონდა მოწმობა წითელ ჯარიდან უვადო შვებულებაში განთავისუფლების შესახებ. ჩვენი მოწმობები ერთი-მეორეში გადავსცვალეთ. ჩამრიცხეს ტვერსკის კავალერიის სკოლაში. არ გასულა დიდი ხანი, რომ მიცნეს. შემდეგ წავედი უკრაინაში და მახნოვკაში ვმსახურებდი მილიციის უფროსათ. მოვალეობას პირნათლად ვასრულებდი. პირველ ხანებში ქრთამი არ ამიღია. შემდეგ ავიღე. მილიციელებთან უკმაყოფილება მომივიდა, დამასმინეს სადაც ჯერ არს; მომიწია კვლავ მოსკოვში წასვლა.

თავმჯდომარის შეკითხვაზე სცნობს თუ არა თავს დამნაშავედ ყალბი საბუთებით პარტიაში შესვლაში—ბრალდებული უპასუხებს, რომ სცნობს.

ბრალდებულის დაკითხვა გრძელდება.

ხელოვნება

„გმირი"

(კომ. 3 მოქ. ჯონ სინგისა)

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ახმეტელის.

კომედიის ფაბულა ერთობ ანეგდოტისებური და ფანტასტიურია. კრისტეფორ მეჰონი, წვრილ ირლანდიელ ფერმერის შვილი, რომელსაც შემოაკვდა მამა, თავს აფარებს ერთ ირლანდიის სოფლის სასირაჯეს. გულუბრყვილო სოფლელებზე მამის მკვლელი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს; ის მიიჩნიეს გმირად. საერთო აღტაცება თითქოს ძალას ჰმატებს კრისტის, ის იმარჯვებს სახალხო შეჯიბრებაში, ხდება მართლაც გმირი. ის შეუყვარდება სირაჯის ქალს, მედუქნეც თანახმაა სიძედ გაიხადოს, მაგრამ ამ დროს გამოჩნდება კრისტის მამა, რომელიც თურმე კი არ მომკვდარიყო ბარის დარტყმისაგან, არამედ მხოლოდ გონი დაჰკარგოდა. ეს გარემოება ერთბაშად აქარწყლებს კრისტის მიერ მოხდენილ შთაბეჭდილებას და მამა-შვილი საერთო დაცინვის და აღშფოთების ქვეშ შორდებიან სოფელს.

რომ ეს ფანტასტიური ფაბულა სცენიურად გამართლებული იქნეს, საჭიროა ერთის მხრივ გმირის დამარწმუნებელ ფიგურის და მეორეს მხრივ გულუბრყვილო, პრიმიტიულად მოაზროვნე სოფლის მოცემა.

მსახიობ დავითაშვილმა ორიგინალური სახე მოგვცა ამ უნებლიე გმირის, ამ მეორე ხლესტაკოვის. სამივე მოქმედებაში სულ სხვადასხვა გვარი. პირველ მოქმედებაში, როცა ის ცეცხლის პირას თბება და თავის თავგადასავალს უამბობს გულუბრყვილო სენსაციურ ამბების მოწყურებულ აუდიტორიას. მისი საუბარი ამ დროს ჰგავს ბავშვის ტიტინს, რომელიც თავის დედოფლების თავგადასავალზე გვიამბობს და მეხსიერების ხარვეზებს თავის ფანტაზიის ძაფით ქსოვს. აქ არ მოსჩანს არავითარი წადილი ტყუილის თქმისა. ეს თითქოს მისდა უნებურად ხდება; მისი ფიგურა მოკუნტულია, თვალები დახრილი, არშიყობა მორცხვი, გაუბედავი. მაგრამ იმისდა მიხედვით თუ რამდენად იცვლება მდგომარეობა და მისი ავტორიტეტი იწევს ის თითქოს შინაგნურადაც იცვლება; ფიგურა სწორდება, თავი მაღლა უჭირავს; მოკუნტული თავშესაფარის მაძიებელი, ჩვენ წინ იქცევა გმირ საყვარლად! უხეირო, მთრთოლარე მოძრაობის ნაცვლად პლასტიური მანერები და მიხვრა - მოხვრა; შეშინებული ლუღლუღის მაგივრად პათოსით სავსე გრძნობის გადმონთხევა პეგინმეის წინაშე. შეჯიბრების შემდეგ ნამდვილი ტორეადორი; მისთვის თითქოს ბუნებრივი და სავსებით გასაგებია ეს საერთო აღტაცება და მისი გაღმერთება.

დაბოლოს როცა ბედი უმტყუნებს, როცა საპნის ბუშტი სკდება, ჩვენ წინ უკვე დავითაშვილი—გამლეტია მკვლელობის წარმოდგენის სცენიდან. მისი სახე, ფიგურას სავსეა მის მიერ გაბრიყვებულ ხალხის მიმართ ზიზღით, ის შეუდრეკელის ყელმოღერებით გადის სცენიდან. [illegible] ამდენი ფერისცვალება ერთ შედარებით მარტივ როლის ფარგლებში; მაგრამ სახე გმირის, მისი სცენიური სურათი უთუოდ ორიგინალურია.

ასეთსავე გზას მიჰყვება თ. ჭავჭავაძე. რამდენ მეტამორფოზას განიცდის მისი სცენიური სახე—როგორ იცვლება თავის დაჭერა, ხმა, კოსტიუმი, ფიგურა. ჯერ ჩვეულებრივი გულუბრყვილო ცოტა ენამახვილი და კაპასი „სოფლის გომბიო". აღტაცება კრისტით ინსტიქტიური, უნებლიე. მეორე მოქმედებაში ფიგურა გამართული, თითქოს ამაღლებული, მედიდურად გამომზირალი და გამომწვევი; უკვე კარმენის ფიგურას უახლოვდება; ის თითქოს სავსებით გამოდის გლეხის ქალის ქერქიდან.

ის გულბრყვილო გარემო, რომელმაც დევგმირად მიიღო ეს საპნის ბუშტი საუცხოვოდაა გადმოცემული ფერმერების ტიპებში, მთელ მოწყობილობაში, თვით მომღერალ კედლის საათშიც კი. კარგებია ჩხეიძე, ს[illegible]ამელაძე, კორიშელი, კარგია დამს. სახ. არტისტი ნიკ. გოცირიძე, მშვენიერია მსახ. ქალი დავითაშვილი; ეს ფიგურები ძველი გრავიურებიდან გადმოღებულებსა ჰგავს. მასიური სცენაც მწყობრად მიმდინარეობს.

შოონ კიოს, ამ პატრის და კარდინალების შიშით გამოთაყვანებული გლეხის სახე მდიდარ სცენიურ მასალას იძლევა. და ის მე მგონია სავსებით ვერ იქნა გამოყენებული მსახ. მეიას მიერ.

შხეფი.

იურიდიული დახმარება

კანონიერი იყო თუ არა ჩემთვის რძის ფულის შეწყვეტა

კითხვა

1925 წლის განმავლობაში ტყიბულის მაღაროებში ვმსახურობდი. ვიყავი დაზღვეული. ოქტომბრის თვეში შემეძინა ბავშვი და მივიღე სამშობიარო დახმარება ამავე თვეში. მხოლოდ გაუგებრობის გამო დავიწყე რძის ფულის აღება 1926 წლის თებერვლის თვიდან. ხუთი თვის განმავლობაში ვიღებდი ზემოხსენებულ ფულს და 5 თვის შემდეგ კი შემიწყვიტეს, ე. ი. დამაკლდა ოთხი თვის ბავშვის საკვები რძის ფული.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, კანონიერია თუ არა დამზღვევ სალაროს მოქმედება?

კალისტრატე ქოხრაშვილი.

პასუხი

თანახმად საკავშირო საბჭოთა სოც. რესპუბ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1926 წ. 14 მაისის დადგენილების მუხ. 2-ისა, (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკას" № 1198-ში 1925 წ. 11 ივნისიდან) ბავშვის საკვები რძის ფულის გაცემის შესახებ მოთხოვნები დამზღვევ სალაროს უნდა წარედგინოს არა უგვიანეს ათი თვისა ბავშვის დაბადებიდან. ბავშვის საკვები დახმარება წარსულ დროისათვის გაიცემა ვადის განუსაზღვრელად.

მორიგი შვებულების ხანგრძლივობის შესახებ

კითხვა

მე ვმსახურობ ქ. ჭიათურაში ცეცხლის მქრობელ რაზმში თანამშრომლად. წარსულ წელში ვისარგებლე ერთი თვით მორიგ შვებულებით, 1926 წელში კი ორი კვირის მეტს არ გვაძლევენ.

გთხოვთ გვიპასუხოთ გვეკუთვნის თუ არა წელიწადში ერთი თვის შვებულება, როგორც ფიზიკურ მომუშავეებს. აგრეთვე გვეკუთვნის თუ არა კვირაში ერთი დღე დასასვენებელი?

რაზმელი ა. მოდებაძე.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114, მორიგი შვებულების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს ორ კვირაზე ნაკლები. ადმინისტრაცია არ არის ვალდებული ამაზე ზევით გაადიდოს მორიგი შვებულების ხანგრძლივობა, თუ კი კოლხელშეკრულების თანახმად არ იყო იგი გაგრძელებული კიდევ ორი კვირით (ე. ი. ერთ თვემდე). დამატებითი ორკვირიული შვებულება ეძლევათ ისეთ მუშებს, რომელთაც უხდებათ მუშაობა ჯანმრთელობისათვის საზიანო წარმოებებში. (იხ. იქავე მუხ. 115).

კვირაში ერთი დასასვენებელი დღე ეძლევათ ყველა დაქირავებული შრომით მომუშავე პირთ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ „ზაგმუკ". დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ზაგმუკ".

◆ „ლამარა". ხვალ რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლამარა".

◆ „ურიის ქალი". დღეს ოპერის თეატრში მიდის „ურიის ქალი".

◆ „ზოიას ბინა". მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ უკანასკნელად წარმოდგენილი იქნება „ზოიას ბინა".

◆ „უკანასკნელი გასროლა". კინო მინიონში დაიწყო „მეჟრაბპომრუსის" ახალი სურათის „უკანასკნელი გასროლა"-ს ჩვენება.

ფეხბურთი

აზერბეიჯანის ფეხბურთელები

როგორც ირკვევა, აზერბეიჯანის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი 14 ნოემბრისათვის ვერ ჩამოვა თბილისში. ბაქოში ამჟამად მიმდინარეობს პირველობის გათამაშება ქალაქის გუნდებს შორის, და ალბად, ეს არის მიზეზი, რომ აზერბეიჯანის ნაკრები გუნდი ჯერ-ჯერობით არ მოდის თბილისში.

ნაკრები გუნდის გამგზავრება

გუშინ საღამოს საქართველოს ნაკრები გუნდი თავისი ძირითადი შემადგენლობით გაემგზავრა ბათომში, სადაც ჩაატარებს რამოდენიმე შეჯიბრს ადგილობრივ გუნდებთან.

პირველი შეჯიბრი გაიმართება კვირას, 14 ნოემბერს, საქართველოს ნაკრებ გუნდსა და ბათომის ნაკრებ გუნდს შორის.

„წ. ა. ფ. ს."—„არსრაიონი"

კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდის და „არსრაიონის" ამხანაგური შეჯიბრი

ფიზკულტურის საღამო

ორშაბათს, 22 ნოემბერს, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება ფიზკულტურის საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურის სხვადასხვა წრეები.

ფიზკულტურის მუშაკების რეგისტრაცია

ფიზკულტურის თბილისის საბჭომ ფიზკულტურის ყველა მუშაკების რეგისტრაციის ვადა გააგრძელა 18 ნოემბრამდე.

ლითონები

ლითონის და ლითონის ნაწარმოების ბაზარს თბილისში უკანასკნელ დღეებში საგრძნობი გაცხოველება ემჩნევა.

სახურავის და ცინკგადაკრულ რკინეულობის ბაზრის მდგომარეობა მტკიცეა; მოთხოვნილება გაცხოველებულია. დიდი მოთხოვნილებაა დახარისხებულ რკინეულობაზეც, რომელიც ბაზარზე ცოტაა.

გაცხოველებულია ვაზის და წყალსადენის მილების ბაზარიც. საქონელი იყიდება საქართველოს ს. მ. უ. ს. ლითონის ტრესტის ფასებში.

რაც შეეხება მანქანებს და ელექტრო-ტეხნიკურ მოწყობილობას, გაცხოველებულია მოთხოვნილება კომპრესორებზე, სტამბის მანქანებზე, ქვების სამტვრევ მანქანებზე და პნევმატიურ ინსტრუმენტებზე.

ფერადი ლითონების ბაზარზე საქონელი ცოტაა.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ბა-
სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ბაზარზე გაცხოველებულია მოთხოვნილება „ალფა-ლავალ"-ის სეპარატორებზე, „ფორძონის" მოწყობილობაზე და სათადარიგო ნაწილებზე და [illegible].

ბიბლიოგრაფია

ლ. ელბაქიანი. სოციალური დაზღვევა საქართველოში და მისი განვითარების საფეხურები

(1912—25)

კარგი საქმე ჩაიდინა საქართველოს პროფკავშირების გამომცემლობა „შრომა"-მ, რომელმაც დასახელებული წიგნი გამოუშვა. სოციალური დაზღვევა უდიდეს როლს ასრულებს მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. ჩვენი სოციალური დაზღვევის კანონმდებლობა ოქტომბრის რევოლიუციის ერთი მეტად თვალსაჩინო მიღწევათაგანია, ამავე დროს კი ამ საკითხზე ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი შრომა ქართულად დღემდე არ მოიპოვებოდა. ამ ხარვეზის ამოვსება განუზრახავს ამხ. ელბაქიანს და უნდა ითქვას, რომ განზრახვა დამაკმაყოფილებლადაა განხორციელებული.

ავტორი სამართლიანად ჰყოფს თავის წიგნს ოთხ ნაწილად: 1) სოციალური დაზღვევა 1917 წლის თებერვლის რევოლიუციამდე; 2) სოციალური დაზღვევა 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ; 3) სოციალური დაზღვევა საქართველოში მენშევიკურ მთავრობის დროს და 4) სოციალური დაზღვევა საბჭოთა საქართველოში. დაზღვევის საკითხის ისტორიის მიმოხილვა, მის გარშემო მუშების მიერ წარმოებულ ბრძოლის მოგონება საინტერესო და სასარგებლოა თავის თავად, ხოლო უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ამას სოციალურ დაზღვევის დარგში საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების სრულიად გაგებისა და შედარებით შეფასებისათვის; თუ რა დიდია ეს მიღწევები, ამის გათვალისწინება მთლიანად მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ამ მხრივ წინად არსებულ მდგომარეობას გავეცნობით.

ამხ. ელბაქიანი ეხება 1912 წ. 23 ივნისის ორ კანონს: მუშების დაზღვევის შესახებ ავადმყოფობის შემთხვევაში და უბედურ შემთხვევისაგან. დაზღვევა ვრცელდებოდა მუშების მეტად მცირე წრეზე. დაზღვევისათვის გაწეულ ხარჯების ორ მესამედს თვით დაზღვეულები იხდიდენ. საავადმყოფო კასების მმართველობაში მწარმოებელნი ღებულობდენ მონაწილეობას, ხოლო უბედურ შემთხვევებისაგან დაზღვევის საქმე მთლიანად მათ ხელში იყო. უმაღლესი დაზღვევის ორგანოები მოხელეებისა და მწარმოებლებისაგან შესდგებოდენ.

სოციალურ დაზღვევის საქმეს 1917 წ. თებერვლის რევოლიუციიდან ოქტომბრამდე არსებითი ცვლილება არ განუცდია. როგორც ელბაქიანი ამბობს, „დროებითი მთავრობის მთელი კანონმდებლობა წვრილმან რეფორმებს, მეფის ხელისუფლების მიერ დატოვებულ ნაყარ-ნუყარის შეკიწიწებას შეიცავდა". სხვანაირად ვერც მოიქცეოდა ის მთავრობა, რომელშიაც კაპიტალის წარმომადგენლები შედიოდენ.

შემდეგ ავტორი ვრცლად ჩერდება სოციალური დაზღვევის მდგომარეობაზე მენშევიკური ხელისუფლების დროს. მენშევიკებმა ამ საქმეშიც დაამტკიცეს თავისი უუნარობა და ბურჟუაზიული სულისკვეთება. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ 1920 წ. ნოემბერში დაზღვეულთა რიცხვი ათი ათას არ აღწევდა, მაშინ როცა იმ დროისათვის მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 78.200 კაცს უდრიდა მთელ რესპუბლიკაში; მაშასადამე, დაზღვეული იყო საერთო რიცხვის მხოლოდ 12,8 პროც. მენშევიკების სოციალური დაზღვევის კანონმდებლობა დაახლოვებით ისეთივე იყო, როგორც მეფისა და დროებითი მთავრობის კანონები.

თავის შრომის უკანასკნელ ნაწილში ელბაქიანი დაწვრილებით გადმოგვცემს საბჭოთა სოციალურ დაზღვევის კანონმდებლობას და დაზღვევის საქმის ორგანიზაციას საბჭოთა ხელისუფლების დროს. მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ განახორციელა საყოველთაო დაზღვევა. მანვე პირველად გადაიტანა დაზღვევის ხარჯები დამქირავებლებზე. საბჭოთა კანონმდებლობამ შეუდარებლად გააფართოვა დაზღვევის სახეები. მხოლოდ ჩვენს დროში ეძლევათ დაზღვეულებს სრული ხელფასი დროებითი შრომის უნარის დაკარგვისას. ფართოდაა დაყენებული მუშა-მოსამსახურეთა საექიმო დახმარების აღმოჩენა. ჩვენს კანონმდებლობას სხვა მრავალი ისეთი მომენტიც ახასიათებს, რომლებზედაც ძველ დროს ოცნებაც კი შეუძლებელი იყო, რომლებსაც შენატრიან დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნების მუშები.

ამხ. ელბაქიანის შრომა საკუთრივ პროპაგანდაა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისა, რომელიც მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ყოველგვარ ზომას იღებს, რაც, სხვათა შორის, ჰპოულობს გამოხატულებას დაზღვევის კანონმდებლობასა და ორგანიზაციაში. ამხ. ელბაქიანის წიგნი ამასთან, აცნობს რა მკითხველებს სოციალურ დაზღვევის საკითხებს, ამით ზრდის მათ ინტერესს სოციალურ დაზღვევის საქმისადმი, ხელს უწყობს დაზღვევის ორგანოებთან მუშათა მასების უფრო დაახლოვებას და მათ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობის მიღებას, რაც უეჭველად სოციალურ დაზღვევის შემდგომი გაუმჯობესების საწინდარია.

მარტივადაა დაწერილი და მისი წაკითხვა-გაგება არ გაუჭირდება ყოველ წერა-კითხვის მცოდნე მუშას. წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, ლამაზადაა გამოცემული, შეიცავს 136 გვერდს და ღირს ერთი მანეთი.

ქ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. რემედასის ცეკა იტყობინება, რომ დღეს, 13 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, საქ. რემედასის ცეკას ბინაზე (ლენინის ქ., № 29), შესდგება რემედასის ცეკას პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: მ. ჩოდრიშვილი, იმედაძე, მუმლაძე, ბელიაევი, არ. რუხაძე, არაზაშვილი, ნაცვლიშვილი, გენიალიძე, ათაბეგოვი, ხომერიკი და კიზირია.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-გამნაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა სამი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწ. განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან:

გრეხოვი დიმიტრი ანდრიას ძე, სიორიძე ვასილი ზავიალოვი გრიგოლ ვასილის ძე, ზაქროვი პაველ, მანუკიანცი მკრტიჩ ავეტისის ძე.

საქართველოს კომკავშირის [illegible] თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-გამანაწილებელი განყოფილება სთხოვს [illegible] ბაგარს, რომ 13 ნოემბერს, დილის 10 საათზე გამოცხადდეს თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-გამანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან.

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებული კომ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 5. საათზე მოწვეულია აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებულ კომ. პარტიის და კომ. კავშირის უჯრედთა გაერთიანებული კრება.

დასწრება სავალდებულოა.

ჩვენი ფოსტა

ტუაფსე. თეოფანე გოგობერიძეს. გაზეთი გეგზავნებათ ერთი თვით, როგორც იყო გამოწერილი. დაწვრილებით პასუხს მიიღებთ ცალკე წერილით.

მთავარი კანტორა.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ანა თომას ასული ხარაძისა, შვილები ეკატერინე, ნინო და ზინაიდა, სიძე იოსებ დანიელისძე ბეთანელი და შვილიშვილი აჩიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორეთა მამა, მესამის სიმამრი და მეოთხის ბაბუა

ნოშრევან ბეჟანის-ძე ხარაძე

გამოსვენება კვირას, 14 ნოემბერს დღის 3 საათზე საკუთარ ბინიდან, აკაკი წერეთლის ქ. № 35 (ქ. ქუთაისი) ქვ. 550

და მარიამ ბეჟანის ასული ხარაძე, ძმები ვლადიმერ და კირილე ბეჟანის ძე ხარაძეები თავიანთი ცოლშვილით და ძმისწული ნიკოლოზ ელეფთერის-ძე ხარაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქალ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ნოშრევან ბეჟანის-ძე ხარაძე

გამოსვენება კვირას, 14 ნოემბერს, დღის 3 საათზე, საკუთარი ბინიდან, აკაკი წერეთლის ქუჩა № 35, (ქალ. ქუთაისი). 551

ინჟინერი იოსებ დანიელის-ძე ბეთანელი თავის მეუღლით ზინაიდა ნოშრევანის ასულით და შვილით აჩიკოთი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი პირველის სიმამრი, მეორის მამა და მესამის ბაბუა

ნოშრევან ბეჟანის-ძე ხარაძე

გამოსვენება კვირას, 14 ნოემბერს, დღის 3 საათზე, საკუთარი ბინიდან, აკაკი წერეთლის ქ. № 35, (ქალ. ქუთაისი). 551

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: სოფო ტარიელის ასული და ილია როსტომის-ძე, დები: ნადო, ზოია და სულიკო ქავთარაძეები აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობართ, რომ მათი უდროოდ დაკარგულ საყვარელ და ძვირფას

ქეთინოს (ტუკუნის)

ორმოცი დღის პანაშვიდი დანიშნულია 14 ნოემბერს, ქ. ქუთაისში, ოღასკურის სასაფლაოზე დღის 12 საათზე. 545

ღრმად დამწუხრებულნი: დედა სურათი, რძალი ზინა, ძმები ივლიანე და ვანო აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს და ნაცნობებს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტის, უძვირფასესი

მინა (მინუკა) ნესტორის-ძის ჩლაიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო, კვირას, 14 ნოემბერს, წმინდა ნინოს (კუკიის) სასაფლაოს ეკლესიაზე, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, დილის 10 ნახ. საათიდან. 546

ღრმად დამწუხრებულნი: შვილი ანასტასია დავითის ასული და სიძე თომა ივანეს-ძე უსიხაშვილები, შვილიშვილები: თამარი თომას ასული ქმრით შალვა პავლეს-ძე ბერიძეთი, ალექსანდრე, შალვა, დავითი, გიორგი და ირაკლი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს საყვარელის და დაუვიწყარ

ნატალია სიმონის ასულის ჩეკურაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, საღამოს 4 საათზე, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში. დაკრძალვა ხვალ, 14 ნოემბერს, წირვის შემდეგ 1 საათზე ამავე ეკლესიის ეზოში. 543

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 13 ნოემბერს, ან. გლებოვის **ზაგმუკ** ისტ. დრ. 4 მოქ. თარ. ალ. შანშიაშვილის
დადგმა ალ. ახმეტელის

კვირას, 14 ნოემბერს გრ. რობაქიძის **ლამარა** პიესა 4 კამარათ. მუსიკა ი. ტუსკიასი
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის
დეკორაციები ლ. გუდიაშვილის
ნ. 204

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 13 ნოემბერს, პრემიერა (აბონიმენტს გარეშე) **ურიის ქალი**
ბოგოლეპოვას, ცაგარელის, ვიტინგის, შარაშიძის და სხვ. მონაწ.

კვირას 14 ნოემბერს, პრემიერა
„დუბროვსკი"
(აბონიმენტს გარეშე) ნ. 208

აპოლო არფასტო სოლეი დარბაზი
ნ. 157 0—9

დღეს და ყოველდღე
საქართ. სახკინმრეწვის ახალი სურათი
გაფლანგვა
რეჟისორი ი. პერესტიანი
ოპერატორი ა. დიღმელოვი
მთავარ როლებში: ს. ჟოზეფი, მ. ტენაზი, ს. პრივალოვი, პ. ესიკოვსკი, ი. კრუჩინინი, პ. მორსკოი, მ. იაკობინი.
სალარო ღიაა 5 საათ. და 30 წუთ.
„აპოლო"-ში და „დარბაზში" პროგრამის გარეშე ნაჩვენები იქნება „მიწისძვრა სომხეთში"

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ლექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

„კომუნისტი"-ს

ქვემოთ-ჩამოთვლილ **ხელისმომწერლებს**, რომლებიც არ იღებენ გაზეთებს, რადგან ხელის-მოწერის დროს მისამართები სწორათ არ მოუციათ, **სთხოვენ** შემოიარონ „კომუნისტი"-ს ექსპედიციაში (კამოს ქ. № 68) სწორი მისამართების მისაწოდებლათ.

გოგობერიძე (ქვითარი 926),
ესებუა რაჟდენი (ქვ. 69),
მიქაშავიძე (ქვ. 1433),
კაჩარაძე (ქვ. 51),
ამირხანოვი (ქვ. 814)
ჭავჭანიძე (ქვით. 680)
მატიაშვილი ნიკოლოზ (ქვ. 830—531)
მაისურაძე (ქვ. 52)
გურგენიძე აპოლონ (ქვ. 844)
გეურქოვი ამბარცუმ (ქვ. 38)
რაზმაძე ბესარიონი (ქვ. 998)
ბოგოლაშვილი ეფროსიმე (ქვ. 85)
გოზალოვი (ქვ. 63)
ბილიაძე (ქვ. 36)
ენუქიძე შუშანიკა (ქვ. 40)
სიორიძე (ქვ. 111)
მაისურაძე (ქვ. 1098)
ჯაჯანიძე (ქვ. 11652)

ექსპედიცია.

რესპუბლიკის ცენტრალური არქივი
1926 წლის ნოემბრის 16-ს დილის 11 საათზე
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის (ოლღას ქ. № 48)
უვარგის ქაღალდებს 300 ფუთამდე და სხვადასხვა ოდნავ დაზიანებულ ან გაუვარგისებულ ნივთებს:
გუთანს, ქვაბებს, სარეცელს, რკინის ღუმელს, თუნუქის ყუთებს, ბორბლებს, დივანს, პირსაბანს, ასფალტს, სურათის გიპსის ჩარჩოებს, მანიკენებს, (პაპიე მაშედან), და სხ. გასაყიდი ქაღალდის და ნივთების დათვალიერება შეიძლება ყოველდღე დილის 10 საათიდან 2 საათამდე (ცენტრ-არქივის კომენდანტთან. ნ. 202 2—1

ზუგდიდის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. დგებუაძე

აცხადებს, რომ 16 ნოემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** პავლე კეკუტიას მოძრავი ქონებისა შეფასებული 280 მან., დასაკმაყოფილებლათ მარგარიტა კეკუტიასა, თანახმად ზუგდიდის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 21 დეკემბრის 1925 წ. თარიღით № 5911 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია პავლე კეკუტიას სახლში და ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან. ნ. 207

ქ. თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გეგელაშვილი

აცხადებს, რომ ის 18 ნოემბერს 1926 წ., დღის 12 საათზე, პავლოვის შესახ. № 1-ლი, თბილისის მე-11 სამილიციო უბანში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე ზასიმის-ძე კონვარიას ორ სართულიან ფლიგელით 1/7 სახლის უფლებას, რომელიც შესდგება 54 ოთახიდან, 10 სამზარეულოდან და სხვ., შეფასებული 2000 მანეთად, დასაკმაყოფილებლად ვალისა ნესტორ ნარსიასი და სხვ., თანახმად თბილისის მე-5 უბ. სახ. სასამართლოს გადაწყვეტ. ბრძანებითი წესით 15 დეკემბრის 1925 წ. № 889 და 21 იანვრის 1926 წ. № 281. ვაჭრობა მოხდება დაცვით 301, 310, 311, 312, 313, 314 და 316 მუხ. სამოქ. სამ. საპ. კოდექ. 548

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის **სამკურნალო** საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი **ე. მ. მძინარიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—2

ექიმი **ჩეჩელაშვილი**
იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ჭავჭავაძის ქუჩა № 9
მიღება დილის 8—12 საათ. საღამოს 6— 8 საათ. 25—2

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი **ზ. ა. ტარუმოვი**
დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა სნეულების** ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59,

ექიმი **მეგრაბიანცი**
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-თერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16. 25—5

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—21

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა
25—1 ქვ. 379

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპ.) ტელ. 3—63. 25—1-

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპექტი № 176), საღამოობით 4—6 საათამდის ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 25—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2 საღამოზე 4—6 საათამდე.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—1

ექ. კ. ტყეშელაშვილი
აბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1

ქუთაისში
ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიკ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
პრესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—1

დაბრუნდა
ექიმი ა. დ. შახბაზიანი
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. 23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5.

ექიმი **შუხმანი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი 1925 წლის 13 მარტის № 12 ცირკულიარისა ადმინისტრატიულ განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ალი ასკარ აჰმედოვმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის მიმატების ახმატოვი პაველ ბურეზე შესაცვლელად.

საერთო საადმ. ქ | განყ. უფროსი
კილურაძე
მმაჩის ბიუროს გამგე შარაძენიძე
საქმის მწარმოებელი
კვანტალიანი

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი ფიდო ხატიაშვილის სახელზე, ჩ. ვ. 547

დავკარგე საბინაო დავთარი სახლი № 37 ანდრიას ქ. მიხეილ სტეფანესძე ფურცელაძეს სახელზე, ჩ. ვ. ქვ. 543

დავკარგე პირადობის მოწმობა გაცემული მილიციის სამმართველოდან იანგუნდა გაბრიელის ასული მარტიროსოვის სახელზე, ჩ. ვ. 544

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 10126 და დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 1325, ტიხო მამალაძის სახელზე, ჩ. ვ. 549

დავკარგე მედსანშრომის პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 585, ილია პავლესძე ქუთათელაძის სახელზე, ჩ. ვ. ქვ. 547

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.